

ლიტერატურული გაზეთი

№7 (359) 12 - 25 აპრილი 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

რუსუდან რუხაძე

ანტისნაიკური ნებისამებრ

აგარსკის ვალსაც გაგასტუმრებინებ და ჩემი იმედი აღარ გქონდეს-მეთქი. აგარსკი ძმაა, დამაცდის, აი, ნინა ტოტა მწყევლის ყოველ დილით, ორი თვის პენსია გამოვართვი და ეგ ჩამასესხებინეო. ნინას ფული რაღად გინდოდა, შენ მე გადამრევ, ბიჭო-მეთქი, სიგარეტს მოვუკიდე, ფანჯარა ოდნავ შემოვადე და ნაფაზი შუშაბანდში შემოჭრილ მზის სხივს ავაყოლე. შუქისგან დაფერილ კვამლში მედუზა გამოისახა და საცეცების რხევით ჭერისკენ აუყვა. შენც ხედავ-მეთქი? პანი ჩემკენ მოვნიე. რას უნდა ვხედავდე, შენ კიდევ რა გაახურეო, სიცვისგან გააჟრჟოლა და ხალათის ქამარი შემოიჭირა.

„მუნიციპალურს გამოვუძახებ!“ — ეზოდან ნინა ტოტას ხმა შემოგვესმა — „როდემდე უნდა წვეთავდეს ეშმაკურაშვილებისგან წყალი?! აი, მოვა ინსპექტორი და პრაშენია არ იქნება!“ წყლის ხსენებაზე ნესტის შეჩვეული სუნი ისევ მძაფრად ვიგრძენი და ყვითელი ლაქებით მოხატულ ჭერს ავხედე. მეორე სართულზე მცხოვრებთა ეშმაკურაშვილი მხოლოდ წვიმიანი ამინდი და ძველი სახურავია. დიდ ოთახში, პეიზაჟის ქვეშ, სადაც ბათქაშზე გამოსახული აქლემი ფანჯრისკენ მიიჩნევა, წლივია, დიდი ჯამი გვიდგას და დარმიც კი აღარავის აფიქრდება მისი აღება. ჭურჭლის დიამეტრი ზუსტად ჰყოფნის სტიქიის მოშინაურებას და დეკემბერასთვის წვიმის წყლის შეგროვებას. პანი ამბობს, რომ ჭერში ყურებისას თვალი მატყუებს და აქლემის უკან დიუნები კი არა, პირამიდებია გამოსახული. მართალია, ერთმანეთთან საკამათო არ გველევა, მაგრამ იმაზე მაინც ვთანხმდებით, რომ ნესტიან ზედაპირზე ორივენი უნალექო უდაბნოს ვხედავთ.

„არა, მაინცდამაინც პატოკ-პატოკ უნდა მოდიოდეს, ხელოსანი რომ მოიყვანონ?!“ — ისევ არ ცხრებოდა ნინა ტოტა. ფარდას ამოვეფარე და სიგარეტის ხელი განზე გავწიე, არ დამინახოს და პანის ვალი არ გაახსენდეს-მეთქი. თან გონებაში იმის გამოთვლას შევუდექი, ამ თვიდან რომ დამეწყოს ნინას ვალის შეგროვება, როდისთვის შევძლებდი ბოლომდე გასტუმრებას. სხვა დროს ამაზე ფიქრი გადამიყოლებდა, ყველაფერს მოვიკლებდი და ახალ წელს ვალების გარეშე შევხვდებოდი, მაგრამ ახლა, ჩემი ძმის პრობლემურ სესხებზე მეტად, დანის მოულოდნელად გაქრობა მადარდებდა.



ზაალ სამადაშვილი

სტუმრები...

ვაჟა გიგაშვილს
და
მის მოთხრობას ვუძღვნი

სხვებთანაც არიან მისასვლელიები; სხვებსაც უნდა შეულონ სახლის კარი;

სხვაგანაც უნდა ჩამოსხდნენ... ზოგან დიდხანს გაჩერდებიან; ზოგან — არც ისე; ზოგან ისე დახვდებიან, უკან გაბრუნება მოუნდებთ...

ხან უცხოები მოდიან — მხოლოდ ყურმოკვრით რომ გსმენია მათი არსებობის შესახებ;

ხან ნაცნობები — ერთხელ მაინც რომ შეხვედრიხარ ადრე...

ბოლო დროს მეგობრებმა მოუხშირეს ჩემთან სიარულს;

ახლაც მათ ვმასპინძლობ:

ორნი არიან — კაცი და ქალი, სამოც წელს უკაკუნებს ორივე...

ქალს მარია ჰქვია, კაცს — მაქსიმი...

მარია გამხდარია, თვალები აქვს ძალიან ლამაზი, თავზე ხილაბანდნაკრულს თმა არ მოუჩანს;

მაქსიმო მალაღია — სქელბეჭებიანი, მელოტი...

„პრიმას“ ეწევა ორივე, მძაფრი სუნის უფილტრო სიგარეტს...

მე ბევრი რამ ვიცი მათ შესახებ... ვიცი, რომ სრულიად ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ იქორწინეს;

დიდი ხანი რომ დასჭირდა გაყრილი გზების შეერთებას და იმ დროისთვის ორივენი გვარიანად გალახულები რომ იყვნენ ცხოვრებისგან, განსაკუთრებით — ქალი...

ახლაც რომ განსაცდელს უმკლავდებიან, უფრო — მაქსიმო...

ქალი მძიმედ არის, გონება აქვს არეული;

კაცმა იცის ეს და არ იმჩნევს, არავისთან ამხელს, გულმოდგინედ მალავს;

ქალს კი ჰგონია, რომ სწორედ ის უგონებს, თითქოს მძიმედ იყოს და სხვებსაც უყვება ამის შესახებ, საყვედურობს, ეჩხუბება კაცს...

სად ცხოვრობენ, ისიც ვიცი, ნამყიფი ვარ მაქსიმთან;

როგორ ჟღერს ეს სიტყვა „მაქსიმთან“, არა?..

პირველი, რაც გახსენდება მისი გაგონებისას, პარიზული კაფეა — „როტონდასავით“ და „სელექტივით“ სახელგანთქმული ვერა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი...

არადა, ზემო ვერაზე კლდის ძირას მდგარ ქოხივით სახლზეა საუბარი, მის ფიცრებისგან შეკრულ კარს რომ შეაღებ, ორად გატყობულ პატარა ოთახში რომ აღმოჩნდები. იქ კი პირსახოცგადაფარებულ გალიაში იშვიათი ჩიტი „ლიმონის ქეროზა“ დახტის,

მტოვებენ მაქსიმო და მარია... როდის გამოჩნდებიან ისევ, არ ვიცი;

ან ერთი წლის შემდეგ, ან უფრო ადრე;

გააჩნია, როდის გადმოვიღებ თაროდან წიგნს, რომელშიც მათი ამბავია მოთხრობილი...

სამაგიეროდ ის ვიცი, ვინ მომიკაკუნებს კარზე, ვის ვიხილავ ზღურბლს მიღმა უახლოეს მომავალში...

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მაქსიმოვით ზორბა, იმავე ასაკის ბერიკაცს უცხო საკრავით ხელში და მის თანმხლებს, დამჭკნარ ლოყებზე პუდრშეფრქვეულ, ყელზე ლენტშებმულ ქალს, რომლის თუთიყუში კრეტელი მემამბოხეების წინააღმდეგ გამოგზავნილი იტალიელი ადმირალის სახელს გაიძახის:

„კანავარო!.. კანავარო!.. კანავარო!..“



ფეხებში პოინტერის ხვანცალა ლეკვი გებლანდება და წითელბუნციანი სეტყერი, სახელად „ლედი“, დიდგვაროვანი ქალბატონივით მედიდური, ყურადღების ღირსადაც არ მიგიჩნევს...

მაქსიმო მონადირეა და ამ ხელობით მოულობს ლუკმა-პურისა და მარიას ნამღებების ფულს;

მაგარი „სპეცია“, ახალი სანადირო ადგილების აღმომჩენი;

არ უყვარს მათი მდებარეობის გამჟღავნება, ამბობს — მთელი ჩემი ცხოვრება გავრბოდი ჩემგანვე მონახული ადგილებიდან... მოდიოდნენ და აოხრებდნენო...

ცხოვრებაც ხომ ეგ არის რაღაც თვალსაზრისით — იმ ადგილების ძიება, სადაც კარგად გრძნობ თავს და მათი მიტოვება, როცა იქ აღარ დაგედგომება...

მაია სარიშვილი

ჩვეულებრივი ამბები

უთხარი, მოვიდეს

დედის ავადმყოფობამ ისეთი უცნაური სევდა იცის, თითქოს ას დედამინის ზედაპირს რომ დაფარავდა, იმდენი ნისლი გაჭამეს. მეც სულ ასე ნისლნაჭამი ვიჯექი დედას საწოლის გვერდით თითქმის მთელი ბავშვობა და ვუსმენდი, როგორი არაამქვეყნიური სიმშვიდით მიყვებოდა ძველ ამბებს, როგორ მაცივნებდა და მაცირებდა ამ ამბების ჩვეულებრიობის ხიბლი, რადგან „ჩვეულებრივი ამბები“ ზოგჯერ იმ ჩუმ საოცრებას ნიშნავს, გასაოგნებელი სიფრთხილით რომ გცვლის და ვერც კი რომ ხვდები, როგორ და როდის. სალამობით, როცა მზე თითქმის აღარ ჩანდა, ეს სევდა განსაკუთრებით ჯადოსნურდებოდა და კი არ მაშინებდა, მაოგნებდა, როგორც ზღაპარში შეგდებულს და დაბნეულს, რადგან ამდენწლიანი გამოცდილების მიუხედავად, მე არ ვიცოდი ამ სევდასთან თანაცხოვრების თუ მასთან გამკლავების წესები. როცა ყველაზე მეტად ვიბნეოდი, მუდამ ამ კითხვას ვუსვამდი: ვისი მოსვლა გაგახარებდა, დედა? და ჩვენ ვთამაშობდით სტუმრების წარმოსახვობანას. ვითომ მოვიდა ნატო. ვითომ მოვიდა ელიკო. არ ვიცი, ეს წარმოსახვა როგორ გეშველოდა ორივეს. ის იწევა, მე ვიჯექი. ბნელდებოდა და არ მოდიოდა არავინ, რადგან ვინც მას უყვარდა, შორს ცხოვრობდა ყველა და ღამდებოდა ასე... ახლა, როცა მე ვარ ცოტა ავად, ვწევარ და დიტო მადგას თავზე, სულ ის ძველი დღეები მახსენდება. ხოლო როცა ვინმე მირეკავს, რომ მომიკითხოს, ისე, რომ დიტომ არც კი იცის, ვის ველაპარაკები, ჩუმად მკარნახობს: „უთხარი, მოვიდეს“ და ჩემსავით არავინ იცის, როცა დედა ავადაა, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ორი მარტივი და ძვირფასი სიტყვა: „უთხარი, მოვიდეს...“



დასაწყისი პირველ გვერდზე

თვალს არ დავუფერე, როცა გუშინ-
ნინ აღმოვაჩინე, რომ ჩემი ტუმბოს უჯრა-
ში მამაჩემის ნაჩუქარი დანა აღარ იყო.

„აი, უნდა დააგლო და ზედ გაიარ-გამ-
აიარო!“ — თქვა გაბრაზებულმა პაპაჩემ-
მა.

„ან რა შემოსაშვები იყო!“ — მზერა აგ-
ვარიდა ბებიჩემმა.

„გეყოფათ...“ — დაიცვა ფერდაკარ-
გულმა დედაჩემმა.

სანამ სივარეტს ჩავაქრობდი, საბადუ-
რის ქუჩიდან მუხრუჭის ხმა გაისმა. ერთი
მანქანა მეორეს მიადგა. ორივედან ერთდ-
როულად გადმოვიდნენ ბიჭები და მხრე-
ბის თამაშით ნახევარწრეზე დამკრივდნენ.

— არა, რა! ამ ამ უბანში საქმე სხვანა-
ირად არ კეთდება! — სიცილი ამიტყდა.

— გამოყვებულები არიან! — პანამ
ასანთის ღერი ნკიპურტით მოისროლა.

— მაიცა, ის ნოჟიკა არ იყო? ხელზე რა
სჭირს?

— შეშაზე იტყინა და ეხლა რადიატო-
რზე ჩალიჩობს.

— ერთი, დანის ამბავი მაგას უნდა ვკი-
თხო, იქნებ იცოდეს.

— რათა? ნოჟიკას რახან ეძახიან? მაი-
ცა, რა. მაგის აინ-ოინების თავი არა მაქ.

— არა, რაღა მაინცდამაინც აქ მოაწყო
ცირკი... — პანის გამომცდელად გადაეხ-
ედე.

საჭმლის სუნი ორივეს სასადილო ოთა-
ხისკენ გაგვიძღვა. დარეჯანს საქმეები მო-
ეთავებინა, თავის საყვარელ სავარძელში
მოკალათებულყო, სათვალე ცხვირის წე-
რზე ჩამოედო და მობილურის ეკრანს საჩ-
ვენებელი თითით ნაზად ეხებოდა. რეკლა-
მების კითხვით იმდენად გართულიყო, რომ
გარშემო ველარაფერს ამჩნევდა, ვერც იმ-
ას, პანის მისი ვარდებიანი ხალათი რომ
ჩაეცვა და ჯიბეებს კონახურის კანფეტის
ქალღღებებისგან ასუფთავებდა.

— ილღია საჩუქრად! ეს რაღაა?! დარი-
კო, მოდი, რა, დაურეკე და უთხარი, რომ
არ მინდა! — მობილურის ეკრანი ჩემკენ
მოაბრუნა და თვალები მოიფშვინა.

— რა ილღია?

— აი, მწერს „შარმი და ორქიდეა“.

— ეგ რეკლამები ყველას მისდის.

— როგორ, უხერხული არ არის, რომ
არ შეეცხმიანო?

— არა.

— ყველას როგორ მისდის, ქალბატო-
ნო დარეჯან, ასე და ისეო...

— მაგათ სარეკლამო პოსტზე დაგეჭი-
რა ხელი ეტყობა და ავტომატურად გიპა-
სუხეს.

— რა ავტომატი, რის ავტომატი, რა ხა-
ლხი ხართ! — ტელეფონი ტახტზე მოი-
სროლა და პაპაჩემს მიუბრუნდა, — სოლი-
კო, არ მოგშივდა, სოლიკო?!

პაპაჩემს შეკითხვა არ გაუგია, თუმცა
მიხვდა, რომ ტელეფონის ხმას დარეს
შეძახილი შეერია, ბებიჩემს გახედა და
ყოველგვარი შესავლის გარეშე გამოაცხა-
და:

— მერი ტერეზა ვინიფრედ რობინსო-
ნი!

— ვაიმე, ყურის ფარდა ამხადა ამ კაც-
მა, რა! — ხელი აუქინა დარეჯანმა.

— კარგი! მაშინ — კრისტინ მადლენ
ოდეტ ლაგარდი! რა არ მოგნონს? არა, გე-
კითხები, რა არ მოგნონს?

— შენი მონონებულები! ისევ ისა თქვი,
რა, შე კაი კაცო — სოფია ვილანი შიკოლი-
ნი!



რუსუდან რუხაძე

ანტისნაიპერი
წესისამებრ

— ჰმ, პრაკურორ! მეტსაც გეტყვი —
სოფია კოსტანცა ბრიჯიდა ვილანი შიკო-
ლინი!

სოლიკომ სიარულის მანერაში სოფი
ლორენს გამოაჯავრა, დარეჯანმა სოლიკ-
ოს და ორივეს სიცილი აუტყდა. მერე ვარ-
დებიან ხალათში გამოწყობილ პანის გახ-
ედეს და ერთდროულად ჩაიქნის ხელი.

ჯემპრის სახელი დავიგროვებ, ცხელ
ქვაბს თავსახური ავხადე და ახალშეკმაზუ-
ლი ლობიოს სუნი ხარბად შევისუნთქე. გა-
ვიფიქრე თუ არა, რომ მერისთვის თავისი
წილი სადილი უნდა გადაგვენახა, ოჯახს
ახალი ამბავი ვამცნე.

— დედა დაინაწურეს.

— რას ამოწ? ტო?!

პანი სიხარულს და ბრაზს ერთნაირად
გამოხატავდა.

— ჰო, მესალათედ გადაიყვანეს.

— მაიცა, ეგ რა დანიწარებაა, ქალი
ბიბლიოთეკაში მუშაობდა მთელი ცხოვრე-
ბა! — ბრაზი მოერია პაპაჩემს.

— მცხოვრელებისთვის ეგრა. აბა, მიდი
პაპანაქებაში მთელი დღე ცეცხლთან იმ-
რომე. გოგო ზამთრის დადგომაზე ოცნე-
ბობდა, — ცრემლი მოადგა დარეჯანს, —
ამათ კიდევ უყურე, რასა გვანანს! დგას ორ-
ივე გაფითრებული, ერთი — წიგნისგან,
მეორე — ნამლისგან!

ვიცი, რომ ბებიჩემი მე არაფერს მერჩ-
ის, მაგრამ პანი რომ არ გაბრაზდეს, ერთ-
იანად დავიცავს ხოლმე. მას მერე,
რაც ჩემმა ძვირფასმა ძმამ სარკე ჩამატე-
რია და ზედმეტი შეკითხვების დასმა აგვი-
კრძალა, ოჯახის წევრებისგან საყვედური,
როგორც წესი, თქვენობით გამოეცხადება.
მეც ავეყვები ამ თამაშს, დამნაშავესავით
გავიყურებ და თავს ჩაქინდრავ ხოლმე.
ვერც იმის გამხელა გამიბედავს, რომ სახ-
ლიდან წასვლის გენეტიკური წინასწარგან-
წყობა, რაც ყველას ასე ძალიან გვაშინებს,
საკუთარ თავში მეც არაერთხელ მომიხე-
ლთობია.

— რა ნამალი, ატრაკებ, დარე, ატრაკ-
ებ! ხო იცი, სუფთა ვარ! — პანი დარეჯანს
ზურგიდან მოეხვია.

— შენ ენა გააჩუქე! დარიკო, ერთი აქ-
ეთ მობრუ! პურზე ჩადი და ბრონეულიც
ამოიყოლე ანუშასგან, გამოგინურთო მა-
ინც.

ჰო-მეთქი და ისევ დანაზე ფიქრში გამ-
იშტერდა თვალი. ჩემს გონებაში კვლავ ტა-
რზე მოხატული ყვავილი აკიაფდა. მაინც
არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ სახლი-
დან პანიმ გაიტანა, იქნებ მე შევუცვალე
ადგილი და აღარ მახსოვს-მეთქი, საკუთ-
არ თავს დილიდან უიმედოდ ვედავებოდი.
ყველა რომ დაიძინებს, კიდევ ერთხელ და-
ვუვლი კარადებს, ჯიბეებს, სამალავებს და
თუ მივგავნი, ეჭვიც გაქარწყლდება, მაგრ-
ამ პანის ვალების გამო ბრაზი მაინც არ
გამინდებდა.

— ჰა, ეხლა! გაბრუ და საქმეს მიხედე!

— დარეჯანმა თავზე ხელი გადამისვა.

— კიდევ რას მიბრძანებთ?

— ნიორიც!

— კარგი.

— და ქინძიც!

ქუჩის ბოლოს ბიჭებს ხელის აწევით ვე-
სალმები და კარის თავზე დაკიდებული ჩი-
ნური ზანზალაკის წკრიალით შევივარ
მალაზიაში. თაროდან ახალ პურსა და ფუ-
ნთუმებს ვიღებ, ხილ-ბოსტნეულის ყუთებ-
ში დარეს დანაბარებს ვათვალთვლებ და
თან დახლს მიღმა ქერად შეღებილი კულუ-
ლების დანახვას ვცდილობ.

— ანუშ!

— ჰამეცქე! — ჩვეული ხალისით მეხ-
მიანება, დავთარს ხურავს და ფეხზე დგე-
ბა.

— ნიორი არა გაქვს?

— აგე, იმ ყუთიდან აიღე და უკან დამიბ-
რუნე, ერთი კბილიც თუ იყოს გაპარული!

— კონა ქინძიც, რა. ბებიჩემმა დამა-
ბარა.

— ერთი კონა რას გეყოფათ, გოგო, ქვ-
ასანაყმი გაგიქრებათ!

— კარგი, ორი იყოს.

— მწვანილზე ისეთი ფასი მიდევს, სუ
ბუნუნები მცვივა სირცხვილისგან, მაგრამ
რა ვქნა, ვერე შემოიტანეს.

— შენა, პანის ხო არაფერი მართებს შე-
ნი?

— არაფერი! ას ლარამდე თუ იქნება,
მეტი — არა!

— მერე, ეგ არის არაფერიო?! ნულა მი-
სცემ ნისიად, რა! — უიმედოდ ჩამოვუშვი
მხრები.

— შენ ხო იცი, მე და პანი ძმები ვართ.
დარესგან და პაპაჩემისგან კიდევ სამსე ვარ,

— ხელი ღაბაბის ქვეშ ამოსვა, — სუ პატა-
რა გოგო ვიყავი, აქ რომ მოვედი.

— მისმინე, დანა ხომ არ მოუტანია გა-
საყიდად? — კარისკენ გავიხედე, არავინ
შემოგვისწროს-მეთქი.

— ვაიმე, რა დანა, რის დანა?! დარი-
კო-ჯან! — გულზე დაიდო ხელი.

— ჰო, კაი! — ქინძის კონა დავცნოსე
და ვალები ხელახლა გადავიანგარიძე.

მობილურის ზარზე ანუშა ყურსასმენს
ისწორებს და სარკეში იყურება. „ლიანო-
ზოვი რეკავს!“ — გახარებული მეუბნება,
თავს გვერდულად ხრის და ეკრანს თვალს
არ ამორებს.

— სადა ხარ, ედო, სადა?! აგე, რაფოს
ბიჭებმა იმდენი დააგროვეს, სუ ჩეხურები
იყიდეს გლდანში. შენ რას მიკეთებ, ჰა?!

პასუხი არ მესმის. ედო ალბათ ისევ თა-
ვის გაჭირვებაზე ხუმრობს. ანუშა კისკი-
სებს.

— ხმან ეს? კსპანემ!*

მოუსვენრად უსმენს, თან ტურებს ათა-
მაშებს და რაღაცის სათქმელად ემზადება,
მაგრამ უცებ გამომეტყველება ეცვლება
— როგორც ჩანს, ედო მალევე ახერხებს
ანუშას მოთაფლვას.

— ჩამო, ბიჭო, ჩამო. იცი, რა ქალი დავ-
დექი?!

ანუშა თვალს მიკრავს და ენას მიყოფს.
ბრონეულს სათითოდ ვარჩევ, მერე ხან
ყავა მახსენდება, ხან წინიბურა, ფუნთუშ-
ებს კიდევ ვამატებ და ნავაჭარს ორ ჩანთა-
ში ვანანილებ. ანუშა ხელით მაჩვენებს, ამ-
დენი გამოვიდაო, ფულს ლანგარზე ვუდებ
და სანამ კართან მივალ, წინ მასწვებს:

— მაიცა, გოგო, გაგილო! ისე არა ქნა,
მხრით რო იცი დატაკება! — კარს ფეხით
იჭერს და ისევ ედოს ეხმიანება.

გზად ჯიხურში სივარეტსაც ვყიდუ-
ლობ და სახლში უხასიათოდ ვბრუნდები.
ვალის ასი ლარით გაზრდაზე მეტად იმან
უფრო წამიხდინა გუნება, სიცოცხლის სიყ-
ვარული ანუშასავით რომ არ შემიძლია.
ნავაჭრი სამზარეულოში შემაქვს, თაროე-
ბზე ვაბინავებ და ერთ ბრონეულს ხელით
ვსრეს, უმნიფარი არ იყოს და დარემ არ
მისაყვედუროს-მეთქი. ნაყოფის ნახეთქი-
დან წვენი მოჟნავს, მტევანს ვატრიალებ
და წვეთს ენის წვერით მაჯასთან ვაკავებ.
ტკბილია და მიხარია, რომ პანისთვის გა-
მონურულის დაღვევაც მე არ მომიწევს.

ამასობაში ბებიჩემი სუფრა გაუშვია.
კომპოსტის შეწამული მწნილით, არყის
ლურჯი გრაფინითა და მაროსავით დაკე-
ცილი სალათისფერი ხელსახოცებით ზამ-
თრის უღიმღამოდლე გაუფრადებია. სან-
ამ მაგიდასთან თავს მოგვიყროს, ისევ სა-
რეკლამო ტექსტების ხმამალა კითხვით
ირთობს თავს და პასუხსაც არ უგვიანებს:

— შენ ფული თქვი, თორემ კარგი რა
არის, მეც კი ვიცი!

პაპაჩემი დარეჯანის ხმის გადასაფარ-
ად ტელევიზორს ხმას უწევს და ამბობს:

— ურსულა ფონ დერ ლაიენ!

ფეხსუბზე ყველა ჯგუფი დავეძებნე, სა-
დაც ძველი ნივთები ვაჭრობენ — რარი-
ტეტები, ანტიკვარები, საოჯახო რელიკვი-
ები... აქ განვერიანებულ ადამიანებს მხ-
ოლოდ ძველებური პორტსიგარის, ჯიბის
საათისა და ვერცხლის მედალიონის სარფ-
იანად ყიდვა-გაყიდვის სუფილი აერთი-
ანებთ. ერთმანეთის მისწრაფებები, გემო-
ვნება და შესაძლებლობები კარგად შეუსწ-
ავლიათ და ზუსტად იცან, ვისთან ღირს
პაექრობა და ვისთან — არა. აი, ახლაც ან-
ონიმური მფლობელი მეცხრამეტე საუკუ-
ნის სასმისს აქებს, კომენტარებში კი ზოგი
მის მოხატულობას აფასებს, ზოგი სინჯის
ნაჭდევის უხარისხო ფოტოს გამო მის ნამ-
დვილობას ეჭვქვეშ აყენებს, ერთიც ალაღ-
ად კითხულობს, რამდენი ჩადისო. ამასო-
ბაში Guro Guro ძველ პოსტს აცოცხლებს:
კიდევ თუ გამოჩნდა ასეთი მონეტა, მომწ-
ერეთ და აუქციონის გარეშე ორმაგს გადა-
ვიხდით; MA KA ჩანს სერვისის მექვეშეჭი-
ქას ეძებს, დაზიანებული არ შემოთავაზო-
თო; Anna Koba-ს ლარნაკის მწვევილე გას-
ტეხია და გასაყიდად გამოუდია, ცალად
დატოვება ცუდის ნიშანიაო. წერენ ლაღ-
ად და თავისუფლად, არავინ ფიქრობს მარ-
თლენაზე, ქართულ შესატყვისებსა და
სასვენ ნიშნებზე. მთავარი სიძველეების
განსაკუთრებული სიყვარულია და სამყა-
რო უკანასკნელ წუთებსაც რომ ითვლ-
იდეს, ამგვარ ერთობათა საპატიო წევრებს
სასურველი ნივთის დაპატრონების ჟინი



სანჩესები ნავიდან...

ჩვენ ძალიან გვეწყინა, რომ სანჩესები ნავიდან. რომ გვეტუმრენ ზაფხულში მეზობელი რანჩოდან. მოიტანეს სიცილი და ბევრი კომპი, ჩურჩული. თქორებისას წყლის წვეთები ჩადიდნენ მათ კისერში თავნებურად, ჩუმჩუმად. მაგრამ ზოგჯერ ისე წვიმდა, მოსხლტებოდა მინდვრები, ტბები იდგა დაბლობებში, ვქსოვდით, ფიქრებს ვირბევდით. მაგრამ მერე ისე თოვდა, თოვდა, თოვდა და თოვდა, რომ ფარავდა ამბრის ხეებს, ჩვენ ვიდექით და გვექონდა იმ ამბებზე ხუმრობები, თუ როგორ მოდიოდნენ სანჩესები უგერგილო ქცევებით და კომპებით, სირუმის აუტანლობით, წვიმებით და გროშებით. იცინოდნენ, იგიჟებდნენ თავს და მათ მოიგონეს სიყვარული.

საიდუმლო

— გქონდეს შენ ჩემი საიდუმლო! იცოდე, სამარე იყავი! ჩემი საიდუმლო, რომელიც ბრონეულივით პირგახლეჩილა. ჩემი საიდუმლო, თავივით რომ დარბის შენს სხეულში, უნდა ატარო! ოღონდ, ღმერთი არ გაგინყრეს და, არავის უთხრა! ეს ხომ ჩემი საიდუმლოა! და მე ეს ჩემი საიდუმლო, ზოგჯერ საკუთარ თავსაც რომ ვუშალავ, და ზოგჯერ საკუთარ ბაგეებზე ძლივს ვაკავებ, ყნოსვას მისუსხავს, მაგრამ ენით სასაზე ვასრეს, ფუტკარივით რომ არ გაფრინდეს. აი, გაგანდე! თანაც ხომ ხედავ, ერთი კი არა, ათასი წვრილმანი ამბავი გაგანდე. ახლა კი შენი სინდისის სიმყარეს მხოლოდ ამ საიდუმლოს შენახვით შევამონმებ.

ქორნილი

სალამოს ქარში იმ სოფელში ქორნილში მოვხვდით. ჩვენ გაგვეფიქრა, თეთრკაბიანს არ უყვარს ქმარი. არც იმ გოგონებს არ ენდობა, გუნდად რომ სდევნენ. ეს მოგონებაც მხარზე კავთით გადაიკიდე და ვარდებიან აღმართს აუყვე. ო, თანაც ნახე, რა სურნელია! ჩვენ ხომ არ ვიცით, რა არის სიყვარული.

00:03

ლამპიონების ანათებს მთვარე ქალაქის გამოფიტულ საუფლოს, ხანდახან მინვევს სურვილი მწვავე, რომ გესაუბრო. რომ ვისაუბროთ, მაგრამ არავინ და არაფერი არ მეთანხმება, არადა, ყვირის ჩემში კარავი სახმო სიმების დასაძახებლად.

ლილე

ეს თეთრი ჩოხა სისხლნაბანია! ეს თეთრი ცხენი მოსყიდულია! ლილე! არასდროს არ შეგაშინოს სუსხმა, ნკვარამმა, ხმამ დავინწყების, თუ ჩრდილოეთის უცხო მხარედან სალამოს ჟამზე გამოიქცევი.

ეს თეთრი სახლი ნამქრიანია, ეს თეთრი ხელი — ლოლოს ნამგვანი. ლილე! როდესაც ჩრდილოეთის მთამ ნამოიხუროს თავზე საბანი, ნამოდი! რადგან სხვა ზაფხულებზე წამით ნათიბი თბილი დღეები მოგატყუებენ, მიგიზიდავენ, კვლავ სიყვარულში დაგაჯერებენ.

ყველა ქალის სახელით, ვინც არ უყვარდათ

რა კარგი ჰქენი, რომ არ გიყვარდი! უნდა მესმინა ახლა შენი მძიმე როკისთვის, მომეკატუნა თავი, თითქოს ძალიან მომწონს, ყოველ სალამოს მოვუსმენდი, დაძინების წინ ნეირონების დაფლეთამდე მივეჩვეოდი და მერე ყურში იავნანად ჩამესმებოდა. რა კარგი ჰქენი, რომ არ გიყვარდი! ვინ დაიტევდა უზიარო, უთქმელ სამყაროს? ან ვინ ივლიდა უსასრულოდ შენს კონცერტებზე, ვინ მიიღებდა არმიას — შენს თაყვანისმცემლებს? ვინ ეცდებოდა, ყოფილიყო ასობით ქალზე უფრო ლამაზი, ეშხიანი, უფრო ჭკვიანი? ვინ წაისვამდა ამის გამო პუდრს, თვალზე ფანქარს? ან ვინ შეჭამდა ვახშმად მხოლოდ სალათის ფურცლებს? და ბოლოს, მაინც მე ვიქნებოდი, ვინც უსათუოდ მოგებზრდებოდა. რა კარგი ჰქენი, რომ არ გიყვარდი! ვინ შეძრებოდა სახლის ყოველ ღრმულში, ღრიჭოში, რომ იქაც მტვერი გულიანად გამოეწმინდა? ვინ დააწყობდა ნივთებს ფორმის, ზომის მიხედვით? და შენი ზიზლით, ანდა შიშით — ივარჯიშებდა? ვინ გადმოღვრიდა ცრემლებს, თუ ვერ დაგახვედრებდა გემრიელ საჭმელს? რა კარგი ჰქენი, რომ არ გიყვარდი! და შენ, შენ კი არ გაგიმართლა — შენ შეგიყვარდი! და ვინ იბრძოლებს სიყვარულის გასანახლებლად? ვინ შემოიტანს რუტინაში სიცოცხლის ფერებს? ან ვინ გამოთვლის მისანივით უცნობ მომავალს — სიყვარულმა სახადივით რომ გაგვიაროს? რა უცნაურად მოიქეცი, რომ შეგიყვარდი!

ქალაქი ისე აჩახახავდა

ქალაქი ისე აჩახახავდა, ლამის აფეთქდეს, როგორც ატლანტი, მარტოსული დასჯილი ბავშვი,

ტვირთი, რომელიც სამყაროა, მოხვევს საცეცხებს და ფრთებს მშვენიერს ის საკუთარ სევდაში გაშლის. სიყვარულს ამბრის ფერი აქვს და ლიმნის სიმწარე და სანამ გტკივა, იცოდე, რომ ჯერ კიდევ გიყვარს. წარმავლობაში არაფერში რჩება სიმყარე, მოვიდა წვიმა და პოეტმა თქვა: სული მიჰყავს. ქალაქი კი ისევ ჩახჩახებს, დედამინაზე ვინ გაქცევია ჯერ რუტინის ძალმოსილ სიტყვას? სიყვარულს ძონის ფერი აქვს და ლიმნის სიმწარე. მოვიდა წვიმა და პოეტმა თქვა: სული მიჰყავს.

ჰელენი

ახალი წელი ამ ზამთარსაც გამოათეთრებს, შენ ახლა მხოლოდ მზის და დნობის ჩქამი გაფეთებს. ხან ვარსკვლავიან ღამეში ამბობს პელენი, როცა ცეცხლს გააჩაღებს: „თბება. და ჩემი ხელი აკლია გადმორგულ ვარდებს“.

თავბადასავალი

იგი ავ სიზმარს გამოექცა და უნებურად გზა აერია ორი ქვეყნის გზაგასაყარზე

რუბი

რუბი, იმედია, გნახავ. შენი უმხრებო კაბა ჩაიცვი. ველური გემო აქვთ შენს ტუჩებს და ალუბლის ნებოვნება შენს აზრებს. რუბი, ვიცი, რომ ანიმა ხარ, გამომწყვედელი ყინვის კომპკებში. ფეხშიშველი მიიპარები და ნაპრალიდან სხივს უთვალთვალე. შენი ენა გაუგებარია, შენი ფიქრი — თვალშეუვლები. იქნებ ჰარიუს მხარზე დაიძინო, როცა ქვეყანა ჩაეფლობა აპოკალიფსში.

შობა

დაფრინდი, დაფრინდი, დაფრინდი, მსუბუქო ფანტელო თოვლისა... შენ გული წმინდა გაქვს და წინ დევს ეკალი, ვარდებს რომ მოისხამს. შენ გული სუფთა გაქვს და შინდის ტოტებზე ჩიტები გალობენ. ეს სული ხმობს ქრისტეს მაშინდელ სუსხში და წვიმაში გამოზრდილს. ეს სისხლი ჰგავს ყვავილს საშინლად, რომელიც სხეულზე ამოდის.

საცოპი

გეთსიმანიის ღამენი არ და აღარ დასრულდნენ... არ დაადგათ საშველი. აი, სამკაულები მოგიტანე, შენ კი თქვი: „ეგ არ არის საჩემო“.

...
 ამ წვიმას და ამ ამინდს
 კიდევ ქარი უნდოდა?
 ახლა გარეთ რა გავა!
 წარმოიქმნა
 საცობი
 აქ
 და სოფლად
 წისქვილი
 მენისქვილემ დაგავა...

ნავსიკაა

კვლავ გელოდება ნავსიკაა
 ქუჩის ბინდ-ბუნდში.
 იასამნები ჰყვავიან და
 გოგონა იკრავს
 გულში წვიმიან იასამნებს — ლამის ყვავილებს.
 ფაეტონივით დაბაჯბაჯებს ზღარბი ბალახში,
 გახდა
 მუხუდოს მარცვლისხელა შეკრული მუჭი.
 და სიგარეტის ნამცეცები ზიზლით
 მიაქვს წყალს...
 კვლავ გელოდება ნავსიკაა
 ფრანგულ კაბაში,
 რათა ზაფხულის
 სიმზაკვრეში
 თოვლი მიათვა.

ქორინება

შემომიყვანე შენს მშრალსა და გამჭვირვალე
 კატასავით სუფთა დღეების,
 გახამებული პერანგების,
 საპარსი ქაფების
 სამყაროში,
 სადაც შემოიღია,
 გვირილის კაბით
 შენს მკერდზე ვინვე.
 სადაც შემოიღია,
 ვიყო არეული.
 სადაც შემოიღია, მოვიმზადო ჩაი
 შაქრის ვარსკვლავებით.
 სადაც შემოიღია,
 ლექსები ვწერო.

მზა თვალჭრალეთით

მოლზე უჩუმრად ვანყო ხელებს,
 გარეთ მწვანეა.
 ზემოთაც, სადაც აიხედავ,
 ბალახის გულზე,
 ახლა დავაგე თავსაფარი, ჭილის კანოე
 და შენს სახელს და შენს სახეს და გონებას ვუძლებ
 და გეკითხები: „ასე როგორ დაგიმახსოვრე?“
 ჭრელი პეპელა დაფარფატებს, რა სიჩუმეა.
 მხოლოდ გალობის ხმა და ზამთრის
 თეთრი მუშია
 ისე იმსხვრევა და შემოდის მზე თვალჭრალეთით,
 მე მომენატრა,
 მომენატრა შენი ხმელეთი!

ხელიდან გამომეცალე

ბავშვობაში ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისად მოზრდილი არ ვიყავი.
 თინეიჯერობაში ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისად ლამაზი არ ვიყავი.
 ოციან წლებში ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისად მუამბოხე არ ვიყავი.
 მერე კი, ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისად თამამი არ ვიყავი.
 მონიფულობაში ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისად ახალგაზრდა არ ვიყავი.
 სიბერეში ხელიდან გამომეცალე,
 რადგან საკმარისზე მეტი ვიყავი
 მთელი ცხოვრება.

შეძრულია შენი ხილვით ჩემი სახლი

მაგრამ ერთხელ ჩემთან ისე შემო, მშვიდი
 მომიტანე სხვა მიწათა ხმა,
 სილამაზე ამ თოვლის და შინდის,
 შორი, შავი, მოშრიალე ზღვა.

შეძრულია შენი ხილვით ჩემი სახლი,
 შემო, რადგან არ შეშინდი შენ,
 ამ წვიმიან ადგილებში დავესახლე,
 მისამართიც არ ვიცოდი შენი.

ეს ხომ ძველი სიმღერაა,
 რამე ახალს
 ასეთ წამში ნურასოდეს მთხოვ.

ჩემს სხეულსაც ფიქრის ბოლო სივრცეს ახლის
 ნისლი,
 ქარი,
 წვიმები და დრო.

ეს ხომ ძველი სიმღერაა,
 რამე ახალს
 ასეთ წამში ნურასოდეს მთხოვ.
 მე ვინვოდი და მჯეროდა,
 რომ ვნახავდი
 ბოლოს თოვლს და ზეთისხილის რტოს.

შეძრულია შენი ხილვით ჩემი სახლი.
 შემო, რადგან არ შეშინდი შენ,
 ამ წვიმიან ადგილებში დავესახლე.
 მისამართიც არ ვიცოდი შენი.

მომწყინდა შენთან

მომწყინდა შენთან.
 ეს ასეთი გასაკვირია?
 უცებ მომინდა, დამენერა სიმღერები,
 გამომეცა ალბომი,
 რომელსაც წყვილები ზღვისპირას მოუსმენდნენ.

მომწყინდა შენთან.
 განა შენ არ მოგწყინდებოდა?
 უცებ მომინდა, მემოგ ზაურა,
 მესწავლა ესპანური და
 მეთარგმნა ფედერიკო გარსია ლორკა.

მომწყინდა შენთან.
 მომენატრა
 ბელგიის რომელიღაც სოფელში
 ღამე ველოსიპედით დაკარგვა,
 როცა ტელეფონი მიჯდებოდა და
 ხვავრიელი თოვა იწყებოდა.

მომწყინდა შენთან.
 მომინდა უძველეს ცივილიზაციებზე
 წიგნების ნაკითხვა,
 მომინდა, გამეგო, როგორ გაჩნდა ქვეყნად სიცოცხლე.
 მომწყინდა შენთან...

და ბოლო, ჩემი მამობარი

დადგა ზაფხული
 და გოგო,
 ჩემი მეგობარი,
 ამბობს, რომ ყველგან ვარდების სუნი სცემს...
 ჩემი მეგობარი, პრაგმატული,
 რომელსაც უყვარს საკანცელარო მალაზიები
 და მოსწონს მარწყვის მირთმევა
 მიწაზე მყარად სიარულისას.
 და მერე რა,
 რომ
 ოცი წლისაა,
 მალე რომელიც ჯვარს დაინერს
 და
 მე ალუბლის სარაფანით მარტო დავრჩები
 არა ჩემი მეგობრისაგან,
 არამედ ჩემივე ჯვრისწერისგან
 და ჩემი მეგობრის უჩემო ჯვრისწერისგან...
 და ჩემი მეგობრის ხავერდის
 კაბებისგან
 და მის დახურულ, ნითელ ტუჩებზე
 პერსპექტიული ღიმილისგან.
 მაგრამ
 წელს
 დადგა ასეთი
 ზაფხული.
 და ჩემი მეგობარი
 ამბობს, რომ
 ყველგან,
 სადაც
 არ უნდა წავიდე
 და
 ყველგან, სადაც არ უნდა
 წავიყვანონ,
 ვარდების სუნი სცემს...

სანსკრიტი

აღმართზე ამოვბოდი,
 აღმართის თავზე მხვდებოდი შენ.
 სანსკრიტი,
 რომელსაც მეცნიერი შეეჭიდა,
 დაემსგავსა ნელ სიკვდილს.
 რა მიხაროდა?
 ან რა მიმძიმდა?
 თოვლი — მლაშე, ძველი და თეთრი...
 უდაბურ მთებში მარტოობის არ შეგეშინდეს.

აღმართზე ამოვბოდი,
 აღმართს შუა შენ მხვდებოდი.

გულში მიკრავდი
 მხოლოდ თოვლის
 ჩუმი სისველით
 და მეუბნებოდი:
 „რა გვიხარია ან რა გვიმძიმს?
 სანსკრიტი, რომელსაც მეცნიერი შეეჭიდა,
 ბედნიერების
 მომტანი
 არ აღმოჩნდა
 მისთვის“.

ჩანთა, რომელშიც ყველაფერს ჩაწყრიდი

თავიდან მეშინოდა ცხოვრების,
 მაგრამ მერე მივხვდი, რომ
 მჭირდებოდა ჩანთა,
 რომელშიც ყველაფერს ჩაყრიდი.
 წინაკის სპრეის, რვეულებს, კალმებს,
 ზიზლს ხარბი, უწმანური თვალბისთვის,
 შარფს, თვალბამდე ასაფარებლად
 და ფოფერბანკს,
 თუ გვიანობამდე მომიწევდა მუშაობა და
 ღამის ქუჩებით
 სახლში დაბრუნება.
 ბარათებს, საფულეს,
 სადაც კაპიკს კაპიკზე დავაგროვებდი
 და ბოლოს ინფლაცია დაინყებოდა,
 ჩემი საპენსიო დანაზოგი კი
 ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ 3000 ლარია.
 ნაკანრებიან სათვალეს,
 მზისგან დამცავ კრემს,
 წლების მატების პროცესი რომ შეენელებინა,
 საქალაქ პლანშეტს,
 უცებ ამ ქარიშხალში
 ქუჩის მტვერი რომ სახეზე მეყრებოდა,
 კონფერენციაზე რომ ვინმეს დავეძახებინე,
 პიანინოს კლავიშებს,
 გირლანდა რომ ეფინა
 და, რაც მთავარია,
 რაც მთავარია,
 წინაკის სპრეის.

HOMELAND

გთხოვ, არ იზრუნო ჩემზე,
 რადგან, უმჯობესია, წავიდე.
 თბილ საჭმელს ნუ დამახვედრებ,
 ნურც კომფორტულ სავარძელს,
 რადგან, უმჯობესია, წავიდე.
 გულში ნუ ჩამიკრავ, პალტოს ნუ მომასხამ მხრებზე,
 არ შეგცივდესო,

რადგან, უმჯობესია, წავიდე.
 კარგად ნუ მომეცევი, ნუ მაპატიებ შეცდომებს,
 სიმღერაზე, წერაზე და
 კაბების კერვაზე ოცნებებს ნუ ამიხდენ,
 რადგან უმჯობესია, წავიდე.
 ნუ მომიყვან ქუჩიდან
 კნუტს,
 ნურც ძალღს,
 მაღლიერებით გულივით რომ ფეთქავს,
 რადგან, უმჯობესია, წავიდე.
 სუფთა ჰაერს ნუ მასუნთქებ,
 ნუ შემეჭმნი პირობებს
 ოჯახის შესაქმნელად,
 რადგან უმჯობესია, წავიდე.
 ნუ გამოიმეტებ ტკბილ სიტყვას, ნუ მიმიღებ,
 რადგან უმჯობესია, წავიდე.
 არსად არ მომცე ადგილი სამკვიდროდ,
 რადგან უმჯობესია,
 წავიდე.
 თქვი, ეს თავის თავს ყველგან იპოვის,
 მაგრამ ჯობია, მოვიშოროთო,
 რადგან უმჯობესია, წავიდე.

და ვიბრძნო — მიინავს

და მესიზმრება
 შენი ხელი,
 უცნობი ხელი,
 როგორ ეხება ჩემი თმების
 ნაბლისფერ ნარმას.
 და მესიზმრება
 შენი ლანდი,
 თავთან დახრილი,
 და მესიზმრება
 მოსასხამის
 შავი სახელო.
 და ვიგრძნობ:
 მძინავს, ვერ ვიღვიძებ —
 შენ მელოდები,
 მე კი
 ვერაფრით ავეწყვიტე ძილის ფანჯარას.
 და ვიგრძნობ,
 მძინავს,
 ვერ ვიღვიძებ,
 შენ მელოდები...

დასასრული

— კაცი! — გამომაჯვარა ელიზამ.
 — არა, გეკითხები, ვერ იყო თუ არა?
 — შენ ეხლა იცი, რას გეტყვი?! — თან-
 დათან ისიც აიფოფრა.
 — ჯერ პასუხი გამეცი! — შარფი კიდევ
 უფრო მოვიღეღე.
 — მაიცა, მაიცა, ვერ გავიგე...
 — რა ვერ გავიგე, პერველი გინდა?!
 — ეხლა მომისმინე, პატარა გოგო! პა-
 ნის კაცს ეძახი და მამ, გოჩა კაცი არ არი?!
 ამანაც ვეღარ მოითმინა! — ელიზამ მხარ-
 დაჭერისთვის დარეჯანს უშედეგოდ გადა-
 ხედა.

— რას ამონ, ტო! აასხა ჯიგარს და ჩემი
 ძმა უნდა მოეკლა, არა? ყასაბი ევა!

— ერთი ამას უყურე, როგორ თავის ძმ-
 ასავით ხირობს! ნუ გეშინია, შავსოფლე-
 ლების ვალს სანამ არ გაისტუმრებს, პანის
 ხელს არავინ ახლებს, შეგიძლია, მშვიდად
 იყო! — ამის თქმა იყო და მეგონა, ახლა მე
 მომხვდა გირი თავში.

— რა?! რა შავსოფლელების ვალი?..

სიმონისგან სიგარეტი მაგიდაზევე ჩა-
 ვაქრე, სკამის საზურგე გადავნიე და მაგ-
 იდის ზედაპირს მოვეჭიდე. მერი და დარე-
 ჯანი გაოგნებულნი შემომყურებდნენ, ას-
 ეთი არასოდეს ვენახე და საკუთარ თავს
 აქამდე თურმე არც მე ვიცნობდი. თან ალ-
 ბათ იმაზეც ღელავდნენ, რწევსას სკამი
 არ მომცურებოდა და მალაზიიდან მეც თა-
 ვგატეხილი არ გავეყვანე. ელიზა კარის
 ჭრიალზე მიხვდა, რომ სანყოზიდან გოჩამ
 გამოყო თავი, ლაპარაკი შეწყვიტა, თვალე-
 ბი დახუჭა და გამყინავი ხმით დაიყვირა:

— გადი აქედან! ქალები ვლაპარაკო-
 ბთ!

გოჩას ჩანთილებული უბეები ისევ უხ-
 მოდ მიიძალა. ელიზას უეცრად თვალე-
 ბი აუწყლიანდა და თავი ხელელებში ჩარგო, მა-
 გრამ ორ წამში ცრემლი გაიშრო და ისევ
 პირგამეხებულმა ამოგვხედა. მაშინლა მივ-
 ხვდი, რომ ისიც ისეთივე თავგამოდებით
 იცავდა დამნაშავეს, როგორც — მე. თუმ-
 ცა, იმ წამს არ არსებობდა ძალა, რომელიც
 ან ერთს ან მეორეს დანებებას გვაიძულებ-
 და. საკუთარი სათქმელი აღარცერთს გვა-
 სსოვდა, მაგრამ ზუსტად ვიცოდით, კაცე-
 ბის მაგიერ რა უნდა გველაპარაკა. ელიზა-
 სი არ ვიცი, მაგრამ ჩემი იმ დღის საფიქრა-
 ლი მხოლოდ ვენდეტა იყო.

— მაიცა, ჯერ ის გამოიყვანო საავად-
 მყოფოდან და მერე დაგბრუნდები. იმ შენ
 გამოყვებულ ქმარს კიდევ გადაეცი, რომ
 პოლიციას ჩვენ კი არა, საავადმყოფომ შე-
 ატყობინა! — ხელი სანყოზისკენ გავიშვი-
 რე.

— ნადით და თქვით, რომ არა ჩივით!
 ეხლა ყველანი აქედან დაიკარგეთ და თქე-
 ნი ფეხი აქ აღარ იყოს! — კარისკენ მიგვი-
 თითა ელიზამ, — ემსაჩი!

— აბა, რეებსა კადრულობ, ელიზა, გა-
 ნაცვალე! ხმა იკელი! — ბერეტი გაისწორა
 ბებიანქმმა.

— რეებსა და ამ თქვენს გველის წინილ-
 ებს მიხედეთ. თქვენ ვინა ყოფილხართ!

— კარგი, გოგო, კარგი... — ძლივს ამო-
 ილულულა დედაჩემმა.

— იცოდე, პოლიცია აქ არ დამადგეს,
 თორემ ისევ პანის წაუა ცუდად საქმე!

ელიზა ფეხზე წამოდგა იმის ნიშნად,
 რომ ჩვენთან სალაპარაკო აღარაფერი ჰქ-
 ონდა. ნადი, შენი-მეთქი, სკამი მოვისრო-
 ლე, აბრა ამოვარუნე და კარი გავალე. მე-
 რი და დარეჯანიც გამომყვივნენ. ჩასახვე-
 ვთან მოვბრუნდი და ხელით ვანიშნე, ფეხს
 აურქართო-მეთქი. ნამიერად ელიზაც დაე-
 ინახე, კარის ჩარჩოს მოსჭიდებოდა და ისე
 იქაჩებოდა, თითქოს ვიდაც აკავებდა, მაგ-
 რამ ალბათ უფრო საკუთარი თავის მოთო-
 კვას ცდილობდა. ისევ რაღაცას გაჰყვირო-
 და, მაგრამ ჩვენ სიტყვებს ვეღარ ვარჩ-
 ევდით. ქუჩას მდუმარედ მივყვებოდით
 და სამივეს სხვადასხვა რამ გვეწერა სახე-
 ზე: დარეჯანი შურაცხყოფილი იყო, მერი
 — სასწრაფო კვითილი, მე კი — საშინლად
 გაბრაზებული. მალაზიიდან აყოლილ ხო-
 რცის სუნზე ქუჩის ძაღლები აგვედევნენ
 და სახლამდე ასე გვირეთ.

უბანში პანის ამბავი ყველას გაეგო, იყო
 ერთი მითქმა-მოთქმა და ტყუილ-მართლ-
 ის გარჩევა. ანუშა მალაზიის წინ იდგა, თან
 იქაურობას ვერ ტოვებდა და თან გული ჩე-
 ვნკენ ჰქონდა — ერთი ხელით დონიჯი შე-
 მოედგა, მეორე ფუმფულა მკერდზე ჩამო-
 ედო და ნერვიულობისგან ფრჩხილებს იკ-
 ვნიტდა. მეზობლებმა დედაჩემი ეზოს ჭიმ-



რუსუდან რუხაძე

ანტისნაიპერი
წესისამებრ

კართან მოიხელთეს და იმდენი ივიშიშეს,
 საკუთარი თავი კიდევ უფრო შეაბრალებს.
 ნარბეზანურულს ცელოფენის პარკი ისევ
 გულში ჩაეუჭებინა და ყველას თავს უქ-
 ნევდა. ბებიანქმს სახლის კართან ნინა ტო-
 ტა გადაელობა:

— მე არ დამინყველია, დარეს ვენაც-
 ვალე! — ხელეტი და მზერა ცისკენ აღაპყ-
 რო.

— ვიცი, ნინა, განა არ ვიცი შენი გულ-
 ის ამბავი... ეჰ, ერთი ეგ მანახა აზეზევებუ-
 ლი! — პირჯვარი გადაინერა დარეჯანმა.

— მე მაგ ბიჭის ვერაფერი გავიგე! არა,
 შენ მაინც ხო იცი, თორღომას საფლავის
 გაკეთებაში რამდენი მომთხოვეს...

მხოლოდ მე მივუხვდი ნინა ტოტას, პა-
 ნის ვალი რომ შეგვახსენა. ორი თვის პენს-
 ია, რომლის მოგროვებაზეც ამდენი ვიფიქ-
 რე, აღარაფრად მეჩვენებოდა. სინამდვი-
 ლეში ისიც არ ვიცოდი, შავსოფლელების
 რამდენი გვემართა, ანკი საერთოდ რამხე-
 ლა იყო მოვალეთა სია. მივხვდი, რომ სულ
 ამაო იყო ჩემი დავთრები და ანგარიშები,
 პანის ვალეებს მე ვეღარ გავისტუმრებდი.
 პაპაჩემი აივანზე გადმოდგარიყო და თა-
 ვს ნიშნისმოგებით აქნევდა, მეტის ღირსე-
 ბი ვართო. საბადურის ქუჩის კუთხეში ნო-
 ჟიკა დავლანდე. ისევ ისეთი ბავშვური აღ-
 ტაცებით მიყურებდა, როგორც სკოლის
 ზემოთ, ნინას შეკერილი თეთრი კაბა რომ
 მეცვა. ცხადია, ყველაფერი იცოდა, მაგ-
 რამ ჩემთან მოსვლას მაინც ვერ ბედავდა.

პანი საავადმყოფოდან იმავე საღამოს
 გამოწერეს. რატომღაც მეგონა, რამდენი-
 მე დღით მაინც დატოვებდნენ და შევბას
 ვიგრძნობდი. ამ უეცრად გაჩენილ განც-
 დაზე ფიქრმა მთელი იმდღევანდელი დავი-
 დარაბა გადაფარა. შეურიგებელ ამბავთა
 მორევს ჩავყვივი და ისიც კი წარმოვიდგინე,
 რომ ვალეების გასასტუმრებლად სახლიდ-
 ან ყველა ძველი ნივთი გავყვიდე, სარაიაც
 გავასხვისეთ, ჩემი პატარა ოთახი ისევ ხა-
 რახურითაა სავსე, პანი ხეიბარი დარჩა,
 ჭირვეული ხასიათის გამო მეგობრები შე-
 მოეცალნენ, ოჯახის ყველა წევრი თავს
 დასტრიალებს, მაგრამ ყოველდღიურ საზ-
 რუნაში მე რატომღაც აღარ ვჩანვარ. არ
 ვიცი, სად ვარ, ვისთან და როგორ, მაგრამ
 სახლში იშვიათად მოვდივარ და საბადუ-
 რის ქუჩის კუთხეში ნოჟიკასაც ენატრება
 ჩემი დანახვა.

აგარსკისთან შევიარე, იქნებ პანი წამო-
 მაყვანიროს-მეთქი. ეზოში მანქანა რომ ვერ
 დავინახე, მაშინვე მივხვდი, სახლში არ
 იყო. სანამ ტელეფონში ნომერს მოვძებნი-
 დი, ოფელია გადმოდგა აივანზე, ჩემს და-
 ახვანზე ქვედა ყბა წინ გამოსწია, წარბები
 ზემოთ აზიდა და თავი გააქნია. მივხვდი,
 ყველაფერი იცოდა, მაგრამ არაფერი უკ-
 თხავს. თანდღილას თუ ეძებ, საახლნლოდ

სოფელში წავიდა დედამისთანო. მერე გუ-
 ლისპირიდან ნამცეცები ჩამოიფერთხა და
 დაჟინებით მომაცქერდა. „აი, ოქრო ბიჭი,
 გულიანი ბიჭი, ხელოსანი ბიჭი!“ — პა-
 ნიზე ცუდი ვერაფერი მითხრა და ისევ თავი-
 სი მდგმურის ქებას მოჰყვა. აგარსკის გარ-
 და ვერავის შევანუხებდი, აღარც არავის
 დანახვა მინდოდა. ალბათ უფრო იმას მოვ-
 ერიდე, ბიჭებს თავგატეხილი და დაუძღუ-
 რებული პანი არ ენახათ.

მეტროსთან ნაცნობი ტაქსისტი დავინ-
 ახე და ხელით ვანიშნე, მანქანა მოებრუნე-
 ბინა. არამიანცის ეზოში შესვლისთანავე
 გაავრთხილე, ჩემი ძმა უნდა გამოვიყვან-
 ნო და არაფერი ჰკითხო, ისედაც სუსტად
 გრძნობს თავს და ძალიან გაღიზიანებუ-
 ლია-მეთქი. როგორც მეტყველო და საქა-
 რე მინას ტილო გადაუსვა. რამდენიმე წუ-
 თში ჩემს მხარზე დაყრდნობილი, თავშეხ-
 ვეული პანი ფრთხილად ჩავსვი მანქანაში.
 ცალი თვალი კიდევ უფრო შეშუპებოდა.
 გამომშრალ ტუჩებს ისე ფრთხილად ახებ-
 და ერთმანეთს, თითქოს ამის გამო დაარი-
 გა ექიმმა, მკვეთრ მოძრაობებს ერიდეო.
 პაპაჩემივით ფანჯრის ზემოთა სახელურს
 მოეჭიდა და თითქოს უმისამართოდ იკ-
 თიხა:

— დეჩემმა რაო?

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მართ-
 ლა გულწრფელად აინტერესებდა, დედა
 რას გრძნობდა. ალბათ უფრო იმის გამო-
 რკვევა უნდოდა, ისევ მზად იყო თუ არა,
 ხელფასის ნახევარი კვლავ მისთვის დაეთ-
 მო და იმითაც ბედნიერი ყოფილიყო, რომ
 სიცოცხლას მარცხენა ლოყა მამასავით ეჩ-
 ვრიტებოდა. არაფერი მითქვამს, ექიმის
 გამოტანებული დანიშნულება მუხლზე და-
 ვიფინე და ჩამონერილი წამლების ფასები
 დავგუჯლე.

— რაო დეჩემმა?

მეორედ უფრო უწნეოდ იკითხა და ფან-
 ჯარაში გაიხედა. მთელი ტანით მივბრუნ-
 დი, პასუხიც მზად მქონდა, მაგრამ ისევ
 დუმილი ვამჯობინე. ტაქსი ზუსტად სახლ-
 ის კართან გავაჩერებინე და ფათერაკიანი
 დღის ასე თუ ისე მშვიდობიანი დასასრუ-
 ლისთვის მძლოლს შეპირებული ხუთი ლა-
 რის ნაცვლად ათლარიანი დავუტოვე. კი-
 ბეზე პაპაჩემი მოგვევლო, პანის წელზე
 მოხვია ხელი და მუხლი გაიმაგრა.

— ბიჭო, ვერ ჩააბრასტე, ერთი! — ნერ-
 ვიულობისგან ცალ მხარეს გაექცა უღვა-
 ში.

კარი ისე ფართოდ გაალო, თითქოს ხი-
 ფათგამოვლილი პანი დევგმირად ქცეუ-
 ლიყო და სახლში ისე ვერ შეეტეოდა. ბები-
 ჩემი პირდაპირ საძინებლისკენ გაუძღვა,
 ბალიში აუფუმფულა და სასთუმალთან
 „ფსალმუნები“ დაუდო. დედაჩემმა ასკილ-
 ის ჩაი საკუთარი ხელით დააღვეინა, ტერ-
 ფები გაუთბო და საბანი შეუქცია. ყველა
 ერთად თავმოყრილი რომ დავგიგულა,

სოლიკოც მოხასიათდა. ჯერ დარეჯანს
 გახედა, არ გამიგოსო, მერე ჩემკენ გადმო-
 იხარა და ჩუმად მითხრა:

— ვიოლა ფონ კრამონ ტაუბადელი!

პატარა ოთახის კარი ოთხად გაკეცილი
 სპორტული გაზეთით ჩაკეციტე, უკულმა
 დავწექი და დაღლილი ფეხები საწოლის
 თავზე შემოვალაგე. აუქციონის დასრულ-
 ების დრო მოახლოვდა.

ვენდეტას მსურველი ორნილა დავჩრით.
 მფლობელი კმაყოფილია, ყოველ ახალ ფს-
 ონს დადებისთანავე ალაიქებს და ანტისნ-
 აიპერის წესს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს.
 ეჭვი აღარ მეპარება, რომ დანაში გადახ-
 დილი ფული ჩემი ჯიბიდან აქვე, გვერდით
 ოთახში, პანის ჯიბეში აღმოჩნდება, მაგრამ
 მაინც მზად ვარ, უკანასკნელი თეთრები
 გავილო და „ვენდეტა“ დავიბრუნო. გაფრ-
 თხილების მიუხედავად, Dzn Qutaiseli ხუთ
 ლარს 11:56-ზე ამატებს და, შესაბამისად,
 აუქციონიც ხუთი წუთით გრძელდება. „რა
 ხდება, სხვა სასაათო სარტყელშია ქუთაი-
 სი?“ — ხუმრობს მფლობელი. ჯერი ჩემზეა.
 შემიძლია, ფსონი განვაახლო და საკუთარ
 დანას ისევ დავუპატრონო, მაგრამ ჩემს ყუ-
 რადლებას მთლიანად ეზოდან შემომავა-
 ლი სიმღერა იპყრობს. საწოლზე ფეხმორ-
 თხმით ვჯდები, 350-ს ვწერ და ვშლი, ისევ
 ვწერ და ისევ ვშლი. ნაცნობ მელიოდას ხმას
 ვაყოლებ, თვალეებს ცხუჭავ და დაძაბულო-
 ბა ერთბაშად მეხსენება.

ჩამოხველებულ მზერაში მთელი დღის
 ამბავმა კინოკადრებად გადაიქროლა და
 ყველაფერი რამდენიმე წამში დალაგდა:

პანი მტყუანია.

დედაჩემი დაღლილია.

მამაჩემი მკვდარია.

პაპაჩემი ცოცხალია, ბებიანქმი ჯოან
 რუთ ბეიდერ გინზბურგია.

ანუშა ყვავილია, ნინა სასარაკია, ოფ-
 ელია ბუკიოტი, ნოჟიკა მაიმახია, აგარსკი
 აგარელია...

გოჩა გამოყვებულა და ელიზა მარ-
 თალია!

ვენებლები. აუქციონი სრულდება. დანის
 ახალი მფლობელი მილოცვებს იღებს. უჯ-
 რას მუხლით ვკეცავ და შობა ღამეს თითქ-
 ოს კარიდან კი არა, სამზეოდან ვიპარები.

ელიას მთიდან მობერილ სუსხს ხურმის
 ნარინჯისფერი ნაყოფი დაუჭირხლავს, ხის
 კენწეროზე ყვავი გარინდებულა, ნინა ტო-
 ტას პატარა ნინას ცხვირი ცივ ფანჯარაზე
 მიუბჯენია და წკრიალა ხმით მღერის:

ეს რომ...
 ეს რომ მწყემსებმა გაიგეს...

¹ ნინა დედა.
² დაე, ყველა ჭრილობა სასიკვდილო იყო.
³ რას ამბობ.
⁴ მოზრდილი.
⁵ მთვრალი ხარ? მოგკლავ.
⁶ კორსიკული ვენდეტა.
⁷ ვაჭარი.

რა მასხენდება?
 რა და — მანქანა რომ დაგვაგორე, „მო-სკვიჩი“, გერმანული „ოპელ-კადეტის“ ას-ლი, ძირითადი, დიდი ფარების გარდა პა-ტარებიც რომ ჰქონდა, ორი ცალი, ნიკელ-ის ბამპერის თავზე დასკუბებული, ბრო-ლის სამაროლების მსგავსი ზედაპირე-ბით... რომელთა შესახებ უფროს კლასელე-ბი ამბობდნენ, მართლა სამაროლები უყ-ენია, ნამდვილების საყიდლად ფული არ ემეტება ბარნაბასო...

ბარნაბას, ჩვენი სკოლის დირექტორის მოადგილეს რომ ვეძახდით, სასწავლებ-ლის უზარმაზარი შენობის ნებისმიერ კუ-თხესა და კუნჭულში მოულოდნელად, გრი-გალივით ან მოჩვენებასავით აღმოცენებ-ის უნარი დაჯილდოებულ მალალ, წერი-ლულვაშა, ვინრო მხრებიან კაცს, გვარად ბარნაბაშვილს... სასკოლო ქონების მოვ-ლა-პატრონობა რომ ევალბოდა, მაგრამ თავი ისე რომ ეჭირა, თითქოს ყველაფერზე პასუხისმგებელი ის იყო — აღზრდაზე, უპ-ირველეს ყოვლისა...

დერეფნებს რომ არ ჯერდებოდა, მის კედლებს გარეთაც რომ ბობოქრობდა — სკოლიდან გაპარულებს ახლომახლო ბა-ლებსა და კინოთეატრებში რომ დაგვეძებ-და, „კულტურისა და დასვენების პარკე-ბის“ ყველაზე მიყრუებულ კუთხეებში რომ გვეპოვებოდა სიგარეტის მოსაწევად შეყუ-ყულებს და კინოთეატრებში შუა სეანსის დროს რომ გვივარდებოდა ჩვენი სახელებ-ისა და გვარების ძახილით...

დანაშაულში მხილებულებს წინ რომ გაგვირეკავდა და თვითონ უკან მოგვეყე-ბოდა, სკოლაში მიყვანილებს „პიონერთა ოთახში“ რომ შეგვალავდა და მრისხანე შეგონებებს იმის შესახებ, თუ რას იმსახუ-რებს მოზარდი, რომელიც სკოლის შინაგა-ნაწესს არღვევს და რა ელის მას მომავალ-ში, ლენინის ბიუსტის გვერდით მდგარი გვ-ასმენინებდა...

ლენინი მშრომელი ხალხის ბელადი რომ იყო და მიუხედავად გარდაცვალები-სა, მაინც ცოცხალი — ვიცოდით, თუმცა, ჩვენ სხვა ხალხს ვცემდით პატივს — გამო-რჩეულად მუსიკოსებს, ისეთებს, რომელ-თა მოსმენას გვიკრძალავდნენ, ჩაგვჩი-ჩინებდნენ, მათი ყურისგდება გონებას ამ-ღვრევს და რყვინისო... აკრძალულთა შორ-ის პირველები „ბითლზები“ რომ იყვნენ, ინგლისელი ბიჭები, ვისი სიმღერებიც დი-დი ნვალებით, მაგრამ მაინც რომ აღწევდ-ნენ შორეული ლივერპულიდან ჩვენამდე...

მაგნიტოფონი ძვირფას, ლამის ფუფუ-ნების საგნად რომ ითვლებოდა და კლა-სელებს შორის მართო ერთს რომ ჰქონდა, ის „ერთი“ — წყნარი ბიჭი რომ იყო, ჩვენ-გან განსხვავებით თავგადასავლებს რომ არ დაეძებდა და არასოდეს არ ხვდებოდა ბარნაბას თვალთახედვის არეში...

მასთან რომ მივდიოდით ლენინის, მა-კარტნის, ჰარისონის და რინგო სტარის მოსასმენად, დიდხანს რომ ვისხედით ხო-ლმე პაბინებიანი „აიდასის“ ირგვლივ და თავების ქნევი და ფრაზების ნამღერებით ვცდილობდით მელოდიების აყოლას...

ჩანაწერების მოსმენის გარდა, ჩვენი კერპების სურათების მოპოვებითაც რომ ვიყავით დაკავებული, სკოლის წინ პერი-ოდულად ატუზული მოვაჭრეებისგან მა-ლულად რომ ვყიდულობდით შავ-თეთრ ფოტოებს, თითოს მანეთად. ფოტოები ჩვე-ნთვის მიუწვდომელი ფირფიტების და უც-ხოური ყურნალების გარეკანების უხარი-სხო ასლები რომ იყო, მაგრამ ხარისხს ვინ დაეძებდა, მთავარი ის გახლდათ, რომ ამ ფოტოების კედლეზე გაკვირთი სასურველ ხიბლს სძენდი შენ კუთხეს ან ოთახს, თუკი ან ერთი ან მეორე გაგაჩნდა...

რომ ვბაძავდით, ძალიან რომ გვინდო-და, რამით მაინც დავმსგავსებოდით... ყე-ლზე მომდგარი ხოჭოს ემბლემაიანი ქურ-თუკებით რომ ვერა, ვერც ყელიანი სვიტ-რებით, თმადა რომ რჩებოდა, უფრო სწო-რად, თმის მოზრდა, მაგრამ ესეც რომ აკ-რძალული გვქონდა, ყურებსა და კეფაზე ჩამოზრდილი თმაც რომ არ შეეფერებო-და მოსწავლის იერსახეს...

ახლად რომ ვხვდები, როგორი უწყი-ნარი უნდა ყოფილიყო ჩემი მაგნიტოფო-ნიანი კლასელი, რომ მის ვარცხნილობას არათუ ვინმე სხვა, ბარნაბაც კი ვერ გაეგუ-ლისებინა, არადა, ის ერთადერთი იყო ჩე-ენს შორის, ვისაც თმა ყურებსაც უფარავ-და და კეფასაც, მთლად ბოლომდე, ბიბილ-ოებამდე და მხრებამდე არა, მაგრამ მა-ინც გვარიანად...

თუმცა, რისხვის სამიზნედ ქცევა რომ არ ასცდა და ეს იმ დღეს რომ მოხდა, როცა მილიციელებმა რეიდი მოანყვეს სკოლას-თან „უკანონოდ გადაღებული ფოტოების ფარულად გამსალბელთა“ დასაკავებლ-ად. სამიდან ორი რომ მოიხელთეს, ერთი რომ დაუსხლტდათ და როგორც მერე გაი-რკვა, იმ ერთმა სკოლის გავლით რომ და-ღწია მდებარეებს თავი და გასვლამდე სკო-ლაშივე მოიცილა „ფაქტი“ — ფოტოებით სახვე შავი კონვერტი. მთელი შენობა რომ გაჩხრიკეს სარდაფიდან სხვენამდე და ვე-რანარი კონვერტი რომ ვერ იპოვეს, ბა-რნაბას რომ უთხრეს საყვედური — მოდუ-ნებული გაქვთ სიფხიზლე, ამხანაგო...

ახლა მან რომ ჩაატარა ჩხრეკა — სათი-თაოდ ჩამოიარა ყველა კლასი, დაფების წინ გაგვამწკრივა ბიჭები და ჯიბეების ამ-ოტრიალება რომ გვიბრძანა, უშედეგოდ... ფერმკრთალი ხომ იყო და სიბრაზისგან სულმთლად რომ გათეთრდა... ყვირილი

ბელს, თუ არა გრძელთმიანი ვინმე, ანუ — ის... რომ ვერ უღიარებინებია „დანაშაუ-ლი“ და დამუქრებია — გაჩვენებ მე შენ და-უმორჩილებლობასო...


სახლამდე რომ მივაცილეთ და სადარ-ბაზოში შესვლამდე სახტად რომ დაგვტო-ვა ყველა, რომ თქვა — ის გამოქცეული მესურათე მე რომ შემფთებოდა დერეფა-ნში, აუცილებლად მივეხმარებოდი „ფაქ-ტის“ მოცილებამო...

მეორე, მესამე და მეოთხე დღეს არაფე-რი რომ არ მომხდარა, რომ ვიფიქრეთ, ალბათ ბრაზმა გადაუარა ბარნაბასო, მა-ინც რომ ვფრთხილობდით, სკოლიდან გა-პარვას კი არა, გადალაპარაკებასაც რომ ვერიდებოდით გაკვეთილების დროს, ჩვე-ნი უდისციპლინობის მომიზეზებით, ათვა-ლწუნებულ კლასელს რომ არ გადაწვდო-მოდნენ დასასჯელად...

თუ არ ვცდები, ისტორიის გაკვეთილზე ვისხედით, საბჭოთა კავშირისა რომ ერქვა

ზაალ სამადაშვილი

მანქანა რომ მიგორავდა...



რომ დაიწყო — გამოტყდით, ვის გადმოგ-ცათ ფოტოები იმ ხორცმეტმა და სად და-მაღეთო... ჩვენი სახით დუმილის ყრუ კედ-ელს რომ წაანყდა...

იმის გამო რომ რალაც უნდა მოემოქ-მედებინა, ვილაცაზე უნდა ეყარა ჯავრი, ბოლოს ცემა რომ დაიწყო ჩვენს წინ, თვა-ლს თვალში რომ გვიყრიდა დროდადრო, თითქოს რალაცის ამოკითხვას ცდილობდა თითოეულ მხერაში, უწყინარი ბიჭის წინ რომ გაჩერდა ბოლოს...

და სრულიად მოულოდნელად იმ სი-ტყვებით რომ მიმართა მას, რომლებითაც ქუჩის ბიჭები მიმართავდნენ გრძელთმიან თანატოლებს — შენ რა, ბიჭო, ბიტლსი ხარ?... პირველად მაშინ რომ დაემთხვა ჩემ-თვის ორი, თითქოსდა დაპირისპირებული სამყარო — სკოლა და ქუჩა ერთმანეთს...

ჩემი საბრალო კლასელი კი არა, ჩვენ შორის ყველაზე ყოჩაღი ბიჭიც რომ ვერ უპასუხებდა ამ აგდებულად დასმულ, დამ-ამცირებელ შეკითხვას. ჰოდა, მანაც თავი რომ ჩაღუნა, მოიბუზა...

ამის შემდეგ ჩვეულ მეტყველებას რომ დაუბრუნდა ბარნაბა, ოთახიდან რომ გა-მოგვისტუმრა ყველა, ერთის გარდა. დერე-ფანში გამოსულები კართან რომ შევეჯგუ-ფდით იმის იმედით, იქნებ რამე გავიგონო-თო... ვერცერთი სიტყვას რომ ვერ მოგვა-რით ყური...

სამშვიდობოზე გამოღწეულმა თავად რომ მოყვა, რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა, ბარნაბას მასზე რომ უეჭვია, მისი ლოგიკით სხვა რომ ვერავინ შეუწყობდა ხელს არალეგალური ფოტოების გამსალე-

და სინამდვილეში რუსეთის რომ იყო. ემე-ლიან პუგაჩოვის თუ სტეფანე რაზინის აჯ-ანყებაზე რომ გველაპარაკებოდა მასწავ-ლებელი... ბარნაბას შემოსვლა რომ არ გა-გვეკვირვებია — ხშირად იცოდა შუა გაკვე-თილზე კარის შემოღება, მასწავლებლი-სთვის ხელით მინიშნება, გააგრძელო და უკან, ბოლო მერხთან მისვლა და მთელი კლასის, მოსწავლეების უკან დადგომა...

იმ დღეს ასე რომ არ მოქცეულა, პირი-ქით, მასწავლებელს თხრობა რომ შეან-ყვეტინა, მისი ადგილი დაიკავა და ხანმოკ-ლე პაუზის შემდეგ, გამოგვიცხადა — სკ-ოლის მოსწავლე სკოლის მოსწავლეს უნდა ჰგავდესო... ქვევითაც და გარეგნობითა-ცო... დიახ, მოსწავლეს და არა უცხოური ყურნალების ფურცლებზე გამოსახულ, სცენებზე მოტილიკავე საეჭვო სუბიექტ-ებსო...

მერე ათვალწუნებული ბიჭი რომ მიიხ-მო თავისთან, წინ დაიყენა, თითი მიაშვი-რა და კვლავ მოგვმართა — აი, როგორ არ უნდა გამოიყურებოდეს მოსწავლეო... წამოზრდილ თმაზე ხელი რომ წაავლო, მუჭში მოიქცია და გულის ჯიბიდან ამოლე-ბული მაკრატელი ააჩხაკუნა... შეაჭრა კი არა და, რომ შეუკორტა თმა...

ამ ამბის შემდეგ რომ დავადგი თვალი ბარნაბას მანქანას — გერმანული „ოპელ-კადეტის“ საბჭოთა ასლს, „მოსკვიჩი-400“-ს, პატრონი სკოლის ეზოში რომ ტოვებდა უმეტესად და იშვიათად სკოლის წინ... სკო-ლის წინ დატოვებას რომ დაეუნყე ლოდი-ნი, ხოლო მანამდე კარგად რომ გავეჩ-კვიე, როგორ უნდა ამომრავებულიყო ავ-

ტომობილი დაუქოქავად, ძრავის ამუშავე-ბის გარეშე...

სკოლის შენობა დაღმართზე რომ იდგა, ქუჩაზე, რომელიც ქვევით, ცოტა მოშორე-ბით მარჯვნივ უხვევდა და ცენტრალურ გზაზე გადიოდა, მოსახვევთან სკვერი რომ იყო, ხშირი, განიერი ბუჩქნარით — ტრო-ტუარის გასწვრივ...

გაკვეთილების დროს რომ მინდოდა ჩა-ნაფიქრის აღსრულება, სკოლა სახსვე რომ იქნებოდა, მაშინ... ყოველ შესვენებაზე ფა-ნჯარას რომ ვიყავი აკრული... ვინ მოთე-ლის, გონებაში რამდენჯერ მქონდა დატრ-იალებული კინოსავით ის, რისი განხორ-ციელებაც მსურდა...

ყველაფერი ისე რომ მოხდა, როგორც ჩემს მიერ წარმოსახულ კინოში, მგონი, უკ-ეთაც, რადგან შიში — ხელის მუხრუჭის ჩანვეის შემდეგ ვათუ ძალა არ მეყოს მისა-წოლადო და დაგორებული მანქანა ვათუ სკვერში არ შეჩერდესო, ფუჭი, უსაფუძე-ლო გამოდგა... ძალაც საკმარისი აღმომა-ჩნდა და დაგორებული ავტომობილის სე-ლაც ბუჩქებში შევარდნით დასრულდა...

თავად სვლამ ყოველგვარ მოლოდინს რომ გადააჭარბა, ისეთი გამაოგნებელი და შთამბეჭდავი რომ აღმოჩნდა, როგორიც ზოოპარკში ნანახი რომელიმე ეგზოტიკუ-რი ცხოველის, ჟირაფის ან ბეჭემოთის გა-დაადგილება იმავე სივრცეში...

პირველებმა გარეთ მყოფმა მოსწავლე-ებმა რომ შეამჩნიეს „მოსკვიჩის“ მოძრაო-ბა უკუსვლით, მანქანისა, რომლის საჭე-სთან არავინ იჯდა... თან ვისი მანქანის?!

ყვირილი რომ დაიწყეს — ბარნაბას მან-ქანა!.. ბარნაბას მანქანაო!.. მათ ყიყინას სკოლის ფანჯრების ავსება რომ მოჰყვა ცნობისმოყვარე სახეებით, არამხოლოდ მოსწავლეების, მასწავლებლების სახეები-თაც...

ალბათ ბარნაბას ყურამდევ რომ მიაღ-წია შეძახილებმა, გარეთ რომ გამოვარდა და მანქანას გაეკიდა... უხმოდ, ხელების ქნ-ევით რომ სდია სიმაღლეზე მტკომელის ნაბიჯებით და დაღმართის ბოლოს, სკვერ-ში, ბუჩქნარის გადაჯეგვის, სვლის შენე-ლების შემდეგ რომ დაეწია...

სკოლის გადაღმა, ოთხსართულიანი სახლის სადარბაზოდან თავგამოყოფილი რომ ვადევნებდი თვალს ყველაფერს... უჩ-ვეულო განცდა რომ მეუფლებოდა — ჩემი მაშინდელი ჭკუით დაახლოებით ისეთი, როგორიც სცენაზე მდგომ „ბითლზს“ აღე-ღებულნი, ატორტმანებული აუდიტორი-ის ხილვისას...

მანამდე, სანამ ეს შეგრძნება მენვეოდა, სამაგიეროს გადახდის სურვილი რომ მამ-ოძრავებდა უსამართლოდ დასჯილი კლა-სელის გამო... ფოტოებით სახვე შავი კონე-რტი ხომ მე შემომამჩიქა მილიციელებს გამოქცეულმა მესურათემ... კონვერტი ხომ მე დავმალე — პიონერთა ოთახში, ლენინ-ის გამოფულუროებული ბიუსტის ქვეშ, წინასწარ დარწმუნებულმა, რომ ჩხრეკის-ას იქ არავინ დაუწყებდა ძებნას...



ნინო თარიშვილი

ტრიპტიქი ელენასთვის

ნლებია, ჩემს სხეულს ვუყოფ კაცს, რომელიც მამაშენი არ არის. შენთვის უცხოა, სრულიად უცხო, ჩემთვის კი შენ მერე ყველაზე ძვირფასი და ახლობელი, მაგრამ ამის მიუხედავად, როცა ერთად ვართ, სულ მგონია, რომ ჩემგან ის მიაქვს, რაც შენია, მხოლოდ შენი, ამიტომ როცა შენთან ვბრუნდები, დანაშაულის გრძობა არ მტოვებს ძალიან დიდხანს. მერე ისევ მომენატრება კაცი, რომელიც თავუნასავით შემოეჩვია ჩემს დაღლილ სხეულს. ზოგჯერ თვალებს ფართოდ ვხუჭავ, როცა ვუყურებ, როგორ ტკბილად ახრამუნებს საპატიო სტუმრებისთვის გადანახული ტკბილეულივით მხოლოდ მისთვის გადამალულ სხეულისა და ოცნების ნაჭრებს. დანარჩენი ყველაფერი შენ გეკუთვნის, რაც ჩემია — გულიც, ფიქრებიც, გეგმებიც და მოგონებებიც... დიდი ხნის წინათ, მამაშენმა როცა დაგვტოვა, გადავწყვიტე, მეტი შეილი არ გამეჩინა, შენ გარშემო მეტრიალა და სხვა არავინ შემოგვეშვა ჩვენს სამყაროში, რომელსაც ასე ფრთხილად ვქმნიდი შენთვის და ჩემთვის. ისე მინდოდა, ორივეს თავი კარგად გვეგრძნო... ნეტა, შევძელი?.. მერე ეს კაცი გაჩნდა ისე, როგორც თავგები უჩნდებიან ხორბლით გაძევილ ხის ძველ ბელეს და ჭამენ და ჭამენ დაუფშვნიტავი თავთუხების ოქროსფერ მარცვლებს, ძირს უხრავენ, ბელელი კი მაინც საესეა და თავის გამო არასოდეს გამოილევს, არც არასდროს აყირავდება. მეც საესე ვარ მხოლოდ შენით, ველარავინ დამამთავრებს, ამაყირავებს, ნუ გეშინია!.. ნულარაფრის ნუ გეშინია... მე შენთან ვარ, მარტო შენი ვარ — ნებისმიერ დროს შეგიძლია მყარად დამეყრდნო... რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ნუ დამიმაღავ, ნუ გეშინია, ჩემო გოგო, განა, არ იცი? — ჩვენ ყველაფერი შეგიძლია და ყველაფერი გამოგვივა, ყველაფერი კარგად არის, როცა ერთად ვართ.

თევზის გასუფთავება შვილისთვის, ანუ სიკვდილის ანატომია

დილიდან მინდოდა, შებოლილი თევზი მეჭამა. მერე ვიფიქრე: რა დროს თევზის ჭამაა, სამსახურში ვარ წასასვლელი. შებოლილ თევზს თუ შეეჭამ, ხელეზე უსიამოვნო სუნი ამივა. რამდენიც არ უნდა ვიხეხო, არ მომშორდება. ნლების წინ ნანახი ფოლკორ შლონდორფის ფილმი გამახსენდა, გიუნტერ გრასის ძალიან კარგი რომანის არანაკლებ კარგი ეკრანიზაცია: ხომ გახსოვთ, ადამიანებს თევზის ჭამა რომ შეეყრებათ, ჭამენ და ჭამენ დაუსრულებლად. იმდენს ჭამენ, გგონია, მალე დაორსულდებიან ამდენი თევზისგან — ჯერ მუცლებზე ქონის ნაცვლად სქელ ქვირითს დაიდებენ, მერე კი სამშობიარო ტკივილები დაეწყებათ და ათასობით თევზს დაყრიან სახლის თუ ქუჩის ყველა კუთხეში. რალა დროს ჩემი ორსულობაა?.. დიდი ხანია, გამომიშრა საშვილოსნო, დიდი ხანია, საკვერცხეებმა განაყოფიერება გადაიფიქრეს. დიდი ხანია, თევზი აღარ მიჭამია იმის შიშით, რომ ცუდი სუნისგან დავორსულდები და არავის არ მოუნდება ჩემს გვერდით ჯდომა. ისედაც არავინ ჯდება ჩემს გვერდით. აღარ ვარ იმ ასაკში, როცა შენი სურნელი ადამიანის დატყვევება შეიძლება. სიბერის დროს კანს სულ სხვანაირი სურნელი ახდის — ქათამს რომ ტრუსავ ცეცხლის ალზე და მაშინ რომ დგება, ზუსტად ისეთი, უფრო სწორად, შებოლილი თევზის სურნელი. თვალეშიც თევზები გვიგუბდება, ლაყურებიც მათსავით გვებერება, როცა ვსუნთქავთ, როცა ვბრაზობთ, როცა ვყურდებით. თევზის სურნელი თუკი ავდის, ნიშნავს, რომ კვდები. თევზის სურნელი სიბერის ხმაა, ჩვენი სულიდან ამომძვრალი, მისი ბოლო ამოკივლება, ამიტომ დღეს თევზს აღარ შეეჭამ-მეთქი, ვფიქრობდი. ვიქნები-მეთქი დღეს ახალგაზრდა, წარმოვიდგენ, რომ ორსულად ვარ, ნუთი-ნუთზე უნდა გაჩნდეს ჩემი შვილი, რომელიც ანმყოში უკვე 16-ისაა. სხვა შვილი რომ გავაჩინო? — არა, არ მინდა, მას კი ხელმეორედ გავაჩინ და ხელახლა გავზრდი. ამ საღამოს, როცა თევზს შევეუნვავ და ძალით ვაჭმევ, სათვალეს აუცილებლად წამოვიცვამ ცხვირზე და ისე გამოვუხშირავ ფხებისგან (ჯანდაბას, ამ საღამოს ვიყო მოხუცი). მთავარია, შევძლო მისთვის თევზის გასუფთავება. მთავარია, ფხამ ყელი არ დაუკანროს, თითები და ტუჩები არ დაუჩხვლიტოს. მთავარია, ბედნიერი იყოს.

გაზრანა დახურული ფანჯრიდან

ჩემთვის არავის უსწავლებია, დახურული ფანჯრებიდან გაფრენას რომ აზრი არა აქვს და თუ მაინც ცდი, არასოდეს გელირსება ცაში აფრენა. მე არასოდეს არ ვყოფილვარ მამიკოს გოგო: პრინციპობისთვის, მაღალი ქუსლებისთვის, შრილა კაბებისთვის, ბრილიანტებისა და მორჩილებისთვის რომ ზრდიან. არასოდეს მგონებია, რომ სხვა შეძლებდა ჩემს გადარჩენას, სულის შებერვას მტკივან ადგილას... მე არასოდეს მგონებია, რომ სხვა შეძლებდა ჩემს შეყვარებას, ან მე შევძლებდი ვინმეს გამო თავის განირვას. საღამო, შვილო, ეს მე ვარ, დედაშენი! დედა, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გაგაჩინა, რომ გულით სურდა შენი გაჩენა — სხვა მიზეზი მას არ ჰქონია. უნდოდა, გვერდით ჰყოლოდი და სულ აჰყოლოდი მის ტემპორიტმს, შენი სუნთქვა მისი სუნთქვისთვის დაგემთხვია, ნაბიჯებიც სინქრონულად გადაგედგათ, გყოლოდათ მხოლოდ ერთმანეთი, სხვებისთვის კი თქვენს სამყაროში ყველა ღიობი ამოგეკოლათ და არ შეგეშვათ არავინ თქვენს ტკბილ მოგონებებში, სურვილებსა და დიდ ოცნებებში, შემთხვევით შხამი რომ არ მოესხა, არ მოენამლა თქვენი გზები და ერთად ყოფნა... საქესთან ვზივარ, გვერდით მიზიხარ, ჩემი თაობის მთავარ კუმირს, ემინემს ვუსმენთ. შვილს ეუბნება: ყველაფერი კარგად იქნება... ბრილიანტის ბეჭედს გიყიდი, რომ შენი გზები და ცხოვრება გაანათოს და თუკი ასე არ მოხდება, იუველირთან მივალ და ყველა კარატს სათითაოდ გადავაცლავებო. შენ თქვი, რომ მოგონს ეს სიმღერა, მეც დაგეთანხმე — ერთადერთია, რაზეც შევთანხმდით ბოლო წლებში... ბრილიანტები შენისთანა პატარა გოგოს თვალებს ვერასდროს გააბრწყინებენ, ვერც გზას და ანმყოს გაუნათებენ — ეს ზუსტად ვიცი, მინდა შენც გითხრა, გადმოვადლო შენს ანმყოში ჩემი წარსული და ის დიდი გამოცდილება, ცხოვრებამ რომ უსასყიდლოდ გამიზიარა... მთელ სხეულზე შემაზილა თავისი ბლანტი და შემზარავი, მახინჯი ცოდნა, რომელსაც შენთვის უსათუოდ გავიმეტებდი... ნეტა, შემეძლოს... ისე მინდა, რომ ჯერ მოგვიკვდე, მერე ჩემი მკვდარი სხეული გადაგეფაროს და ყველა ტყვია, ყველა ტალახი, ყველა დარტყმა აისხლიტოს — შენკენ ნასროლი, შემთხვევით თუ უმისამართოდ ან დამიზნებით, მაგრამ ვიცი, თუკი მოგვიკვდები, ვერავინ შეძლებს დაგიცვას და გადაგარჩინოს. საღამო, შვილო. ეს მე ვარ, დედაშენი. მისხარია, რომ გვერდიგვერდ ვსხედვართ, ემინემს ვუსმენთ — ჩემი თაობის ერთ-ერთ მთავარ კერპს, რომელმაც გვითხრა, რომ როცა რალაც ისე ვერ არის, როგორც ჩვენ გვინდა, უნდა ავდგეთ და გავაპროტესტოთ.

„Please, stand up, please, stand up“ — გაუჩერებლად თან გასდევდა ჩვენს ბნელ ბავშვობას და ჩვენც ვიბრძოდით, ჩვენთვის კი არა, თქვენთვის ვიბრძოდით, რომ ჩვენზე ბევრად უკეთესი მომავალი გვეჩქებინა და ჩვენ დავმარცხდით ამ ბრძოლაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უკვე დავნებდით. აუცილებლად კიდევ ვიბრძოლებთ, თქვენ კი შეგვპირდით, რომ არასოდეს მიატოვებთ თქვენს დაღლილ მშობლებს, ბავშვობაშივე სულები რომ სათითაოდ ამოაცალეს და საერთო სასაფლაოზე ისე ჩაყარეს, მინის მიყრაც კი დაეზარათ ან დაავინყდათ, მაგრამ შვილების სიყვარული სულის გარეშეც უსაზღვროა და ველარაფერი დაამარცხებს. საღამო, შვილო. ეს მე ვარ, დედაშენი და მონდომებით ვცდილობ აგისხნა, რომ გაფრენა მხოლოდ ღია ფანჯრიდანაა შესაძლებელი. ნუ იჩქარებ, ნუ ალელდები, ნუ შეშინდები... მე შემოძლია შენთვის ყველა ჩაკეტილი ფანჯრის გაღება.

„ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე

როგორც კი სადარბაზოში ფეხი შევდგი, უცნობმა მარცხენა ფერდში საქსოვი ჩხირი გამიყარა. მაშინვე დავიჩუტე გასაბერი თოჯინასავით. სულ უფრო უახლოვდებოდა ერთმანეთს სხეულის ზედაპირი და მისი შიგნითა მხარე... ფეხები მომეცელა, ხელები ჩამომეღვინათა... თვალწინ კადრებად გადაირბინა მთელმა ცხოვრებამ... გამახსენდა: როგორ ვიყავი ერთი, მერე კი უცებ ორნი გავხდით. როგორ დატოვა ჩემი საშო ერთადერთმა შვილმა, როგორი სითბო ჩამეღვარა მთელ სხეულში, როცა შემეხო მისი თბილი ხელები... მერე როგორ ვიზრდებოდით ერთად: მე მისით, ის — ჩემით... გამახსენდა ჩემი პირველი კაცის შეხებაც და ისიც, ერთ დროს როგორ მიყვარდა... გული დაშწყდა, თან რომ ვერ მიმქონდა ეს სიყვარული... რალა დროს ამაზე ფიქრიაო, ტუმბო სად არის კი არადა, სასწრაფოდ დეფობრილატორი მოიტანეთო, იქნებ, შევძლოთ გადავარჩინოთ, სიკვდილს გამოგტაცოთ კლანჭებიდანო... სხეულის წინა და უკანა მხარე ერთმანეთს შეეწება, კანის კედლებმა ერთმანეთი შეჭამეს... მერე თითები სანთლებად გადამექცა, ფრჩხილები ცეცხლისფრად ავიზგიზდა... სადღაც მიმარბენინებდა სასწრაფო დახმარების მანქანა. ვერ ჩირაღდნობდა ჩემი სანთლები, ვერ მინათებდა წყვილიად — ჩემში სამუდამოდ ჩაღვენილს... მარტო ხელისგულები მენვოდა, განგაშის ხმა და სახურავზე შუქის ტრიალი თვალებს მიკანრავდა. ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი, იატაკზე ვიღვრებოდი და არავინ მფხეკდა. ნელ-ნელა ვილეოდი... ტრიალებდა მანქანის თავზე დამაგრებული ფერადი შუქი, თვალებიდან ნაპერწკლები კი არადა, ცეცხლი მცვიოდა... — დე, სახმილი რას ნიშნავს? — მეკითხებოდა ჩემი შვილი.

უკვე დიდი გოგოა, არც კი მახსოვს, როდის გაიზარდა ამხელა, ასე უცებ გაზრდა როგორ მოახერხა? ნუთუ, მეც ასე სწრაფად გავიზარდე და დავბერდი?.. — სად ხარ, შვილო, ყველგან გექებ — ვეკითხები. ტელეფონს მითიშავს. არ უნდა მოვკვდე... არ უნდა მოვკვდე... არ უნდა მოვკვდე... — გადავარჩინოთ, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, გაუძლებს — ამბობს ექიმი. სიზმრის ქაოსი მთელ სხეულზე მაქვს შემოხლართული. მავთულხლართებში ვშფოთავ, ვფორიაქობ... არტახებია, აბა, რა არის?.. სუნთქვას მიხშობს... მაინც ვახერხებ ცხადის და სიზმრის ერთმანეთისგან გამოხშირვას — იფვლი ერთ მხარეს მოვაგროვოთ, ღვარძლი მეორე ნაპირზე გადავისროლოთ, „ნუვინ გაჰრევთ ერთმანეთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი“. ცრემლსა სისხლი ერეოდა, გამდის, ვითა ნაგუბარი. „დასრულდა ესე ამბავი(ც), ვითა სიზმარი ღამისა“.

ღეღას

სულ მინდოდა, შენი ფერის თვალები მქონოდა, დედა. შენი თვალებით შემეხედა სამყაროსთვის, მერე კი უცებ გამოეჟონა იმ სილურჯეს, გულში სიმყარედ რომ ქცეულიყო და სუნთქვას მიკრავდა. მინდოდა, ყველას დაენახა მისი ქვად ქცეული სილურჯე. კიდევ, იცი რა მინდოდა? — შენნაირი თბილი მზერით შემეხედა სამყაროსთვის, თან შენსავით გულუბრყვილოდ მგონებოდა, რომ

სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

შენსავით მევლო კვირადღეს ტაძარში და ფეხქვეშ ურჩხულგართხმული, მახვილმომარჯვებული წმინდანისთვის მეთხოვა შენვენა საკუთარი თავისთვის კი არა, სხვებისთვის... მე ხომ არასდროს მილოცია შენსავით გულით... ისე მინდოდა, შენს მსგავსად მეც მომხდომოდა

ადგილ-ადგილ შეხიზნული ჭალარა

და დანაოჭებული შუბლი, ყბებთან ოდნავ ჩამონწილილი კანი... შენსავით ყველა მყვარებოდა, შენსავით მხოლოდ ერთი კაცისთვის ჩამომეჭრა ჩემი სხეული, მხოლოდ ერთი კაცი დამეპურებინა ჩემით, შენსავით ბევრი შვილი მყოლოდა და ყველა ერთნაირად მყვარებოდა. მე მხოლოდ ერთი შვილის გაჩენა მოვასწარი, დანარჩენები უკან ჩავიბრუნე და შევისრუტე, ამიტომ მხოლოდ ერთი შვილისთვის ვცოცხლობ, მასზე ამომდის მზე და მთვარე... ვერაფერში დაგემსგავსე, დედა, რადგან მაშინ, როცა საერთო გზა უნდა გაგვევლო, ხელი გაგიშვი და ცხოვრებამ ისე ჩამიხვია თავის საზარელ ხახმაში, ამოღწევა ვერ შევძელი, ველარაფრით ჩაგეჭიდე, ჩაგებლაუჭე. იმდენ ხანს მატრიალა მჭრელმა ბორბლებმა, სანამ ყველა მსგავსება, რომელიც შენთან მაკავშირებდა, სამუდამოდ არ შემომამსხვრია, ყველაფრისგან არ განმმოსა, არ გამძარცვა, რაც შენგან მერგო. მხოლოდ სიყვარულს ვერ შეეხო, იმიტომ, რომ საგულდაგულოდ ვმაღავდი იქ, სადაც ვერავინ შეეხებოდა. ახლა შენ წინ ვდგავარ მოკლული დიდი ხნის წინათ, შენ კი შენს დამჭკნარ ხელებს სახეზე ისე მაფარებ, როგორც სუდარას, ცდილობ, როგორღაც გამაცოცხლო, გადამარჩინო... მე ვიცი, რომ ველარასდროს ვერ გავცოცხლდები. ახლა მხოლოდ ერთი რამ შემიძლია — ისე მიყვარდე, როგორ ადრე, ზუსტად ისე, ბავშვობაში როგორც მიყვარდი.

კედლები

ყოველ დილით ფეხით ჩავდივარ დაახლოებით ერთ კილომეტრიან დაღმართს ჩემი სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე. ყოველ დილით სხვადასხვა ადგილას მხვდება ერთი და იგივე ქალი. ზოგჯერ იმის მიხედვით ვსაზღვრავ, დევაგვიანებ თუ არა სამსახურში, სად შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს — სასტუმროსთან, სპორტ.დარბაზთან, თუ პირდაპირ ავტობუსების გაჩერებაზე. მე იქით მივრბივარ, ის აქეთ მოდის ღამენათევი. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, შესაბამისად, არც ვესალმებით. ეს რომ კინო იყოს და არა ცხოვრება, ღამაზი და მრავლისმთქმელი კადრი გამოვიდოდა —

ორმაგი ექსპოზიცია: გვაცვია სეზონის შესაბამისად — ხან თხელი კაბა, ხან თბილი ქურთუკი და ჯინსის გაცრეცილი შარვალი... გვაქვს სხვადასხვა ვარცხნილობა, სახეზე სხვადასხვა ემოცია ალგვებქდვია... ერთმანეთს კადრშიც ყოველ დღე სხვადასხვა ადგილას ვხვდებით, მაგრამ ეს კინო არ არის, მხოლოდ ცხოვრებაა — ყოველგვარი პოეზიის გარეშე. აქ მთავარი მხოლოდ ისაა, რომ ორივე დალლილი ვართ და მივრბივართ — მე სახლიდან სამსახურში, ის სამსახურიდან სახლში. ჩვენ ორივე დალლილი ვართ და არც ერთს არ გვაქვს დრო, ერთმანეთს გამოველაპარაკოთ. არადა, ცხოვრებამ იმდენჯერ გადაკვეთა ჩვენი გზები, იმდენჯერ გავიარეთ ერთი და იგივე აღმართ-დაღმართი, წესით, ერთი გამარჯობა მაინც უნდა გვემეტებოდეს ერთმანეთისთვის... მე მას ახლა გრძელზე გრძელი ლექსი მივუძღვენი, ის, ალბათ, ამის შესახებ ვერასდროს გაიგებს. მე მასზე მხოლოდ მაშინ ვფიქრობ, როცა მხვდება. ის, შეიძლება, არასდროს ფიქრობს ჩემზე, შეიძლება, ვერც მამჩნევს, ან იქნებ მამჩნევს, მაგრამ ჩემსავით დაკვირვებული თვალი არა აქვს, ვერც ამბებსა და მოვლენებს იმახსოვრებს ჩემსავით ზუსტად. რატომ უნდა ვხვდებოდეთ ერთმანეთს ადამიანები, თუ ერთმანეთის ცხოვრებაში ეპიზოდურ როლსაც კი ვერ შევასრულებთ?

ტაროს გამშლელმა მითხრა ერთხელ, წინა კაცი იმიტომ შეგხვდა, რომ მისნაირების გეშინოდესო. სხვა მისია არ ჰქონდა და არც ექნებოა. ცუდი პასუხია — არ დამაკმაყოფილა. მე არ ვნანობ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ. მერე რა, რომ ბევრჯერ მატიკინეს და მეც ვატკინე?.. ეს ტკივილები რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება ბევრად მოსაწყენი, უინტერესო იქნებოდა.

ცხოვრება ისედაც ძალიან, ძალიან მოსაწყენია, ამიტომ, მგონი, ჯობია, ვიყოთ და ერთმანეთს გული მოვუკლათ, იმედები გავუცრუოთ და ცოტა ხნით მაინც ავარიდოთ მარტოობის ტკივილები. მეორე ჯერზე ისე ძალიან მაინც აღარ გვეტკინება, როგორც პირველად. პირველი ყველაფერი იმაზე მეტად მტკივნეულია, ვიდრე მომდევნო. ყოველ შემდეგ ჯერზე ტკივილის შეგრძნება კიდევ უფრო შერბილდება, ბოლოს კი კედლებად გადავიქცევით, რომლებსაც ცერცვი კი არა, ტკივილიც რომ შეაყარო, მაინც ვერაფერს დაუშავებ. მე ასეთი კედელი ვარ დიდი ხანია. ალბათ, ის ქალიც კედელია, ყოველ შემთხვევაში, მის სახეზე ეს იკითხება — ეტყობა, რომ ჩემიანია და საერთო ტკივილმა მოგვკლა თავის დროზე. ახლა რაღა დროს ჩვენი ტკივილებია — თავი ჭალარით გადაგვსებია, ფრთები ძირში დაგვმსხვრევია, სიცარიელე და მარტოობა შემოხიზნულა ჩვენს თვალებში. ჰოდა, ცუდია, რომ კედლები ცალ-ცალკე დგანან. ისინი ერთმანეთს ვერასდროს გაამაგრებენ. ვბოდავ, ნავედი...

ლიმონის მომჟავო, გზისფარი სურნელი

მეტროსადგურ „სადგურის მოედნიდან“ ამოვდივარ. „ვაგ ზალზე“, როგორც ყველანი ვეძახით, ყოველთვის იმაზე მეტად ცივა, ვიდრე სხვა უბნებში. თავზე სქელი, ნითელი შარფი მაქვს შემოხვეული და ნიკაპთან განასკვეული. ცხონებულ ბებიაჩემს ვგავარ, მეც მასავით თბილად ჩაცმა მიყვარს, მეც მასავით სულ მცივა. გზას უზარმაზარი ვირთხა მიჭრის, ქუჩის ძაღლები „გლოვოს“ კურიერის მოპედს მისდევენ, მოხუც ბებოს დამჭკნარ ხელში ლიმონი ჩაუბლუჯავს და გამვლელ-გამომვლელს სთავაზობს 3 ცალს ლარად. ჰაერში შაურმის სუნი ტრიალებს, მახსენდება, რომ შაურმა წლებია არ მიჭამია. ჩემი მოკლე ჭკუით, ფიგურას ვუფრთხილდები. ბებოს ხელებში გამომწყვდეულ ლიმონზე მეფიქრება... უკან ვბრუნდები, სამ ცალს ვყიდულობ. ჩანთაში ვიყრი და მეჩვენება, რომ მისი სითბო გაყინულ ძვლებს მზის სხივებს აწვდის. ნეტა, მეც ვინმემ გამომიწოდოს ხელი. ასეთ დროს (შემოდგომის ბოლოა) ყოველთვის განსაკუთრებით მცივა. ისეთ ასაკში ვარ, თან ისეთ ხასიათზე, ოდნავაც არ მაღლევენს, ვინმე ნაცნობი თუ შემომხვდება და ამ აურზაურში ჩემზე მსგავსი რამის გაფიქრება არ დაეზარება: „რას დამსგავსებია, საწყალი. როგორ ჩამომჭკანარა, მკერდი ბოლომდე ჩამოღვენთია, თვალებისთვის ვილაცას სული შეუბერავს და სამუდამოდ ჩაუქრია, თეძოები გაგანიერებია, თმა გასჭალარავებია, წარბები ამოსაქნელი აქვს, ალბათ, ფეხებიც დიდი ხანია, არ გაუპარსავს“. ახლა ისე ვარ დალლილი, ლიმონივით გამონურული, გზა გაცრეცილმა, ტალახიანმა ვირთხამ კი არა, ყოფილმა ქმარმა რომ გადამიჭრას თავისი თეთრი, გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი ბრენდული ფეხსაცმლით და სიბრალულით ამათვალიერ-ჩამათვალიეროს, ამაზეც კი ვერ მექნება სათანადო რეაქცია. სად მაქვს ასეთ ამბებზე დარდის და შფოთვის თავი?.. ახლა მარტო იმას ვგრძნობ, რომ მცივა და ძალიან, ძალიან მშია — ვერ მოვასწარი ვერაფრის ჭამა, ვერც დაღევა. თან უკვე მერამდენედ... უკვე მერამდენედ გადის დღე ისე, რომ ვერაფერს ვასწრებ. რაღა დროს ჩემს ყოფილ ქმარზე ფიქრია? — იყოს თავისთვის, სრისოს თავისი ახალგაზრდა, სიფრიფანა ცოლის მკვრივი ძუძუები, წუნწოს მისი შოკოლადისფერი კერტები, ჩემთან რა ხელი აქვს?.. — დე, „ნაკლულოვანება“ რას ნიშნავს? — მეკითხება სახლში დაბრუნებულს შვილი. თავი მე-10 კლასის სახელმძღვანელოში ჩაურგავს, ზედაც არ მიყურებს, სად სცალია დალლილი დედისთვის — ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები აქვს შესასწავლი. — სიღარიბეს, დედი — ვპასუხობ... ჩანთიდან სამ ცალ ლიმონს ვიღებ, გაზზე გაპრიალებულ ჩაიდანს ვადგამ და სანამ ადულდება, საკუთარ თავს ფიქრებში ხელების ფათურის უფლებას ვაძლევ... შეჭამა ჩემი ბედნიერი დღეები სიღარიბემ — მოგზაურობების, ფერად-ფერადი კაბების, ძვირფასი სუნამოების გარეშე ჩაიარა მთელმა ცხოვრებამ. არაფერი გაიმეტა დედამინამ ჩემთვის — სამუდამოდ გადამიშალა მის ზედაპირზე ამოზრდილი პერუს ფერადი მთები, ეიფელი, ბავშვობიდან ასე სასურველი და საოცნებო ინდოეთი და აფრიკის ოქროსფერი უდაბნოები.. მეც რაღა უდაბნოს, პერუსა და ეიფელს გადავწვდი, მგონი, მალე ზღვის ფერი და სურნელიც კი დამავიწყდება... არა უშავს — ზოგს ცხელი ჩაიც ენატრება ამ სიცივეში. მე შემიძლია, ჩაი მოვსვა

მშობლიური „ხრუშოვკის“ მოციცქნულ სამზარეულოში,

მოხუცი ბებოსგან ნაყიდი ლიმონით გაჯერებულ

მოტკბო-მომჟავო სურნელით გაჟღენთილი ჩაი შევირგო,

თან გულუბრყვილოდ მჯეროდეს, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ მაქვს.

მერე რა, თუკი მალე ორმოცდაათს მივუყაკუნებ?..

ოცნებას კაცი არ მოუკლავს,

სხვათაშორის, არც სიღარიბეს.

ხშირად მინახავს, როგორ ითხოვენ მოწყალეებს რაღაც ტყუილ-მართალი ტექსტით ხელში. მუყაოზე წერია მიზეზი მათი ქუჩაში დგომისა და ზემოდან გამჭვირვალე პარკი აქვს გადაკრული ამ ნაწერს, რომ იოლად არ წაიშალოს. ერთხელ კი ვნახე საკმაოდ მოზრდილი ტექსტი, რომელიც მთლიანად გაცრეცილ-გახუნებულიყო ყველა სიტყვა, ალაგ-ალაგ ემჩნეოდა ოთხი თუ ხუთი ასო და ცხადია, აზრს საერთოდ ვერ გამოიტანდი. თუმცა, მაინც ჯიუტად ეჭირა ამ მოხუცს, როგორც უტყუარი და ვადგაუსვლელი საბუთი იმისა, რომ მასაც თავისი ამბავი აქვს და უნდა ვენდოთ. მერე ვფიქრობდი, რომ ზოგჯერ ყველანი რა ძალიან ვგავართ ამ დალილ კაცს — ჩვენ-ჩვენი გაცრეცილი ამბებით ხელში, რომელთაც სინამდვილეში ვერაფერს კითხულობს და მაინც თან დავატარებთ ასე გულსაკლავი მონდომებით.

წლების წინ იყო: ახლობელთან მივდივარ. საავადმყოფოდან გამოწერეს. ისეთი ოპერაცია გაიკეთა, შვიდობა ან მათი დედა. თვითონ არ იცის. დაძაბული ვარ. ის სამი სახლში დავტოვე და მეოთხე წამოვიყვანე. სამი წლისაა. მივდივართ ფეხით. რუსთაველზე მიტინგია. მე მძულს მიკროფონი, სანყალ ბეჭედებს ასივებს, ბერავს, ხეთქავს. დიტოს პატარა ალამი მისცეს და მონონს. დავრჩეთ, რა! — ტირილი იწყებს, არ მემორჩილება, ძალით მივათრევ. უცებ, ვილაკ მკაკუნებს ბეჭებზე. მივბრუნდი, თამარა! ჩემი ძველი მეზობელი. საშინლად დაბერებულა, მოპატარავებულა. აი, ნახე, შურა მოკვდა და მისი ფეხსაცმელები მაცვია! დახვდე, უწვრილესი ფეხები კაცის უზარმაზარ, გაქუცულ, უთასმებო ფეხსაცმელებში ჩაუყვია. მაღალი იყო შურა, მხიარული, მტრედები ჰყავდა მოშიწიაურებული. ყოველდღე აჭმევდა და ისინიც სულ აკითხავდნენ. მომკვდარა. თამარა კი დგას ახლა ჩემ წინ და თვითონაც, მეც და დიტოც მის ფეხებს დავყურებთ. „რა ლამაზი სამელნე გქონდათ! ბავშვობისას ვნახე და სულ მახსოვს!“ — ვეუბნები თამარას, რომელიც ტირის. შეიძლება, დრომა ვაჩუქო? — დიტოს ეცოდება. „კი“ — ვეუბნები მე და თამარა რომელიღაც პარტიის ალმით ხელში მიდის.

ერთხელ მეზობელმა კაცმა, სახელად ასტიონი, თოვლი აიტანა ვედროებით სახლში. ის წლები იყო, ყველაფერი რომ გათიშული გექონდა. იმ დღეს კი წყალიც არ მოდიოდა და ასტიონმა თოვლი აიტანა სახლში, რომ წყლად ექცია. მე ეს ფანჯრიდან დავინახე და მას მერე უთვალავჯერ გადაიხვია ჩემს ტვინში ასტიონის რამდენიმენაბიჯიანი კადრი — ალვის ხიდან სადასახურში. სადგურთან მუშაობდა, არ მახსოვს — სად რაღაც აფეთქებულია, მგონი, გაზის ბალონი და მოკვდა. მე და დედა მის სახლში იქამდე ავედით, ვიდრე მოასვენებდნენ. ხალხი ტიროდა. მე ფანჯარასთან ვიდექი და ვფიქრობდი, რომ მესამე სართულიდან ეზო ძალიან ჯადოსნურად ჩანდა. ჩვენ მერე სართულზე ვცხოვრობდით. მერე მოასვენეს ასტიონი და მისი ქალიშვილი ჩაეხუტა. მკვდართან ჩახუტების სცენამ ძალიან შემამინა და სახლში ჩავიღვი. მაშინ თქვა, რომ გაბრაზებული იყო ასტიონზე და არ ესალმებოდა. მე ვუთხარი, რომ მესამე სართულიდან ეზო სულ სხვანაირია. გულში ვუთხარი, რადგან ასე ლაპარაკი ბევრად უფრო ბუნებრივი და უსაფრთხოა, როცა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს გრძნობ და რამე ხორკლიანი რომ არ შეეხოს, სიმწრით უფროსი ხდები.

2000 წლის 7 მაისს დედაჩემმა დაწერა მოთხრობა „იისფერი საკაბე“, რომელშიც ჰყვებოდა, როგორ გაიტანა დედამ საკუთარი ორსული შვილის საკაბე გასაყიდად. 9 დღის შემდეგ, 16 მაისს, დედა გარდაიცვალა და იმ დღეებში ვიპოვე ეს მოთხრობა მისი კარადის უჯრაში. მოთხრობაში ნახსენებები იისფერი საკაბე მართლა მქონდა, მართლაც ორსულობაში მარჯუქვს და გამყიდველი სუსხანაც მართლა არსებობდა. ჩვენი

სახლის მოპირდაპირედ, ქუჩის გასწვრივ, მინაზე გაფენილ ფარდაგებსა და ამოყიწილი მაცივარზე ეწყობა სუსხანას მეორადი ნივთები და ყიდდა. მთელ უბანს მასთან მიჰქონდა ჭურჭელი, ტანსაცმელი, ფაფურის ანტიკვარი და საერთოდ ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, რომ არ მოშინებოდათ. დედას დაკრძალვიდან 10 დღეც არ იქნებოდა გასული, რომ ავტობუსს ველოდებოდი სუსხანას ბაზრობის სიახლოვეს. გავებედე, მივედი, ვათვალიერებ და ვხედავ — იისფერი საკაბე დევს და ზემოდან სამარისფერი აყრია. ისეთი უცხო იისფერია, მაშინვე ვიცანი. ვინ მოგიტანა, სუსხანა, ეს საკაბე? — ვეკითხები და ისე გულიანად აღმინერა, მაშინვე ვიცანი დედაჩემი. კიდევ რამე ჩავაბარა-მეთქი და ცოტა კი გაიკვირვა ჩემი დაინტერესება, მაგრამ, ზენერები და პირსახოცებით — მიპასუხა. ვერ ვიყიდე ვერაფერი და წამოვე-

ხუცობის ნაერთი რაღაც ისეთ უცხო სამყოფელში მაცივარებდა, სადაც ახალგაზრდობის საქიროება არ იყო საერთოდ. მხოლოდ ერთ დღეს ვინატრე მეც გამომეცადა, რას ნიშნავს, იყო ახალგაზრდა. ალბათ 19 წლის ვიყავი. გოგო კი, გვერდით მაგიდისგან, ჩემზე ცოტა დიდი. რაღაცადას უყვებოდნენ მისი მეგობრები. ის იცინოდა და კეფაზე აკეცილ ქერა თმებს განუწყვეტლივ იკრავდა რაღაც უბრალო და ჯადოსნური თმის სარჩით, მაგრამ თმა მაინც სახეზე ეყრებოდა. ძალიან ლაღი იყო, განსაკვიფრებლად ლაღი, ისეთი ლაღი, სიცოცხლის სიხარული რომ აქვს ნაკიდებული ტანზე. მერე ვილაკამ სხვა მაგიდიდან დაუძახა: ირინკა! და ასე გავიგე მისი სახელი. ველარც ვითვლი, იმდენი წელი გავიდა მას მერე. 55 წლის ვხდები ამ ზამთარს. ირინკაც სამოცს უახლოვდება ალბათ. არ ვიცი, სადაა და როგორაა. ზოგჯერ ვილა-

ლი იყო. რამდენიმე კითხვავზე პასუხით დავამტკიცე, რომ ჩემი იყო და წამოვედი ტირილით. რა ვიცი, პატარა უსამართლობებზე მეტირება. მარტო მე რომ მეხება იმათზე კი არა, ზოგადად ყველანაირზე, ცხოვრებაშიც, ფილმებშიც, ზღაპრებშიც. ოპერასთან მხესუმზირის გამყიდველმა მთხოვა, წნევა გამიზომო. ადრეც გავუზომე ორჯერ, ცუდად რომ გახდა და დამიმახსოვრა. მექარებოდა, მაგრამ გავუზომე. აპარატს ჩანთით ვატარებ შიშების გამო. წამლებსაც. მიერკავს ელექტრიკოსი. შენც წამომყევი ელიავაზე, მარტო არ ვიყიდი არაფერს. ვისთან მისვლასაც ვქმარობდი, დავურეკე, რომ ველარ მივიღოდი. ელიავაზე ვიყიდეთ უამრავი ჩემთვის გაუგებარი რამ. ამ ელექტრიკოსს ენა ებმებოდა და გამყიდველები ცოტა განვალდნენ. ზოგი გაბრაზდა კიდევ. მეც მეჩხუბნენ, შენ თქვი, რისი თქმაც ამას უნდაო. როგორ ვეცყოდი? 200 მქონდა პულისი ამ კაცის საცოდაობით. არც ბაზრობამდე ებმოდა ენა, არც იქიდან რომ გამოვედით მერე. მარტო იქ. ალბათ ხალხში უფრო ლელავს და იმიტომ. მოვატრევთ პარკებს. გავაჩერეთ ტაქსი. მძღოლი მთელი გზა გვიყვებოდა, როგორ მოუკლეს ექიმებმა შვილი და ფოტოც გვაჩვენა. საცობში მოვხვდით. მე მივხვდი, რომ პანიკის შეტევა მეწყებოდა და ტაქსიდან დაუკითხავად ჩამოვედი გმირთა მოედანზე, სრულიად საშინელ ადგილას. მანქანები მისიგნალებდნენ და მიყვიროდნენ. ისევ ტაქსიში ჩავჯექი, მაგრამ მელიქიშვილზე ისევ ჩამოვედი შემოღობული. ამ დროს ვილაკ მეძახის, მივიხედე უკან და თურმე მე არ მეძახიან, ჩემ გვერდით ვინც იდგა, ის ლამაზი გოგო იღიმოდა მხესავით. გადაიღეს ფოტო და ისე ახლოს ვიდექი იმ გოგოსთან, დარწმუნებული ვარ, კადრში მოხვდი. არ ვიცი, წამლიან თუ არა იმ ფოტოს, როგორც წუნდებულს ჩემი შემოღობილი სახის გამო, უბრალოდ ჩამომჭრიან თუ დამტოვებენ, მაგრამ მე სამუდამოდ ჩამარჩეა მხესიერებაში ასეთი საკუთარი თავი — ვიოლინოს ბუდეზე ფეხნამოდებული, ფოტოებთან მოლაპარაკე, ცივი ლობიანით პირამოვისებული, გამოიღიწნივის აპარატით ოპერასთან, აფთიაქიდან ტირილით გამოსული, ელიავაზე ხმაკანკანკალეულ ელექტრიკოსთან ატუზული, გმირთა მოედანზე ტაქსიდან ჩამომხტარი, თმაანწილი, არალამაზი, სახეჩამორეცხილი და ამდენი დანერლ-დაუნერელი ამბით ვილაკ მზე გოგოს კადრში შემთხვევით მოხვედრილი.

ჩვენს სახლთან ახლოს კოსტავას ქუჩაზე ერთი ძველი სამკერვალოა. სულ მიკვირს, როგორ შემორჩა აქაურობას ან როგორ არ გაარემონტეს. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა და გადასხვაფერდა ათასჯერ და ეს კი ისევ ისეთია. ხელუხლებელი. თანამშრომლებიც იგივეა და არც ამ თანამშრომელთა სახეები იცვლებიან. არც ბედებიან, არც გამომეტყველება ეცვლება. თითქოს დრო ამ სამკერვალოს მიღმა გადის. მზე რომ კარგად მიენათოთ, რამდენიმეს მაგიდა მაღალ შუშასთან აქვს მიდგმული და ამათ ყველაზე უკეთ ვიცნობ. ყველა ავლა-ჩამოვლისას თავს ვუხრი მდებლად და ღიმილით და გვაქვს ასე შუშის გაღმა-გამოღმა ნაცნობობა. ცოტა ხნის წინ კი გამოვიდა გარეთ ერთი მკერავი ქალი, შემაჩერა და მეუბნება, რომ ვერ მოვიტონინე, არ მეთქვაო. არც სახელი ვიცი შენი, არც სხვა არაფერი და ამდენი წელია, კინოსავით გიყურებ. ჯერ მარტო შენ და შენი ქმარი დადიოდით ამ გზაზე, მერე ფეხმძიმე დადიოდი, მერე შვილით ხელში და ფეხმძიმე, მერე ორი შვილით და ისევ ფეხმძიმე, მერე სამი შვილით და ისევ ფეხმძიმე და ამის მერე ოთხივე შვილით, რომლებიც თანდათან იზრდებოდნენ. ახლა ძირითადად მარტო დადიხარ, რადგან ესენი უკვე ძალიან გაიზარდნენ და ყველას ცალცალკე გხედავთო. ერთხელ კი ფურცლები დაგეყარა და ვიდრე მე გამოვედი მოსახმარებლად, სხვებმა მოგაწოდესო. მითხრა ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად და ისევ სამკერვალოში შებრუნდა. მე ცოტა ხანს ვერ შევეძელი გადაადგილება, რადგან უცებ დავინახე ჩემი ბიოგრაფიის სიმაღლე და ამ უბრალოების სიხარული: შვილები, ძირს დაყრილი ლექსები და მორჩა. სულ ეს კადრები ვარ ამ ქალისთვის და სინამდვილეშიც ალბათ სულ ეს ვარ ისედაც...



მაია სარიშვილი

ჩვეულებრივი ამბები

დი. მოგვიანებით მივაგენი ფურცელს, რომელზეც ზუსტად იმ პერიოდში დამინერია, რას ვუყიდი დედას, ცოტა ფული რომ მქონოდა და ეს სია ჩემთვის ყველაზე სევდიანი სიტყვათა მწკრივია. დედას გასახარებელი სია შედგებოდა ხახვისგან, მარგარიტისგან, ცოტა ძხვისგან, სხვა იაფფასიანი პროდუქტებისგან და გლიცერინის ხელის კრემისგან. სუსხანას ამოყირავებული მაცივარი, რომელიც უამრავი სევდიანი ნივთის დახლი იყო, დიდი ხანია, აღებულა, ის ხე კი, რომელიც სუსხანას მზისგან იცავდა სიციხეში, დღემდე ყვავის გაზაფხულობით. თეთრი ყვავილები აქვს და ათასი სათქმელი, მაგრამ რაღა დროს ხეების მოსვენება. და საერთოდ, რაღა დროს ასეთი ამბებია, მაგრამ მაინც ვერ მეშვეებიან და ვერც მე ვეშვეები.

ცებს ვამსგავსებ და ლამის ვკითხო, „ჩაის სახლში“ თუ დადიოდა სტუდენტობისას. რა უცნაურად ჩარჩებიან ხოლმე ჩვენს მეხსიერებაში სრულიად უცხო და მცირე ხნით ნანახი ადამიანები. იქნებ მეც ვარ ვილაკის მეხსიერებაში ასე უცნობ გოგერი შემონახული. რა ვიცი... თითქოს არაფერი. მაგრამ მიყვარს ასეთი ამბები.

სხვის კადრში მოხვედი

დილით ანასტასიას ვიოლინოს ბუდეს გამოვედე ფეხით და თაროს ჩავეჭიდე, საიდანაც ფოტოების ყუთი ჩამოვარდა და ამოყირავდა. ვჭქარობდი, უცებ ჩავყარე ყველა სურათი უკან და ამ ფოტოებთან შეხებისას, ყველას, ვისაც ვიცნობდი, ცოცხალს თუ უკვე წასულს, წამის მეათასედში ვუთხარი რაღაც. მერე თან ვიცვამდი, თან ხატისას სამსახურში დავურეკე, ნატას — მასწავლებელთან, ანასტასიას — მეგობართან, და დიტოს — სკოლაში. გარეთ გავივარდი. აფთიაქში მითხრეს, აგერია, დღეს ფასდაკლებების დღე არ გვაქვსო. გამოვბრუნდი, შემხვდა ოლია, ჩვენი სადარბაზოს დამლაგებელი. რამდენიმე სიტყვა ვუთხარი და განსაკვიფრებელი მონდომებით ჩავატე ამ რამდენიმე სიტყვაში იმდენი ნუგეში, რომ ცოტა ხანს მაინც ჰყოფნოდა. ისევ ვჭქარობდი. ვიყიდე ცივი ლობიანი, გაცხელებების დრო არ იყო და დიდი ლუკმებით დავიწყე ჭამა. გამახსენდა რამდენიმე უცნობი ადამიანის წერილი — ქუჩაში დაგინახეთ და ვერ მოვედით, მაგრამ გავგიხარადო — რომ მწერდნენ. ისევ ვინმე არ მხედავდეს-მეთქი ნეტა. გამოვიყურებოდი საშინლად. 20 კგ. მომატებული, თმა საზარლად, სახე ჩამქრალი, ტანსაცმელი უგემოვნოდ და დაუდევრად ამოცმული, თვალები ჩამქრალი და უშველებელი ლობიანით ამოტენილი პირი. შემრცხვა. მერე გამიარა. როგორც შემიძლია, ისეთი ვარ-მეთქი. მობილური აფთიაქში დამჩვენია, მივბრუნდი, მაგრამ შენ არ დაგჩვენია, სხვა ქა-

ირინკა

90-იან წლებში, და ალბათ მანამდეც, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პირდაპირ იყო „ჩაის სახლი“, სადაც სტუდენტობის დროს დავდიოდი, ძირითადად, მარტო. მომწონდა, რომ დიდი შუქი შემოდოდა გარედან, მომწონდა, რომ ქუჩა ჩანდა. მომწონდა ჩაის ჭიქები და სხვა ახალგაზრდებზე დაკვირვება. ძირითადად, ჯგუფებად მოდიოდნენ სტუდენტები და ჩემსავით მარტო — თითქმის არავინ. ვიჯექი და ვუყურებდი კინოს ახალგაზრდებზე. ვაკვირდებოდი, როგორ იცინოდნენ, როგორ ჰყვებოდნენ ამბებს, როგორ მოძრაობდა მათი სხეული ამ ამბების მოყოლისას თუ სხვისი ამბების მოსმენისას. მეგონა, რომ მე არ ვიცოდი ახალგაზრდობა. ახლაც ასე მგონია. მე უფრო ვარ ბავშვს + მოხუცი, მაგრამ ახალგაზრდა ვერასდროს. ამიტომ გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ამ გოგობიჭების შრიაპულს და მიკვირდა ყველაფერი. არასდროს გული არ დამწყვეტია ჩემი ცხოვრებიდან ახალგაზრდობის ამოვარდნის გამო, რადგან ბავშვობისა და მო-

მზე დედა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი.
ხალხური



ილია გველესიანი

მზე, მთვარე და შენ



თმა ჰქონდა; სახე სავე მთვარეს მიუგავდა, თვალები — ვარსკვლავებს.

მთვარემ ხელში აიყვანა ბავშვი, გულზე მიიკრა და უზომოდ თბილი სინათლე შეაფრქვია სახეში.

— რა ლამაზი ხარ! — უთხრა და შუბლზე აკოცა.

ბავშვმა გაიღიმა...

ბავშვმა გაიღიმა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი ადამიანის გაღილება. ეს უფრო ურთულად და ახლო გაღილება იყო. ის უფრო ღრმად აღედგინა ბავშვის შეგრძობას. ასე, ალბათ, ანგელოზები იღიებინან, რომელთაც სხეულში სისხლის ნაცვლად თვალისმომჭერი ნათელი უჩუხჩუხებოდა.

„როგორ მგავს“ — გაიფიქრა მთვარემ — „ნამდვილად ჩემია...“

ბავშვი თოთო თითებით ნაეტანა ნანვეტიკებს ცხვირზე. მთვარემ ფრთხილად გააშვებინა. ბავშვი არ მოეშვა, საჩქაროდ მიერე ხელი ნაეტანა და უმწეო ძალით მოუჭირა.

მთვარეს მოეწონა ბავშვის ცელქობა და გაეცინა.

ბავშვიც მიხვდა, მონონება რომ დაიმსახურა და აკისკისდა.

მჭახე და წკრიალა ხმებმა იფეთქეს მითვლებში ცაზე. დასალიერამდე გრიალ-წკარუნით მიიღწია, შენივთდა, ერთმანეთში აიხლართა და ერთ მთლიანობად იქცა. მიერე დაქუცმაცდა, დაიფხვნა და ნაფხვენებად ჩამოთოვდა დედამისაზე.

ვარსკვლავებიც გამხიარულდნენ — ციციციცი უმატეს და ვერცხლისფერ რკალად შემოველნენ სამეფო სავარძელს.

— ოქროსფერ კულულებიანი ბავშვი დაიბადა!.. ჩემია, ჩემი! — იყვირა მთვარემ და ბავშვიც ჰაერში აისროლა.

ვარსკვლავებმა ელვარე ხელებით დაიჭირეს პატარა არსება, თავიანთ ორბიტაზე გაიყვანეს, სხივებით დანულ საქანელაზე დასვეს და გააქანავეს.

მთვარე უკვე ცის შუაგულში გაცურებულყო, ღრუბლის ჰამაკში მინოლილიყო და ფიქრობდა:

„აი, რატომ იცვლება თურმე ჩემმა დედოფალმა!.. ორი დღე იმიზეზა, ამ საღამოს კი ოინის ჩატარება გადაწყვიტა. ახირებული ხასიათი აქვს... ჯერ ფეხშიძობა დამიმალა, მერე ბავშვის დაბადება!.. მერე — ვის, მე, საყვარელ მუღლეს დამიმალა?! ეჰ, ჩემო მზეთა მზევე, ჩემო ბრწყვიალა ქალბატონო, ნუთუ წინასწარ არ უნდა შეგემზადებინე ასეთი ბედნიერებისთვის!.. სინათლე რომ ჩამიქრეს ან დამეპრიტოს მოსიყვარულე გულში, მერე რაღა ეშველება ამ დაფეხვილ ადამიანებს, ჩემ ფეხქვეშ მატლებივით რომ დახოხვენ და ყველას და ყველაფერს ხრავენ და ანადგურებენ... რამდენ ქურდსა და ყაჩაღს არ ვუყვარვარ, რამდენი ნაძირალა ილესავს ენას ჩემ წინააღმდეგ... დაბნელებას ელოდებიან, რომ დაფარონ თავიანთი ავი ზრახვები. იმ ოხრებს მაინც დამაინც ჩაშავებული კუნჭულებისკენ მიუწვევთ გული... ვინ მოთვლის, რამდენი არსება გადამირჩენია ჩემი ნათელი სხივებით... ეჰ, ჩემო დედოფალო, შენც ევასანარი ქალი ხარ და ქალს, აბა, ჭკუას ვინ ეკითხება!“

მთვარის მზეთა მზე სასახლეში საკუთარ ფუმფულა ლოგინზე მთელი სიდადიით განფიქრილიყო და შევბამიციმული თვლემდა.

დილისთვის მხედ უნდა ყოფილიყო, რომ თავისი მოწყალების კალთა გადაეფარებინა ქვეყნიერებისთვის.

მოციმციმე ციციანათლების გუნდი დაარჯობდა დედოფლის მშვიდად მოსვენებას.

კეთილადაც განისვენებდა ბრწყვიალა დედოფალი...

ბავშვი კი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა.

მისთვის პირველ თამაშს — თვალხუჭობანას თამაშობდა ბავშვი: თვლებზე ცისარტყელას შემოახვევდნენ, სამამდე დაუთვლიდნენ და მერე თვალგახელილს დამალული ვარსკვლავები უნდა დაეძებნა კიდიდან კიდემდე.

როგორც აფუიფულვებულ ხალიჩაში, ისე ეფლობოდა პანია ფეხები ცის რბილ მუცელში.

სიამოვნებდა...

დაძინებულ ცის სხეულზე დათვის ბელივით დააბიჯებდა და საკუთარ დაძმებს დაეძებდა.

ცის სიღრმეში ემალვებოდნენ ვარსკვლავები. გვერდით რომ ჩაუვლიდა — ჭიტას დაიძახებდნენ. გაფაცვიცდებოდა ბავშვი — ვერავის ხედავდა, გასცილებოდა თუ არა მათ სამალავს, ერთმანეთს გადახედავდნენ და რაღა უნდოდათ მეთი — ჩაბჭირებამდე წკარუნობდნენ.

— აღარ მინდა ასეთი თამაში, — გაბუტულმა გამოაცხადა და ღრუბელზე დაღლილი ჩამოჯდა.

რაღაცას ნამოედო. დახედა. თვალი აუჭრელა საგნის ციციციმმა. ხელი მოკიდა. თავისკენ მიიზიდა. დააკვირდა — დედადედოფლის გვირგვინი აღმოჩნდა.

თავზე დაიდო. თვალებზე ჩამოეცურდა. წვალვებით აიზიდა შუბლამდე. ისევე ჩამოეცურდა...

ეს უკანასკნელი ქანცი იყო, რომელიც გაუწყდა. დაღლილობამ დაუძძიმა სხეული. ღრუბელზე მიწვა. დაეძინა.

ცის ტატონზე, როგორც წყალუხვ მდინარის მინდობილი ნავი, ისე მისრიანებად ღრუბელი.

მთვარის აბრღვიალებულ ნათელში შეცურდა ღრუბელი.

მთვარემ სიყვარულით დახედა ღრუბლის ქულაში ჩადიებულ ბავშვს.

დედოფლის თავსარქმული შეიცნო და ქირქილით ჩაილაპარაკა:

— არასდროს არ იკარგება გვირგვინი, მას ყოველთვის პოულობს სხვა!

მერე ბავშვი ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა.

არა, ამის აქ დატოვება არ შეიძლებოდა. მიუხედავად შინაარსისა, ფორმა ადამიანის ჰქონდა. ამიტომ ადამიანებთან უნდა გაზრდილიყო — მათსავით უნდა ევლო, ელხინა და ედარდა; ხოლო გული მზესავით თბილი და მთვარესავით სუფთა უნდა ჰქონოდა.

ასე სჯობდა.

რადგან ასე სჯობდა, გადაწყდა ბავშვის დედამისაზე გაგზავნა.

მთვარემ ჩახედა ძილში გარინდებულ დედამისას. ერთხანს მოღუშული რაღაცას ფიქრობდა, მერე შუბლი გახსნა და ნათელი ხელი ჩაიწვინა ქვემოთ, რომელიც ფანჯარასთან შეაჩერა — ჰაერში ჯვრის ფორმა მოხაზა და ვერცხლისბეჭდიანი თითით მინაზე დააკაკუნა.

კაკუნის ხმას არავინ გამოხმაურებია. ფანჯრის მინაში გაატარა რბილი სინათლე — სახლში შეცურდა.

სახლი პატარა იყო.

ღარიბულ ოთახებში სისუფთავე სუფევდა. ეტყობოდა, თავგებს დიდი ხნის წინ გაეხსროთ შიმშილისა და სისუფთავისთვის.

ხის მომცრო სანოლზე ახალგაზრდა ქალი გულაღმა იწვა. ეძინა.

თავზე დააგდა მთვარე.

დააჩერდა: გრძელი თმა ბალიშზე დაჰფენოდა, საბანი მკერდიდან დასცურებოდა და მოშიშვლებული გულ-მკერდი მოუჩანდა.

მთვარეს გამჭვირვალე თითები აუთროლდა, სხივებით გადაურბინა სიყვარულისთვის მომნიფებულ ფერმილეულ სხეულს და ღვთაებრიობის ნიმუხად დაამჩინა.

„შესანიშნავია!“ — გაიფიქრა მთვარემ, ბავშვი ღრუბლიდან აიყვანა, გვირგვინი გაუსწორა და ქალს ფრთხილად დაუწვინა მკერდზე.

„მიყვარს ყველა ჩემი გულის მესაიდუმლე!“ — დაამატა, ორივეს ლოყაზე აკოცა და ფანჯარაში გაცურდა.

მეორე დღეს მზე აღარ გამოჩენილა ცაზე.

ჯერ კიდევ გათენებამდე ალაჟღავებულ ბრწყვიალა დედოფალი ახლა ბნელ ტალანში მიყუჟულიყო და სასონარკვეთილი ძლივს და ბუჟავდა.

ციციანათლების ჯარი მოსდებოდა სასახლის ყოველ კუთხესა და კუნჭულს და შემადრწუნებლად გაისმოდა ერთადერთი სიტყვა:

— გვირგვინი!.. გვირგვინი!..

არსად იყო დედოფლობის უტყუარად დამადასტურებელი ნიშანი.

— არა, მე არ ვარ დედოფლობის ღირსი!.. არა ვარ, არა, არა!!! — მოთქვამდა დედოფალი.

— დედოფალო, მეფეთ მეფე დაუყოვნებლივ თავისთან გიხმობთ! — მთვარის დანაბარები მოახსენა გაპარნჭულმა მოახლემ.

— ასეთ ფორმაში?! — გაიოცა მზემ, — ყოვლად შეუძლებელია!

— დაუყოვნებლივ, დედოფალო! — მკაფიოდ გამიგორა ციციანათელამ და გაფრინდა.

— არა, ახლა არ შემოდია... ასე როგორ შეიძლება... — თავისთვის ჩაილაპარაკა და ქვითინი განაგრძო.

— სად ხარ, დედოფალო! — მთვარის ძახილი მეხივით გავარდა სასახლის პალატებში.

„თვითონ მოდის“ — გაიფიქრა მზემ და, თითქოს დაბლვა სურდა, ასივე ხელი თავზე შემოიხვიდა.

— აი, სად ყოფილა ჩემი ქალბატონი! — თავზე წაადგა მთვარე, — რატომ იმალები, შეგემთხვა რამე?

მზეს ხმა არ ამოუღია. თავჩაკიდებული იჯდა. ლაჟვარდოვან იატაკს დასწერებოდა.

— გვირგვინი ხომ არ დაკარგე, ჩემო დედოფალო?

— ბოროტმა ადამიანებმა მომპარეს! — სასწრაფოდ უპასუხა მზემ.

— ეგ როგორ? — გაოცდა მთვარე. — შენს ნიაღში თუ დადგეს ფეხი, ჩემს კალთამდე ვერ ამოაღწევდნენ!

— ბავშვი რომ იბადებოდა, რატომ დამიმალე?

— მეც გვიან გავიგე ფეხშიძობა, მეუფეო, არ მოველოდი, თუ... — ბავშვმა ნაილო შენი გვირგვინი!

მზეს გაკვირვების ტალკვესი გაუკრთა თვალებში.

— ჩვენმა შვილმა ნაილო გვირგვინი, — გაიმეორა მთვარემ, — სათნო ქალს მივაბარე გასაზრდელად... ნაი, აილე...

სიხარულისგან აფუყდა დედოფალი. ბრწყვიალება მოემატა.

ღრუბლებს ამოფარებული მზე მალულად ეწვია ღარიბულ სახლს. ფანჯარაში შეცურდა და თავზე დაადგა მძინარე ბავშვს. მიუალერსა, ყელ-მუცელი დაუკოცნა, სახეზე აუბრწყვიალდა.

— მიყვარხარ, ჩემო პატარავ! მე ყოველ დღით შენთან ვიქნები, — ყურში ჩასჩურჩულა.

მერე ფრთხილად მოხდა გვირგვინი და ოთახიდან შეუმჩვენვლად გაიპარა.

იმ დღეს მთელი თავისი ბრწყვიალებით ამოანათა სრულიად ცარგვალისა და დედამისის მანათობელმა მისმა აღმატებული ნათელთ ნათელმა მზემ, მაცოცხლებული სხივები დააფრქვია ქვეყნიერებას, გულში ჩაიკრა და ჩასახა:

— მიყვარხარ, დედამისავ! ბავშვი პატარა იყო და ვერაფერს მიხვდა, რა მოხდა მის თავს, მაგრამ იგრძნო კი, რომ მის სხეულში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა.

ასე დაიბადე მენ...

მწერალი

ლევან ბერიძე

როცა შენი მწერლობა დგას გერმანულ რომანზე, როცა რილკეს, ჰიოდერლინის, ნოვალისის სახით უმკაცრესი მასწავლებლები გყავს, როცა მწერლობის დასაწყისშივე ალაფროთოვანებ ნობელიანტ ავტორს და ცნობილ ლიტერატურულ ჯილდოს დაიმსახურებ, შემდეგ ბევრს იმეოვ ბაზურებს შენი რომანის გმირივით და ამ გზას სიკვდილ-სიცოცხლის გზად გადააქცევ — ნამდვილად ბევრი გაქვს სათქმელი.

ლევან ბერიძე გვიყვება გერმანულ-ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაზე. ლევან ბერიძე — „მუზას“ ლაურეატი ნლის საუკეთესო რომანისთვის „როგორც შენი იტყვი“.

— როგორ გადანწყვიტო, გამხდარიყავით მწერალი? ალბათ ყოველ ადამიანს ახსოვს რაღაც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ეტაპების დასაწყისები მის ცხოვრებაში; თქვენთვისაც მინდოდა, მეფიქრებოდა, გავგებოდა თუ — როგორ იწყებდით წერას.

— რილკეზე ვწერდი დისერტაციას, ჩემი ხელმძღვანელები იყვნენ ნოდარ კაკაბაძე და ბუბა ყარალაშვილი. მანამდე დიპლომშიც იმავით ვიყავი დავიცავდი და დისერტაციაზე მუშაობა გერმანიაში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გავაგრძელე. ისეთი დრო იყო, რილკეზე საჭირო მასალას საქართველოში ვერ მოიძიებდი. მაგნიტური, ანგია ბოჭორიშვილის ოჯახის ვთხოვე ჰაიდელბერგის ესე გერმანულად — მაშინ ალბათ ერთადერთი ეგზემპლარი თბილისში. ბერლინში კი სრულიად სხვა სურათი დამხვდა — უნივერსიტეტის ერთი დიდი დარბაზი მხოლოდ რილკესთან დაკავშირებულ ლიტერატურას ეთმობოდა, მთელი ბიბლიოთეკა იყო მისი. თავიდან ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე, არამარტო ამან, წარმოიდგინეთ, სულ ახალგაზრდა ჩადიხარ გერმანიაში — ბერლინის კედელი ახალი დანგრეულია — და სულ სხვა სივრცეში, სხვა რეალობაში აღმოჩნდები. ერთ წელს რომ იმეოვდი, ამას ცხოვრების სხვა სტილი, სხვა რეჟიმი სჭირდებოდა, დისერტაციას საბოლოოდ დავუსვი წერტილი და დავიწყე მხატვრული წერა, გერმანულად. მთელ ბერლინში და იმ უბანშიც, კრიოცბერგში, სადაც ვცხოვრობდი, იყო ლიტერატურული წრეები, ავტორთა გაერთიანებები, მეც აქტიურად ჩავუბიძგე პროცესებში. ვწერდი, ვწერდი... და რამდენიმე მოთხრობა თვითონვე ვთარგმნე ქართულად, თბილისში გადავიტყვევებ და როსტომ ჩხეიძემ გამოაქვეყნა კიდევ პერიოდულ ჟურნალ „ომეგაში“, შემდეგ გაზეთ „24 საათშიც“ დაბეჭდა. მოკლე, დაიძრა ეს ამბები. მოთხრობები, გერმანულად, ნოდარ კაკაბაძესაც გაუგზავნე, ნოდარმა კი ავსტრიელ რომანისტს, დედეს უკვე ნობელიანტ პეტერ ჰანდკესს წააქიზა. მაშინ ჰანდკემ ლმერთი იყო ჩემთვის, როცა გავიგე, როგორ მოეწონა და შეაფასა ჩემი მოთხრობები — მან ნოდარ კაკაბაძესაც მისწერა ამის შესახებ და მეც გამოვიგზავნე წერილი — ძალიან გავიხარე, უდიდესი სტიმული მომეცა. დასაწყისი კი დაავიწყდებოდა, როგორც რომელიმე პრემიამ, რომელიმე მალევე გადმომცეს, დაჯილდოებაზე პეტერ ჰანდკესთან ერთად ოთხი დაუფინანსარი დღე გავატარე, ვინც კი რამე ღირებულს წერდა მაშინდელ გერმანიაში, ყველამ იქ მოიყარა თავი, ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. ასე დაიწყო და დაიწყო.

— ერთი შეხედვით, თითქოს ძალიან სწრაფად განვითარდა მოვლენები თქვენს გარემოში, წარმატება, აღიარებაც მალე მოვიდა, მაგრამ საინტერესოა, თვითონ სამუშაო პროცესი როგორ მიდიოდა, რამდენად რთული ან იოლი იყო წერა დასაწყისში?

— როცა ისეთ სახელებთან გაქვს შეხება, როგორც რილკე, ნოვალისი, თრაქტი, თომას მანი, ჰერმან ჰესე ან ჰიოდერლინია, რა თქმა უნდა, ძნელია დაიწყო წე-


— და მას მერე აღარ ვითარგმნიათ სხვა ტექსტები?

— არა. — სხვების ნაწარმოებებს თუ თარგმნით? — არა. ადრე ვთარგმნე ნოვალისის „ყვალი მტვერი“, რომელიც ახლა აღარ მომწონს, შემდეგ — რილკეს წერილი შტაინერთან და ჰაინრიხ ფონ კლაისტის „მარიონეტების თეატრის შესახებ“, ესენი დიდი მოცულობის არა, მაგრამ სერიოზული ტექსტებია. დღემდე მინც იმ აზრზე ვრჩები, რომ თარგმანი უმადური შრომაა და, რაც მთავარია, უხეშად რომ ვთქვა, როცა შენს აკეთებ, სხვისთვის არ გცალია. ან ერთი უნდა აირჩიო, ან — მეორე.

— ბოლო რომანი კი, „როგორც შენი იტყვი“, თქვენი პირველი ქართულად დაწერილი ნაწარმოებია და მას, მგონი, უკვე წყავს გერმანულ ენაზე მთარგმნელი.

— დიახ, ლია ვიტეკი თარგმნის გერმანულად. მე ძალიან მინდოდა, ეს ნაწარმოე-

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“



რა. ეს არის სამყარო, რომელსაც თუ შეპყვევი, ისე შეგიტრეფს, დაგიჭერს, ველარ დაეხსნება. ვამპირებით არიან ეს ავტორები. მათ რომ უთხრა „არა“, მაშინ რაღაცამ ძლიერად უნდა იფეთქოს შენი. სწორედ ეს მოხდა. იფეთქა იქ, გერმანიაში. სრულიად მარტივი რაღაცები მოქმედებდა, მაგალითად, საგნები, რომლებიც საქართველოში არ მენახა და გერმანიაში გადავანყადი. ანდა ისეთები, აქ რომ ნახაში მქონდა, მაგრამ იქ აღმოვაჩინე. თუნდაც ისეთი ჩვეულებრივი რამე, როგორც თევზი. მისი ერთი სახეობა, საქართველოში რომ ძვირი და იშვიათია, გერმანიაში კი ყოველდღიურად მიერთმევენ, არ სჭირდება ქორნილში წასვლა ან ქელეხში ჯდომა, სულ შენს თვალშია. საქართველოში არ გიფიქრია, როგორ გამოიყურება ის თევზი, რა ფორმისაა, როგორი დანიწნულია და ასე შემდეგ. შენ მხოლოდ ის იცოდი, რომ ეს თევზი გემრიელია. ახლა კი უკვე აკვირდები, დეტალებს არჩევ. დაახლოებით ისე ხარ, როგორც იმ იაპონელი მხატვრის შეგიტირდი, მასწავლებლის დავალებას, დახატოს თევზი, ერთ საათში რომ შეასრულებს. დააკვირდით, მასწავლებლები ეტყვიან და ისიც მეორე ცდაზე უკვე მთელი კვირა მოანდომებს ხატვას, თუმცა მის ბოლომდე შესწავლას, მისი ფაქტურის დაუფლებას, მთელი წელიწადი დასჭირდება. ანალოგიური იყო ჩემ შემთხვევაშიც — საგნების აღქმა დავიწყე. ეს საყვედურსაც მიჩენდა საკუთარი თავის მიმართ, მეტად ყურადღებით რომ არ ვიყავი და გაზარდაცხებულს საგნების მიმართ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება მქონდა. ასე იყო, ასე იწყებოდა ჩემი მწერლობა.

— შემდეგ დაწერეთ რომანი „ფორა“, გერმანულად, და თქვენვე თარგმნით ქართულად.

— ეს სიგიჟე იყო, თარგმანზე მუშაობამ ლამის ჭკუიდან გადამიყვანა. მაშინ ვთქვი, ჩემსას აღარასდროს ვთარგმნი-მეთქი.

— სწორედ ეს მინდოდა, მეკითხა. საკუთარი ნაწარმის თარგმნა წარმოუდგენლად რთული პროცესი მგონია. ვფიქრობ, ახლიდან დაწერის ტოლფასია, ასეა?

— ზუსტად ეგეთა. ჩემზე უკეთ ვინც იცის, იქ რა ხდება. ქართული ტექსტი სხვა რაღაცებს მოითხოვს, გერმანული დედანი კი სულ სხვა რამაა, სხვა ჩარჩოშია მოქცეული. მოკლედ, ძალიან გავწვავდი.

ბი, მისი შინაარსიდან, სიუჟეტიდან გამომდინარე, სწორედ გერმანულად და ებრაულად გადათარგმნილიყო.

— თქვენ თვითონ გერმანულენოვან ავტორად აღიქვამთ თავს თუ ქართველ ავტორად?

— შეიძლება ითქვას, გერმანულენოვანი ავტორი ვარ, თუმცა ახლა შეიცვალა სურათი. როგორ არის იცით? ენასთან დამოკიდებულება სულ სხვანაირად ჩამოყალიბდა ჩემში. წერა დავიწყე გერმანულად, ეს არ ყოფილა ხელოვნური გადანწყვეტილება — „მოდით, გერმანულად დავწერ“ — არა, ძალიან ბუნებრივი ნაბიჯი იყო. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ცხოვრობ გერმანიაში, რამდენად იქაური ხარ, რა სისხშირეზე ურთიერთობ სოციალურად, რამდენად გრძობ მასთან ერთობას, გვულისხმობ ნამდვილ ცხოვრებას — გოგოც რომ გყავს, იჩხუბებ, მოწვე კიდევ, სხვა მწერლებს ხვდები. თავით გადავქვი, სიზმრებსაც კი გერმანულად ვხედავდი და სრულიად ბუნებრივი იყო, გერმანულად დამეწყო წერა. ენა ხომ ინსტრუმენტი, თანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანისტიკას ვსწავლობდი, ჩემი ლექტორების წყალობით, ფესვები აქ მქონდა, მაგრამ ის ფესვებზე დარჩებოდა, იქ რომ არ მეცხოვრა სავესე ცხოვრებით. ასე რომ, გერმანული ენა იყო ჩემი ინსტრუმენტი წერის დროს.

— ახლა სურათი შეიცვალა, რომ თქვით, ქართულად დაწერილ რომანს გულისხმობდით?

— დიახ, ჩემს პირველ ქართულად დაწერილ ნიგნს, რომელმაც მიიღო ჯილდო, როგორც ნლის საუკეთესო რომანმა. გუშინ დამიკავშირდნენ კიდევ ისრაელიდან, მკითხველმა დარეკა შობაქცელების გასაზიარებლად. ეს ხარი კიდევ ერთი დასტური იყო, რომ ტექსტი გამოვიდა. ახლა ისევე გერმანულად ვწერ რომანს. იმის თქმა მინდა, რომ რომელ ენაზეც მოვა სათქმელი, იმ ენაზე დავწერ. თემას გააჩნია. შეიძლება, მიქსიც გავაკეთო, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— თქვენი ყოველდღიურობაც ასეთია — გერმანულენოვანი და ქართულიც?

— აბსოლუტურად ასეა. როცა რაღაც საგანსა ან მოვლენაზე ვფიქრობ, ხან გერმანულად მოდის ფიქრი, ხანაც — ქართულ-

ლად, ამას მოაქვს თავისი შინაარსობრივად მდიდარი ინფორმაცია.

— ვფიქრობდი, რომ როცა მწერლობაზე იქნებოდა ლაპარაკი, მამის ფაქტორი აუცილებლად გაიჭლეებოდა ჩვენს საუბარში. ფილიპე ბერიძე საინტერესო ადამიანი იყო, ლიტერატორი, მთარგმნელი. ისეთ გარემოში იზრდებოდით, არც არის გასაკვირი თქვენი არჩევანი. მაინც, როგორ აისახა მამა თქვენს მწერლობაში?

— როგორ აისახა და — ბოლო რომანში სწორედ ამაზე ვწერ. მამას მოაქვს სახლში სიტყვები. ეს სიტყვები ჩამოსხმული, სტამბიდან ნამოღებულ სიტყვებია ბავშვისთვის. ის გარემო, ბავშვობის დროინდელი, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, ჩემ თვალწინ სწავლობდა მამაჩემი ინგლისურს, ჩემ თვალწინ თარგმნიდა ედგარ პოს და უკითხავდა დედას. სანერ მაგიდასთან ისხდნენ, ასე, პირისპირ, ხმამაღლა უკითხავდა, მსჯელობდნენ. დედა მთარგმნელია, ის მიკითხავდა ზღაპრებს, სხვა ლიტერატურას. ნოდარ დუმბაძესაც მიკითხავდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ სასაცილო რაღაცები ეწერა, არამედ სიკეთეზე ამასხვებს ანუ ყველაფერი ჩვენს სახლში... და სიტყვის კაცები ხშირად დადიოდნენ მამასთან — შოთა ჩანტლაძე, ვახტანგ ჯავახიძე, ჩემი ნათლია მუხრანი, სხვები... ეს, რა თქმა უნდა, მოქმედებდა, პატარა ვიყავი, მამა 7 წლისას გარდამეცვალა, მაგრამ მახსოვს ყველაფერი. სხვათა შორის, „ფორა“ სწორედ მათ, ჩემთვის საფიცარ თაობას, ეძღვნება. ვფიქრობ, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, ურთულესი დროების მიუხედავად, სწორედ მათ შეინახეს ღირებულებები. აქედან გამომდინარე, მშობლები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩემს მწერლობაში.


— საინტერესოა, როგორ წერდით თავიდან და როგორ წერთ ახლა. რამდენად შეიცვალა თქვენი ნაწარმოები, რამდენად განვითარდა, რა სახე მიიღო, რა მოაკლდა ან რა დაემატა?

— ერთი ძალიან კარგი მწერალია, ილია აიხინგერი; ის ამბობს, მწერლობა სიკვდილის სწავლაა. ტრაგიკულად უღერს თითქოს, მაგრამ რომ დაფიქრდები, სწორედ ასეა. მწერლობა ყოველი წამის მიმართ, ყოველი ურთიერთობის მიმართ პასუხისმგებლობაა. ის ყველაფრის ფასს განსავლის, როცა დრო მოვა და გახვალ, ასე, ჰაიპარად რომ არ გახვდები. სხვა მხრივ, მწერლობა ხელობა, ერთგვარი ხელსაქმეა, რომელშიც მუდმივად იხვეწები, ინართობი, თუმცა მისი არსი უცვლელი რჩება — სიკვდილის შეცნობა, რაც, ფაქტობრივად, სიცოცხლის შეცნობაა, ოღონდ აღმატებულ ხარისხში. ადამიანი ხომ თავის თავზე მეტია, სხვანაირად შეუძლებელია. ბოლო რომანში მთავარ გმირს ჰქვია მეტე, საფუძვლისად სიტყვა ერქვა ასე და ეს სახელი ბავშვობიდან მიყვარს. მთავარი კი, რაც რომანში ხდება, ის არის, რომ მეტე სახლიდან გამოდის — საქართველოში ცხოვრობს, თუმცა საქართველო თითქმის არ იხსენიება — და სრულიად გაუთვალისწინებლად ისრაელისკენ დაადგება გზას. ერთი დღის ამბავია მოთხრობილი. ებრაელი იტყვის — ისრაელში ასვლა, წასვლას არ ამბობს, და რომანიც ესე მთავრდება, მეტე იწყებს ასვლას, ერთდროულად, ისრაელშიც მიდის და სულიერად მაღლდება კიდევ, საკუთარ თავზე მეტი, მეტაადამიანი, მეტაინარსის მატარებელი ხდება, მწერლობის არსიც სწორედ ეგ არის.

როგორც ავტორი, მეც აქეთ მივიდვარ, ამას ვემსახურები და ყოველთვის ასე იქნება, სხვანაირად არ წარმომიდგენია. რაც შეეხება სკოლას, ჩემი შემოქმედების საფუძველს — ეს არის გერმანული რომანი, რომლის სიღრმეებაც ძალიან ბევრი ერის რომანი ვერ მისწვდება.

— ინტენსიურად მუშაობთ?

— როგორც იცით, რეჟიმის, დისციპლინის გარეშე ვერაფერი შეიქმნება, „მოძახისათა და რაღაც დავწერ“ — თავის მოტყუებაა ჩემი აზრით, მუშაობის კულტურა ძალიან გვეხმარება საქმეში. შეიძლება, ყოველდღიურად ათი გვერდი არ გავსო, მაგრამ ნახევარიც რომ იყოს, უნდა დაწერო, რადგან განწყობაზე დამოკიდებულება ვერ ჭრის ვერც პროზაში, ვერც ლექსში. და კიდევ — განათლება მთავარი. ყველა ყვაველის სახელი უნდა იცო-



დრო, რილკე წერს. ის დაახლოებით ასე ხსენის მწერლობის ამბავს ახალგაზრდა პოეტისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში — სამი საფეხურიანი მთავარი: ყველაფერი, რაც განვიცდით, რაც შეიძლება ზუსტად უნდა გაიხსენო, შემდეგ რაც გაიხსენე, უნდა დაივიწყო, ყველაზე ძნელი კი მესამე საფეხურია — უნდა დაელოდო, როდის მოვა გახსენებულ-დავიწყებული, და თუ მოვიდა, ესე იგი, ის შენია, შენ უნდა თქვა. რილკესული სამი საფეხური მედიტაციის ერთგვარი ფორმაა. როცა შრომის კულტურაზე ვლაპარაკობთ, ჩემთვის მაგალითია თომას მანი — დილით მას ვერავენ მიეკარებოდა, წერდა, შემდეგ კითხულობდა, სტუმრის მიღებასაც თავისი დრო ჰქონდა. ასე იცხოვრა ბოლომდე. ცხადია, რეგულარულ მუშაობასა და თვითდისციპლინაში ვგულისხმობ არა გრაფომანიას, არამედ განვითარებას, რომ შეძლო და დაელო, რაც დასადავია.

— **თქვენ ხშირად მართავთ სალამოებს გერმანიის ქალაქებში, შეხვედრები გქონიათ აქაც, ქართველ მკითხველთან. განსხვავდება ორი ქვეყნის მკითხველი და სალამოები ერთმანეთისგან?**



— ადრე უფრო ხშირად ვხვდებოდი ჩემს მკითხველს როგორც გერმანიაში, ასე ლატვიაში, სადაც ერთხანს ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი. ძალიან მიყვარს ეს დასავლური კულტურა, მკითხველთან შეხვედრა. სხვათა შორის, ამ ქვეყნების აუდიტორია განსხვავებულია. ჩვენთან, ხშირ შემთხვევაში, ადამიანი იმით მოდის, რომ მოვიდეს, იქ კი მართლა აინტერესებთ. ვერ ერთი, გერმანელი თავის ძვირფას დროს არ გაფლანგავს და თუ არ უნდა, ვერსად მიიყვანს. არის თანამედროვე სოციალური კვლევები, რომლის საფუძველზე განათლების საერთო სურათი გერმანიაში არცთუ სახარბიელოა, მაგრამ ის ხალხი, ვისაც მართლა აინტერესებს ლიტერატურა, ტყუილად არ დადის შეხვედრებზე.

საქართველოს მწერალთა სახლმა გამართა „მუზას“ ლაურეატების სალამოები. პირველი შეხვედრა ჩემთან მოეწყო და ძალიან კმაყოფილი დავიქნა, რომანი არაჩვეულებრივად წარადგინა მანანა კვაჭანტირაძემ, კარგი აუდიტორია ესწრებოდა, ჩემთვის საინტერესო კითხვები დაისვა, საუბარმა უჩვეულოდ დიდხანს გასტანა, გვიან დავიშალეთ.

— **ბოლოს სწორედ „მუზაზე“ მიინდა, გკითხობთ. სულ ახალგაზრდა იყავით, როცა გერმანიაში პირველი ლიტერატურული პრემია მოგანიჭეს და ეს თქვენში შინაგანი თუ შემოქმედებითი პროცესების დიდ დასაწყისად იქცა. და ახლა? რა მოგიტანა „მუზამ“? როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?**

— „მუზამ“ მომიტანა დიდი სიხარული. ის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდოა. სხვა ქვეყანაში პრიზის მიღება ხომ დიდი ემოციაა, მაგრამ საკუთარ სახლში, სამშობლოში რომ გაჯილდოებენ, ამას სულ სხვა სიხარული მოაქვს. მე მიინდა, „მუზამ“ ძლიერად მოიკიდოს ჩვენში ფეხი და ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდეს.

ესაუბრა თამარ ჟურული



მარინე ტურავა

სიკეთისა და სიყვარულის გაკვეთილები

ჯემალ ინჯიას პოეტური კრებული საინტერესოა ფორმითაც, ჩანაფიქრითაც, სათაურითაც: „ხელწერა ხომ არ წაშინდა-აო?!“ ეკითხება პოეტი მკითხველს პირდაპირ, უშუალოდ, ინტიმურად. ეს კითხვა მასა და მკითხველს შორის მანძილს არათუ ამცირებს, არამედ შლის კიდეც. ლექსები ხელნაწერია პირდაპირი, ბუკვალური მნიშვნელობითაც, სათუთად, ფაქიზად გადაუნერია ავტორს. ესეც გამორჩეული, პოეტური ფესტია. აქამდე ასეთი პოეტური კრებული არც მახსენდება. კრებულისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსების თანმიმდევრობას, დალაგებას. ეჭვგარეშეა, ეს ლექსები ზუსტად ამ თანმიმდევრობით უნდა დალაგებულიყო.

ორი წლის განმავლობაში ამდენი ლექსის დაწერა ყველაზე ხელხვაიან ავტორებსაც უჭირთ, ჯემალ ინჯიასთვის კი, როგორც ჩანს, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ნიგონის ანოტაცია 2023 წლის 14 თებერვლითაა დათარიღებული, დაწმუნებული ვარ, მინიმუმ, ერთი საქალაქო გავსებული ექნება უკვე. კრებულს კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი აქვს: თითოეული ლექსი რაღაცით არის საყურადღებო, რაღაცას გვეუბნება ავტორზე. ზოგადად, ნებისმიერი ტექსტი ავტორის სრული ლუსტრაციაა, მისი გაცნობიერებული კი არა, სრულიად დაფარული ზრახვების გამოფენაა, მით უფრო პოეტური კრებული. ასეა ამ ნიგონის შემთხვევაშიც. რა ბედნიერებაა, როცა ადამიანი ასეთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ასეთ გულწრფელობასა და „სულის ბავშვობას“, ასეთ სისუფთავს ინარჩუნებს?!

ეს არის აბსოლუტურად არამინუსტრიული პოეზია, ჯემალ ინჯია არსად იზრანჭება, არსად პოზირებს, ყველაფერს ნაღდი და ნამდვილია, ასეთი ემოციების გადმოცემა გაპრანჭული ლექსით შეუძლებელია, ამიტომაც მხატვრული საშუალებებიც, გარეგნული სამკაულიც, გამოსახვის ფორმებიც მინიმალისტურია. ეს არის მთელი ცხოვრების გამოცდილებით შექმნილი მაღალი პოეზია, რომელიც მხოლოდ რჩეულებს ეძლევათ; კლასიკური ლექსის შესაძლებლობების ახლებური დემონსტრირებაც და ერთგვარი პასუხიც ყველა იმ სკეპტიკოსის, მათ შორის ჩემს, პოზიციაზე, რომ რითმინამა ლექსმა თავისი შესაძლებლობები ამოწრა. ცისფერყანწილების, გალაკტიონის, XX საუკუნის გამორჩეული პოეტების მერე, მართლა, ძალიან ძნელია არათუ ახალი რითმული ნწყვილების შექმნა, არამედ გაცვეთილისა და საყოველთაოდ მოხმარებული არიდება. ჯემალ ინჯიამ ერთი შექმნილი და მეორეც. მასთან ფორმა არასდროს ავიწროებს ან ზღუდავს სათქმელს, არასდროს არ ჩანს დიდი შრომის, ძალისხმევის კვალი, ესეც, რასაკვირველია, ოსტატის ხელწერაა.

სხვადასხვა განზომილებაში, სხვადასხვა რაკურსით ვლინდება ავტორისული „მე“ და ეს სრულიად ბუნებრივია, მაგრამ არსად „ეგო“. როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეს არის პოეტური აპლომბი-


საგან, ამბიციისგან სრულიად თავისუფალი ნიგონი (გოეთე იმითაც კი ტრიაბახობდა, რომ დიდხანს ცხოვრობდა).

„მიდის და უტოვებს თაობებს ერთ ნიგონს და ორი ხის შრიალს.“

ამაზე მოკრძალებული შეფასება ძნელი მოსაძებნია. კრებულის ყველა პატარა ლექსი, მინიმამ, გამორჩეულია. ერთი მათგანია:

„მკითხველო, უსმინე პოეტის ერთ ნათქვამს: ღმერთმა ქმნა პეტრარკა სონეტის ეთნარქად.“

აქ არის ერთი სიტყვით გამოწვეული ინსპირაცია, სიტყვების თამაშიცა და გამორჩეული რითმული ნწყვილიც: ღმერთმა ქმნა/ეთნარქად. ჯემალ ინჯიასათვის ორგანულია სიტყვების თამაშზე აგებული ლექსიცა და რითმაც.



„ლიტერატურულ კულისებს არ მოეწონათ ულსიე.“

აქ ირონიაც იგრძნობა და ყველანაირი კულისების ზედაპირულობა და არაპროფესიონალიზმიც, რითმული ნწყვილიც — კულისებს/ულსიე — არა მგონია, სხვაგან სადმე იძებნებოდეს. ჯემალ ინჯიას პოეტური სამყარო ძირითადად ესთეტიზირებულია, მასში ნაკლებად შემოდის ყოფითი თემები და ლექსიკა, თუმცა აქა-იქ მაინც გვხვდება ფრივოლური ფორმები. სიტყვისადმი განსაკუთრებული მიდგომა, მისი შეგრძნება მნიშვნელოვანია ამ პოეზიის აღსაქმელად. თვითშეფასების რკალში შემოდის მინიმალისტური „იუმორესკაც“:

„ვერ შემამჩნია კრიტიკოსმა კუპრეშივლიმა, პოეზიაში თუ რამხელა „კრუპნიში“ ვარ.“

დაბევნილი, ინტელიგენტური იუმორი ჯემალ ინჯიას პოეტურ ხმას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს. მინიმებიდან არ შეიძლება არ გამოვიყო „ანა და ნუგზარი (პალინდრომი):“

„ესე იგი, უშუ იცი?!“

აბა, როგორ არა, ანა?!”

გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯემალ ინჯია არის პოეტი, „ვინც არა ტვინით, არამედ სისხლით ალიქვამს ქართულ არსებას.“ სამშობლოზე დაწერილი ყველა ლექსი სისხლითაა დაწერილი, ოღონდ სიტყვა „სამშობლოს“ ხშირად ხსენების, ტრაფარეტულობის, ხმაურის გარეშე. ეს სამშობლოს ყველაზე ღრმა, სათუთი, უხმაურო, ჩუმი შეგრძნებაა:

„ის ლოდი განა პილიგრიმული, ასაბიისთვის მარტო ლოდი, იქ, ყურს თუ უგდებ, ისმის გმირული სხვა სიმფონიის სხვა მელოდია. რა დიდი იყო ციური წნეხი, გარდავისახე კრძალვით პირ-ჯვარი. ნამოსულს უკან უკან მრჩებოდა ფეხი, დავითის ფეხზე დანაბიჯარი.“

ომისა და ზღვის თემებზე დაწერილ ლექსებს ამ კრებულში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ცალკეა სასიყვარ-

ულო ლირიკა, ძალიან ცოცხალი და გამორჩეული, რომელსაც ასაკი, მოლოდინის სანინალმდეგოდ, კი არ აკლებს არაფერს, პირიქით, ახალ ტონალობას, ახალ შინაარსს სძენს:

„ქალო, მატურო ოდითგან, შენ სხვაზე დაქორწინდი, როგორ ამოდ ვთოვდი და როგორ ამოდ ვნვიმდი.“

ერთ გამორჩეულად კარგ ლექსში კი ორივე თემა — სამშობლო და სატრფო — გაერთიანებულია, ძნელი დასადგენია ერთ რომელიმეს მიემართება ის, თუ ორივეს ერთად:

„გადაფოთილან ტუხტები, ვარდებმაც გაიშინეს. ასპიროზივით უხდები საქართველოს ცას აის ზე. სასწაულია ბუნების შენი თვალების ორი ჭა, რომლებშიც ჩვენი გულების მესაიდუმლო გორი ჩანს.“



არაერთი მიძღვნილი ლექსი, ასევე სიყვარულით, გულწრფელობით არის გამორჩეული (ელგუჯა მარლიას, თემურ ჩალაბაშვილს, ზეინაბ მეტრეველს, პაატა ნაცვლიშვილს)... განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის, პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი სტრიქონები. ზოგადად ჯემალ ინჯიას ლექსები არის სიყვარულისა და სიკეთის გაკვეთილები. „ამ განჩხლებულ საწუთროში, სავერანოში“ გულს გვითბობს და ათასგვარი გამოგონილი და ახალ-ახალი დღესასწაულით მობეზრებულებს, ჩვენი მერცხლების ჩამოფრენის დღეს გვილოცავს.

არამინუსტრიულია ეს პოეზია ფორმის თვალსაზრისითაც. პოეტი ძირითადად 8-10 მარცვლიან საზომსა და ჯვარედინ რითმებს იყენებს.

ათმარცვლადი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზომია ქართულ კონვენციურ პოეზიაში, ის, ჩვეულებრივ, ორი ძირითადი კონფიგურაციით გვხვდება: 5/5 — ალორძინებიდან დღემდე და 4/4/2 — ასევე ალორძინების ეპოქაში გაჩენილი, გასულ საუკუნეში რეანიმირებული, ორივე ხელენიფება ჯემალ ინჯიას კალამს. 8 მარცვლიანი ლექსი კი, მაღალი შაირის ინჯიასეული ვარიაციებით, ცალკე არის შესასწავლი. ამგვარი საზომებისა და რითმის წყალობით ის ერთ-ერთი ყველაზე მელოსური პოეტიკაა დღეს. ძველი ბერძენი ავტორების პოეზიის მსგავსად, შეიძლება მისი ლექსების დამღებება ქნარზე. ინჯიასეული პოეტური ინტონაციებიც ცალკეა საკვლევი.

აქვე უნდა აღინიშნოს ჯემალ ინჯიას 14 მარცვლიანი ლექსის, ერთ-ერთ ყველაზე მყარი და კანონიკური საზომის გამოყენება, სონეტის ფორმა პოეტისათვის სრულიად ბუნებრივია. ამ მხრივ გამორჩეულია მისი კრებული „ირმის ნახტომი“, სადაც ის ვირტუოზულად იყენებს სონეტების გვირგვინის ტექნიკას.

სრულიად ცალსახაა, რომ ჯემალ ინჯიას არათუ ნაუხად კალამი, არამედ ამ კრებულით, მთელი თავისი პოეზიით, განსაკუთრებული ადგილი მონიშნა ქართულ პოეზიაში. მისი პოეტური ინტონაციები და ინტენციები, არასუროგატული განცდები, აზრისა და გრძნობის სინათლე და სიღრმე ყოველთვის მოხიბლავს არა მხოლოდ ტრადიციულ პოეტურ ღირებულებებზე აღზრდილ მკითხველს.

როდესაც ერთაოზი რაღაცამ შეაცბუნა, თითქოს შეხტაო და ძილიდან გამოაფხიზლა, უკუნეთი გვიანი ღამე იდგა და საათი სამს უახლოვდებოდა. თვალები რომ გაახილა შავ სიბნელებაში, სადაც ოდნავ იხედებოდა მთვარის სინათლე, რაღაც უფრო შავს მოკრა თვალი. გულში მაშინვე წვრილი ნემსები ჩაესო, იქნებ მოეჩვენა? მშიშარა კაცისთვის ღამით უწყინარი სკამიც კი საზარელ ურჩხულად იქცევა ხოლმე. როცა სიმავე მისკენ მოტრიალდა, თითქმის გაუქრა ეჭვი, რომ წარმოსახვა ეთამაშებოდა, დაყვირება უნდოდა, მაგრამ ხმა ჩაუწყნდა. შიშისაგან გონებადაბინდულს ეძახდნენ იმედეები — იქნებ დედაშენია? ან იქნებ... სიმავე მოუახლოვდა:

— გამარჯობა, ერთაოზი!
კაცის ხმას გავს, დინჯი, სერიოზული, სასიამოვნო ხმაც კია. ოდნავ დამშვიდდა, ადამიანია, მაგრამ რა უნდა?

— მგონი, გული გამისკდა! — სანყლად აღმოხდა, — ვინ ბრძანდებით?

სიმავე ფანჯრისკენ გაინია, რომ მთვარის შუქზე უკეთ გამოჩენილიყო, აი, აქ კი ერთაოზს ნამდვილი ბნედა დაცვა. მის ფანჯარასთან იდგა მაღალი, ახოვანი ადამიანი, რომელიც მთლად ადამიანსაც არ ჰგავდა, შავი ძონძები ემოსა, თითქოს უზარმაზარ შავ ტომარაში გახვეულიყო და ხელში დიდი ცელი ეჭირა, საშინლად ვერცხლისფერი. ღმერთო, ამ სიზმრისგან გამომავლიძიო, ინატრა და ისიც დააყოლა, ცხოვრებაში მეტს არაფერს ვითხოვო.

— ვვვი...ნ... — კითხვის გამეორება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო.

სიბნელე მიუხვდა:
— კიდევ გამარჯობა. მე სიკვდილი ვარ და შენს წასაყვანად მოვედი.

ნამდვილად ან სიზმარია ან ვიღაც ბოროტად მესუმრებო, გაიფიქრა ერთაოზმა. მართლაც, ყველამ იცოდა, რომ თავისი სანყალი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სიკვდილის შიშში გაატარა. ალბათ არ დადიოდა ქვეყნად ადამიანი, ვისაც ასე გული ეპარებოდა სიკვდილზე, ვინც ყოველი რამის ნამოტიკივებაზე ქვითინებდა, უსათუოდ ვკვდებო, ყოველ ნაბიჯზე კი სასიკვდილო საფრთხეს ხედავდა. ამის გამო ისედაც დასცინოდნენ. თავადაც ხედავდა, საით მიექანებოდა მისი ცხოვრება. ალბათ ოცი წლის შემდეგ ქაიხოსრო მაკაბელად იქცეოდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და შეივლებსაც არ მიუშვებდა ახლოს. თუმცა ჰქონდა კი ოცი წელი კიდევ წინ? ამ კაცს, თუ რაც არის, მოულოდნელად რომ გამოცხადებულა, თუ დაუფიქრებთ — არა.

— ეს რა ბოროტი ხუმრობაა? — ძლივს აღმოთქვა.

სიკვდილმა თვალი გაუსწორა.
— ხუმარა კაცს გვავარ?

შეუძლებელი იყო, ამ თვალისთვის შეგეხედა და კიდევ გაფიქრა, რომ გეხუმრებინა. ერთაოზი თანდათან ხვდებოდა, რომ მორჩა, მსუბუქად რომ ვთქვათ, „დაერჩა“ და წარმოუდგენელი უბედურება ატყდებოდა თავს.

— ჰა, აბა, იქნებ დამლო პატივი და ადგი, სანოლიანად ვერ წაგიყვან.

— ვაიმე! — სიბნელის ყვირილი აღმოხდა, — ანუ კვდები?

— როგორც ჩანს, — მიუგო სიკვდილმა.

— ოღონდ ეს არა, ოღონდ სიკვდილი არა!

ისევ იმ ყოვლისმომცველმა შიშმა შეიპყრო, ღამით რომ მოსვენებას არ აძლევდა ხოლმე — როგორ შეიძლება, ეს მოხდეს, როგორ შეიძლება, ჩემი სიცოცხლე დამთავრდეს, როგორ უნდა გავეყარო სხეულს, ალბათ როგორი მტკივნეული იქნება, ან როგორი შემზარავი, ან მეორე რა იქნება, ვაიმე! ვაიმე! ისევ დააცხრნენ მტანჯველი ფიქრის ყორნები. შეუძლებელია! სიკვდილი არ შემიძლია! ან რა მოასწრო? მხოლოდ 32 წლისაა, თავისით არაფერი შეუქმნია, არაფრისთვის მიუღწევია. ცოლი არ ჰყავს, შვილი არ ჰყავს. წლებია, ერთ სამსახურს ტკეპნის და ამდენი წელი იმასაც ვერ მოაბა თავი, რომ ერთობ ნანატრი მანქანა შეიძინოს. უცებ გაიფიქრა, ან კი რა მნიშვნელობა აქვს? სულაც რომ 92 წლის იყოს და ყველაფერი მოსწრებული ჰქონდეს, ეშინია სიკვდილის და მორჩა! არასდროს უნდა, რომ მოკვდეს, გასაგებია?

— ეი, შენ, მეგობარო, ფრთხილად იყავი სურვილებთან.

— შენ რა, ჩემს აზრებს კითხულობ?

— ძალიან ხმაძალდა ფიქრობ და ზოგი

რამ მესმის, რა ექნა. ადექი ახლა, უსაზღვრო დრო არ მაქვს. ნუ გამაბრაზებ, ერთაოზი. გესმის ჩემი? საერთოდ მისმენ?

ესმოდა კი? მთელი გონება დაბინდული ჰქონდა, ყურები დაგუბებული, გულის ნაცვლად ახლა შიში უფეთქავდა, ვაიმე! ისევე ვაიმე! იღუპება! და უსაზღვრო ცრემლების ნიაღვარი ამოასკდა, ფეხზე წამოხტა და განწირულ მოთქმას შეუდგა:

— გეხვენები, არ წამიყვანო! გემუდარები! მეშინია! გთხოვ, აქ დამტოვე, ამისთვის ნუ გამიმეტებ! ვერ გადავიტან, მართლა ვერ გადავიტან, გული გამისკდება! გვედარები! — ფეხებში ჩაუვარდა სიკვდილს, გოდებას და მოთქმას მოჰყვა, ტირილი, ღრიალებდა, სახეს იხოკავდა, თავს აცოდებდა, ყვიროდა, სრული ისტერიკა გამართა, ხან დგებოდა და ოთახში გიჟივით დარბოდა, ხან ისევ ფეხებში უვარდებოდა,

მომგზავნეს, სხვანაირად არ გამოვა!

— არ წამოგყვები! — დაიყვირა ერთაოზმა, მაგრამ კნავილს უფრო ჰგავდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა ამდენი სიბილბილბილისგან, — რა, ძალით წამიყვან?

— გგონია, არ შემიძლია? — სიკვდილს გაელიძმა.

რა მშვენიერი ღამეა. სანყალ ერთაოზს საძინებელში ცელიანი კაცი თუ რაღაც მიადგა შუალამისას, ეუბნება, სიკვდილი ვარო და ახლა თუ გადავხედავთ მოცემულობას, ერთაოზს სიკვდილი უდიდის კიდევ. ღმერთო, შენ მიშველეო, გაიფიქრა.

— თუ შეგიძლია ძალით წამიყვანო, რას მოხვედნი და მეპატიუები?

— ჰოო, ეგ მეც მაინტერესებს, ასე ხშირად არ მინვეს, მაგრამ ასე დამაგალებს, მიდი და თავისი ფეხით გამოგყვებსო.

— დაგავალეს? დაგავალეს? ვინ?



ოთახიდან გაქცევაც სცადა, მაგრამ ამაოდ — კარი ვერ გააღო, კარი, რომელსაც საკეტი საერთოდ არ ჰქონდა, ამან კიდევ უფრო გაახელა.

სიკვდილი იდგა და გაფართოებული თვალბით უტყერდა — რა არ უნახავს, რანაირი ხვენწა, მუდარა, მაგრამ ასე უცებ ეს პატარა კაცი ამხელდა ამაღეს თუ ატეხდა, რას იფიქრებდა, ან რა აგიუბებდა? ყველაზე მეტად ისინი მოთქვამენ, ვისაც ამქვეყნად საყვარელი ადამიანები რჩებათ საპატრონო. ამას რა უნდოდა? ოჯახი უყვარდა, მაგრამ სამშუალოდ; იმათაც უყვარდათ, მაგრამ ზომიერად, მის გარეშე არც არავინ მოიკლავდა თავს და არც არავინ დაიქცეოდა. არც ცხოვრება ჰქონდა ისეთი, კაცს რომ განშორება გასძნელებოდა, თუმცა სიკვდილმა ისიც მშვენიერად იცოდა, რომ თვით ყველაზე უბედური კაციც კი ძნელად თმობს თავის სიცოცხლეს. ერთაოზი კიდევ საშუალო კაცი იყო, როგორც რაღაც სალხინებელი ბედნიერსა და უბედურს შორის, სულაც არაფერი კაცი იყო, არც დიდად ბედნიერი ყოფილა ოდესმე და არც დიდად უბედური, არც ბევრი უგრძნია რამე და არც ბევრი უფიქრია. აი, შიში, იცოცხლე, შიშის ისეთ დღეში ჰყავდა ჩაგდებული, დროდადრო წამლებსაც კი სვამდა — დამამშვიდებლებს, ანტი-დეპრესანტებს და კიდევ ბევრ რამეს, გააჩნია, რა ხასიათზე იყო მისი ექიმი. და განა შიში ერთგვარად მთავარი უბედურება არაა? მაგრამ შიშის დროს თავს ადამიანი უბედურად არ გრძნობს. შიშის დროს შიშს გრძნობს და მორჩა.

ამ კონცერტით გაოგნებულმა სიკვდილმა თავიდან იფიქრა, დაილლება და გაჩერდებო, მაგრამ ათ წუთის მერეც ოთახში იგივე სცენა რომ იდგა, ყელში ამოუვიდა და დაუღრიალა:
— ერთაოზ!

ერთაოზი გაშრა, გაჩერდა. რა შემზარავი ყვირილი სცოდნიაო, გაიფიქრა. ახლა კიდევ ამის უნდა შეშინებოდა!

— არა, დავიღუპე რა, ნამდვილად დავიღუპე. არ წამოგყვები!

— ისე, რო იცოდ, ასარჩევად არ გაქვს საქმე, წესი წესია. მე აქ შენ წასაყვანად გა-

— ეგ უკვე შენი საქმე აღარაა, ყმანვილი. შენი საქმე ისაა, რომ ადევ და გამოიყვე. ხომ გაიგივ, რაც ხდება. შენ არჩევანი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არ გაქვს. ჩათვალე, უკვე მოკვდი. არჩევანი გაქვს ან შენი ფეხით გამოიყვე, ან გამაბრაზო და ძალით წამიყვანო, რაც, დამიჯერე, არ მოგეწონება.

— მართლა გონია ვინმეს ქვეყნად, რომ ადამიანი სიკვდილს ნებით გაჰყვება?

— მასეთი იმდენი ყოფილა, რომც მინდოდეს, ვერ დავთვლი.

ერთაოზს გაუკვირდა.

— რაღაც აბსურდია. ის მაინც მითხარი, რა მომელის სიკვდილის მერე?

— მაგას ვერ გეტყვი, წამოდი და თავად ნახავ, ან ვერ ნახავ და ეგეც ნახვა იქნება.

— გთხოვ, ის მაინც მითხარი, რომ რამე არსებობს, ხომ ისევ ვიარსებებ?

— ვერ გეტყვი-მეთქი, არ შეიძლება. თუ იმიტომ მეკითხები, რომ ელოდები, პასუხი გაგიმარტივებს საქმეს — ცდები. იქ რომ სულ ვარდები დაგეფინონ, მაინც არ გაგიმარტივდება და თან, ადამიანმა რომ იცოდეს, სიკვდილის მერე რა არის — ეგ უკვე სიკვდილი აღარ იქნებოდა. ისე, მე არც იმის მომხრე ვარ, ადამიანმა ის იცოდეს, რომ კვდება, მძიმე ჯვარია. როგორც ჩანს, ვიღაც ძალიან გაგიბრაზებია, ან შეგინუხებია, ასე რომ მომგზავნეს შენთან. თუმცა სულერთია, ზოგმა თვეების განმავლობაში იცის, რომ კვდება და უფრო ღირსეულად იღებს ამას, ვიდრე შენ! არ გრცხვენია?

— მრცხვენია! ამიტომაც რამდენიმე თვის მერე მოდი და უფრო ღირსეულად მიგიღებ!

სიკვდილს ისევ გაელიძმა.
— შენ ვერც თვე გიშველის და ვერც წელი. განა ვერც ვგრძნობ? მთელი შენი შიშის სუნად ყარხარ, ან განა არ დაგალა ასეთმა სიცოცხლემ? მთავარი შიში მაშინ იწყება, როცა სიკვდილის შიში მოგკლავს. ეს ქარჩხაძის სიტყვებია, მე მასეთი ფილოსოფოსა არ ვარ.

ერთაოზს გაუკვირდა.

— ქარჩხაძე წაგიკითხავს?

— არ უნდა წამეკითხა? თუ რადგან სიკვდილი ვარ, კარგი წიგნები მე არ მინდა. ან თუ რადგან სიკვდილი ვარ, უწინგური უნდა ვიყო. რა ეგოსტიები ხართ ადამიანები, ყველაფერი თქვენთვის გინდათ.

— რას ბრაზდები, უბრალოდ გამიკვირდა. ჩემთვის სულაც არ მინდა, მე არ წამიკითხავს.

— ვაი, უბედურო, მამ ნამდვილად ტრაგიკული სიკვდილი ყოფილა, ის არ ეყოფა, რომ მშიშარა და ჩვეულებრივზე ორჯერ ჩვეულებრივი ადამიანია, უწინგურიც ყოფილა. ახლა თუ გინდა იტირე და ისე გამოიყვი.

— აი, ხომ ხედავ, ჩემი სიკვდილი არ შეიძლება, ზუსტად ხვალ ვაპირებდი წაკითხვას, თუ მოგვკვდები, როგორ წავიკითხავ?

— დააგვიანე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ოცდათორმეტი წელი ჰქარში რომ გაფლანგე, ახლა გვიანია.

— ვაიმე, ღმერთო, რა წყალში გადავვარდე?! ჭადრაკი რომ ვითამაშოთ, როგორც იმ რაღაც ფილმშია? მეზობელი მიყვებოდა. თუ მომიგებ, არ წამიყვანო.

სიკვდილს ისევ გაელიძმა. ბოროტებაა, განწირულ კაცს დანსცინო, მაგრამ სასაცილო ბიჭიაო, გაიფიქრა.

— დროს მაკარგვინებ, ერთაოზი, მეგობარო. ჭადრაკის თამაში არც იცი ისე...

— რა უნდა გავაკეთო, რომ არ წამიყვანო? არა, მართლა... რაც გინდა, მითხარი. ხომ უნდა არსებობდეს რამე, რაც ჩემ წაყვანას გირჩევნია? ყველაფერს მოგცემ.

— ჯერ ერთი, შენ მასეთი არაფერი გაქვს და მერე მეორე — წესი წესია. ჩემ საქმესაც აკონტროლებენ ზემოდან. ბიუროკრატია ყველგან ბიუროკრატია.

— ვერ მოატყუებ? გეხვენები, სიკვდილი.

ისევ ცრემლები წასკდა, რაც მეტს ლაპარაკობდნენ, მეტად სასწორაკვეთაში ვარდებოდა. მგონი, შანსი მართლაც არ ჰქონდა. ეშინოდა, რა ექნა, მართლა ძალიან ეშინოდა.

— იმისთვის, რომ საქმე გაკეთებულად ჩაითვალოს, შენ ცოცხლებში აღარ უნდა ენერგოდე. ეგ რომ მოხდეს და თან ცოცხალი დარჩე, შენ უნდა მოკვდე ფიზიკურად, შენი გონი კი სხვა ადამიანში გადავიტანო. ამისთვის ის ადამიანიც უნდა მოკვდეს. ეს მხოლოდ ტყუილი კი არა, საშინელი ცოდვა და შემზარავი დანაშაულია. თუმცა მაინც მიქნია, მიქნია და ამისთვის ისევ ვისჯები. დამიჯერე, ეგ არავისთვის მთავრდება კარგად. უბრალოდ დამშვიდდი და შეეგუე, კარგი? ასე აჯობებს ყველასთვის.

— ძალიან მეშინია, — ქვითინებდა ერთაოზი, — სიკვდილი არ მინდა!

— ვაიმე, არც მე მინდებოდა მასე თუ კაია, — ცხვირი აიბზუა სიმავემ, — არჩევანი არ მაქვს, თორემ შენ რამი მჭირდები.

— ჰოდა, არცერთს გვინდა ერთმანეთი. მოდი, დავიშალოთ რა... — აგრძელებდა მოთქმას პატარა ერთაოზი.

სიბნელეს უკვე ნერვები ეშლებოდა.
— არ გამოვა-მეთქი. პატარა ბავშვი ხო არ გგონივარ? სათამაშოდ მოვედი? გაიგივ, რასაც გუფუნები. ერთაოზ, წასვლის დროა.

ერთაოზს კიდევ ერთი ნივილ-კვილი აღმოხდა, შემდეგ დაწვა, საწოლზე მოიქუნტა და გულმოსაკლავად აქვითინდა. როგორი ცხოვრებაც აქვს — მერე რა, უყვარს თავისი სიცოცხლე. არ უნდა სიკვდილი, არ იცის, რა იქნება, ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა გაქვს მისი გონება, ვერ წარმოუდგენია, როგორ აღარ უნდა იყოს. როგორ უნდა გათენდეს ხვალინდელი დღე და მეორე კიდევ ათასი წლები თენდებოდეს დილა და თვითონ აღარ იყოს. როგორ გააკეთებს ხვალ ყველა მისი ნაცნობი ისევ იმას, რასაც გუშინ აკეთებდა, თვითონ კიდევ აღარ იარსებებს. ვერ წარმოუდგენია სიკვდილის მომენტი. ეგ ერთი წამი, ან იქნებ მეტიც, როცა სამუდამოდ სიმავემი იძირები და ყველაფერი ქრება. ტკივილის ეშინია. მაგ შიშის ეშინია. გაქრობის ეშინია, არ აქვს ადამიანს უნარი, თავის თავს დააჯეროს, რომ მორჩა, შიში უკან არასდროს იხევს, მოძრავ გულდონს ჰგავს — წელვადს, მოსიარულეს, შიგნიდან იწყებს და მთლიანად გითრევს, გარშემო გხვევა და გახრჩობს. ეშინია, ეშინია და თუ გინდათ, მოკალით, ვერ ერევა ამ გრძნობას.

ამ გუდრონი გახვეული მთელი სიმბრით მოთქვამდა ისე, რომ სიკვდილს შეეზრალა კიდევ, და განა რა დააშავა? თუ სანყალია, თავისი თავის სანყალია, ვის

რას უშავებს, განა თავად მოინდომა დაბადება, რომ მერე სიკვდილი სდომებოდა? იქ ის არ ეყოთ, რომ სიცოცხლეს ართმევენ, რომ ბოლო წამებში ისედაც მიხვდებოდა ყველაფერს და შიში ჩაყლაპავდა, არამედ ისიც მოინდომეს, სიცოცხლის ბოლო საათი ცრემლსა და ვაებში გაატაროს და იცოდეს, რა მოელოდა. რა ქნას, ებრალება, ყველა ებრალება, ვიღაც-ვიღაცებისგან განსხვავებით.

სიკვდილმა იფიქრა, დავაცდი, იტიროს, დაიღვინება და დასვენებას ისე ინატრებს, იტყვის, სულერთია, რა იქნება, ისიც ადგება და სამუდამოდ დასვენებაში წაიყვანს ამ ლაჩარ სულს, რომლის სილაჩრეც მისი სამყაროსგან ნაბოძები ბუნების ბრალია და არა მისი სიძაბუნის. ერთაოზსაც ჰქონდა იმედი, რომ შიში უკან დაიხვედა ოდესმე, რომ შეებას იგრძნობდა, თუნდაც სულ ოდნავ, ოდნავ შეძლებდა ჩასუნთქვას. ერთი მეკვადრომილიონედი ნაბიჯითაც რომ დაეხია უკან შიშს, ან ერთაოზს რომ გადაეგა ასეთი მცირე ნაბიჯი შეგუებისკენ, ეგეც კი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ვერა, დაუსრულებელი ჯოჯოხეთის წრეზე იტრიალა მისმა განცდებმა, სხეულიდან მთელი სითხე ცრემლებად გადმოვარდა. ქვითინისგან გული ბომბივით აუფეთქდებოდა, ფიქრობდა სიკვდილი — „ხომ არ დაველოდო, ჩაეძინოს?“ მაგრამ ეგ უკვე დავალებების არშესრულებაა, ძილით ხომ წელანაც ეძინა, რას გააღვიძა. სანოლზე ჩამოუვდა, შემთხვევით წყლის ჭიქაც კი გადმოაგდო და გატეხა, რომელიც ერთაოზმა ღამით შეიტანა, იქნებ მომწყურდესო, ახლა კი ველარასდროს მოიტანს ღამით თავისთვის წყალს. რა სევედიანიაო, იფიქრა სიშავემ და ზუსტად სამ საათს უყურებდა შემზარავ ტანჯვას ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია სიკვდილი. თანდათან სხეულში ბრაზი უგროვდებოდა, რატომ სიამოვნებთ ადამიანის ასე ტანჯვა? უფრო და უფრო ბრაზდებოდა. რა ქნას, რა ქნას? უამრავი საყვედური და გაფრთხილება აქვს უკვე. უამრავი სასჯელი. ყველაფრისთვის ისჯება, რითაც ადამიანებს ეხმარება და მერე ბრაზობს თავის თავზე, რას ვინელებოდა, რაც მოსახდენია მოხდეს ხოლმეო. მაგრამ რა ქნას კაცმა, რა ქნას.

დილის ექვს საათზე ისევ რომ ვერაფერს გახდენენ, ერთაოზი საცოდავად მიგდებულყო კუთხეში და გულამოსკვნილი მოთქვამდა ისე, რომ სიკვდილს უკვირდა — აქამდე ამ ნერვიულობით უჩემოდ როგორ არ მოკვდაო. უკვე აღარ შეეძლო. ადამიანი უფრო ძნელად დგამს ნაბიჯს სიკვდილისკენ, ვიდრე თავად სიკვდილი ადამიანის შეცოდებისკენ. მაგრამ ეს შეცოდება სიკვდილისგან ხსნას როდი გულისხმობს. ბედისწერას ვერავინ აუვლის გვერდს. ერთაოზი გულს იგდებდა, თვალებს ითხრიდა, სულს ისერავდა და რომ იცოდეთ, იმის იმედად არა, იქნებ ამ შავ ტომარას შევეცოდო. ამის იმედი აღარ ჰქონდა. მხოლოდ თავის უდროოდ დამთავრებულ სიცოცხლეს და შიშს დასტიროდა და გრძობდა, რომ უმალ შუაზე უფრო ადვილად გასკდებოდა, ვიდრე თავისი ნებით მიიღებდა სიკვდილს.



სიბნელემ ცოცხანს ფანჯარაში უცქირა, თან ბევრ რამეზე ფიქრობდა, მერე ერთაოზს მოუტრიალდა, მართლაც აოცებდა ადამიანის ასეთი საქციელი, ბევრი რამ ენახა, მსგავსიც ბევრი, მაგრამ ზუსტად ასეთი — ცოტა. ერთი ნუთით ისიც მოუნდა, მოეხვევი და დავამშვიდებო, მაგრამ ვინ დამშვიდდება, სიკვდილმა რომ გულში ჩაიკრას?!

— ერთაოზ, — მშვიდად დაუძახა. ერთაოზმა ვერ გაიგო, ყურები დაგუბებული ჰქონდა, როგორც მთელი არსება. რამდენჯერ გაუმეორა, მშვიდად და ოდნავ ხმამაღლა. ბოლოს ერთაოზის გამომეტყველებით მიხვდა, რომ გაიგო.

— ერთაოზ! არ ნაგიყვან. შეიძლება, ახლა გეგონოს, რომ ვხუმრობ, მაგრამ არ ნაგიყვან. დამშვიდდი და დაიძინე. ვწუხვარ, ყველაფერი ასე რომ გამოვიდა. ვიცი, იფიქრებ, კიმაგრამ, როგორო, იმასაც იფიქრებ, თუ შეეძლო ჩემი არნაყვანა, ეს რატომ დამმართაო. არ ვიცი, ასეთი ამბის მერე თუ მართლა გინდა ცოცხლად დარჩენა, ისიც არ ვიცი, ასე ცხოვრება საერთოდ სიცოცხლე თუა, მაგრამ თუ გინდა — არ ნაგიყვან. მე ეს პრობლემებს შემეძინის, თუმცა როგორმე მოვაგვარებ. გთხოვ, სიხარულის, მადლობების და მასეთების გარეშე, თორემ გადავიფიქრებ. უბრალოდ დამშვიდდი და გაიყაროთ.


ერთაოზს თვალები გაუნათდა, ცოცხლებში, მგონი, ისედაც აღარ ენერა ამ ნერვიულობის მერე, მაგრამ რამდენადაც შეძლო, გაიხარა და, აი, ის აქ იყო, ის სანაწინა სიმშვიდის სხივი, რომელსაც შეუძლია, გამსკდარი გული შეაკონინოს. ის არ მოკვდება. დილას მზე ამოვა და თვითონაც ნახავს. შეიძლება უნდოდა კიდევ, მაგრამ თავიც არ ჰქონდა, ეკითხა სიკვდილის საოცარ სიკეთეზე, ამიტომ ვერც მადლობებზე ფიქრობდა, მხოლოდ ეს იკითხა:

— მპირდები?
— გაპირდები, — უპასუხა სიკვდილმა, — დაიძინე ახლა და დაისვენე.

ერთაოზი სანოლში კომფორტულად მოთავსდა, ტანჯულმა სულმა როგორც კი სიმშვიდე იგრძნო და სასიკვდილო საფრთხე მოიშორა, დალილობაც შეეგრძნო, ისიც კი იფიქრა, იქნებ სიზმარი იყო და მამშინვე ჩაეძინა.

სიკვდილი ჩუმად იდგა და თავს უმეორებდა, კარგი საქმისთვის პატარა ტყუილი არაფერიო. ზოგჯერ სულაც არაა საჭირო სიმართლის ცოდნა. არც ის საქმე ეპიტანებოდა, არსებას ამხელა თვითგადარჩენის ინსტინქტი და შიშის განცდის უნარი მისცე და გარდაუვალი სიკვდილიც მიუსაჯო. მაგრამ ეგ უკვე მისი საქმე აღარ იყო. რაც იყო თავისი საქმე, სწორად მაინც არ შეასრულა. სანამ ერთაოზს ღრმად ჩაეძინებოდა, ფიქრობდა, ნეტავ ამისთვის როგორ დამსჯიანო.

დილით როცა ერთაოზი საუზმეზე არ გამოჩნდა, დედამ გასაღვიძებლად მიაკითხა, ოთახში შეილის ცივი სხეული, გატეხილი ჭიქა და დაქცეული წყალი იპოვა. ერთაოზი აღარც ცოცხლებში ენერა და ვერც ის მზე ნახა, იმ დილასაც რომ ჩვეულებრივ ამოვიდა.



წვიმის წვეთი პაკი და მზესუმზირა მზისა

ღრუბელში ჩამომჯდარმა პაკიმ მზის მცხუნვარე სხივებისგან გადამხმარი უნაყოფო მინა დაინახა.

— ეტყობა, აქ დიდი ხანია, არ უწვიმია, — თქვა პაკიმ და წვეთებს, ნიავექარ სისის, ჭექა-ქუხილ ბახვასა და ელვა ლილიტას შეატყობინა, მცენარეებსა და ადამიანებს დავეხმაროთო!

უცქე ქარიშხალი ამოვარდა, იელვა, იჭექა და შხაპუნა წვიმამაც დასცხო. მინიდან წვიმის სასიამოვნო სურნელი ავარდა. ყველა სულდგმული ხარობდა. მხოლოდ მზესუმზირა მზისას ჩაეჩინდრა თავი უღონოდ.

— რატომ ხარ მოწყენილი, წვიმის მოსვლა არ გაგიხარდა? — ჰკითხა გაკვირვებულმა პაკიმ.

მზესუმზირამ თვალი გაახილა, პაკის შეხედა და უხალისოდ უპასუხა: — ხანგრძლივმა გვალვამ არაქათი გამომაცალა. წვიმა მიყვარს, მაგრამ აღარაფერი მახარებს. გვალვის გამო ფურცლები ერთიანად დამცვივდა, სიცხემ კი გვირგვინში ჩამალული ჩემი შვილები გაახმო, — მზესუმზირამ თავი მინაზე დადო, თვალეები დახუჭა და, მიუხედავად პაკის მცდელობისა, აღარ გაუხელია.

დალონებული პაკი გზას უნდა გასდგომოდა, მზესუმზირას გვირგვინიდან სუსტი ხმა რომ გაიგონა:

— ცოცხალი ვარ, მიშველეთ!
პაკი გვირგვინთან მივიდა, საიდანაც მზესუმზირას ერთი მარცვლი საწყალობლად უმზერდა. წვიმის წვეთმა ჯერ კიდევ ცოცხალი მარცვლი გვირგვინიდან ფრთხილად ამოაძრო, მერე პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ჩარგო და მინა მიაყარა.

წვიმის წყალობით მომდევნო დღეებში ცოტა აგრძობდა, ღამლამობით სუსხმა მოუჭირა. პაკიმ მზესუმზირას თესლს გასათბობად ფოთლები დააფარა.

ერთხელ პაკიმ მისკენ მომავალი მწვანე ხოჭო დაინახა და თესლის დასაცავად მოემზადა.

— გამარჯობა, — უთხრა ხოჭომ, მის წინ გაჩერდა და უღვაშები ააცმაცუნა.

— მზესუმზირას მარცვალს არ შეგაქმევენებ, — ხელები მომუშტა პაკიმ.

— არც მინდა, — მშვიდად თქვა ხოჭომ, — მე მცენარეებს არ ვჭამ, მავნებელი არა ვარ. პირიქით, მათ ფესვებზე დაბუდებულ მატლებსა და მუხლუხობებს ვანადგურებ.

— მართლა? — გაიკვირვა პაკიმ.

— მისმინე! თესლის გარშემო მინა უნდა გააფხვიერო, რადგან სარეველა ბალახი არ ამოვიდეს და მზესუმზირას საკვები არ წაართვას. ამაში მე დაგეხმარები, — თქვა ხოჭომ და მამშინვე მინის გაფხვიერებას შეუდგა.

პაკიმ ხოჭოს მადლობა გადაუხადა. — კიდევ შემოვივლი, — თქვა ხოჭომ, ფრთები დაიქნია და გაფრინდა.

მესამე დღეს ნელმა ყლორტმა ფხვიერი მინიდან თავი წამოყო:

— გამარჯობა, პაკი, ეს მე ვარ, მზისას შვილი. ზევით, მზისკენ უნდა ავიდე, — თქვა მზესუმზირას ყლორტმა.

— შენც მზისას დაგიძახებ, კარგი?! — ჰკითხა პაკიმ.

— კარგი, — სიხარულით დაეთანხმა მზისა.

ყლორტი გამალებით იზრდებოდა და ძლიერდებოდა. პაკი მუდამ მის გვერდით იყო, ეშინოდა, ვინმეს არ დაეხიანებინა, ბოროტი ჭიებისგან, ანცი კალიებისგან და ხარაბუზებისგან იცავდა. ყლორტს მალე აქეთ-იქიდან ფართო, მწვანე ფოთლები ამოუვიდა. ბოლოს კენწეროზე ყვითელი გვირგვინი გაუჩნდა, საიდანაც პატარა მზესუმზირას მარცვლები ამოიწვერნენ. პაკის მზის სხივებიც ეხმარებოდნენ და მზესუმზირა ზევით და ზევით აპყავდათ.

ერთხელ მზესუმზირამ წვიმის წვეთში თავის თავს მოჰკრა თვალი.

— ძალიან ვგავარ მზეს, იქნებ მეც მზე ვარ? — თქვა მზესუმზირამ.

— არა, მზე ერთადერთია.

— მართლა?

— შენ შეგიძლია, ღამე გაანათო?

— არა.

— შეგიძლია, ხილი დაამწიფო? მინიდან ყლორტი ამოიყვანო და გაყინული არსება გაათბო?

— არა.

— შეგიძლია, ცისარტყელა გააჩინო?

— არა, არც ეგ არ შემიძლია.

— მართალია, მზე არ ხარ, სამაგიეროდ მზეს ძალიან ჰგავხარ და ძალიან ღამაზი ხარ.

პაკი მზესუმზირას გვირგვინში ჩაუჯდა, მასთან ერთად ადიოდა მზისკენ და პატარა მარცვლებთან ერთობოდა.

ბოლოს, როცა მზესუმზირა იმდენად გაიხარდა და გაძლიერდა, რომ ვერავინ დაჩაგრავდა, პაკი გამოეთხოვა და მზის სხივებთან ერთად ღრუბლებში აფრინდა.



წვიმის წვეთი პაპი და საჰაერო პურტი

აკაკი დაუშვილი

წვიმის წვეთი პაპი



პაპი ღრუბლიდან გადმოვლოძვალა ვარჯიშიობდა. გამოეცანა, ოთხმაგი ბრუნის გააკეთა და თავით ისკუბა. უცებ რაღაც რბილს დაეცა. ქვემოდან ადამიანების შემოთევზი ხმები შემოესმა. პაპი დიდ ბურთზე გადმოვიდებოდა ერთ-ერთ თოქს ჩაწყვეა და თოქებით ჩამობმული კალათა დაინახა, რომელშიც ორი ბავშვი, ორი კაცი და ერთი ქალი ჩამდგარიყვნენ. ქალს ქერა, გაშლილი თმა ღამაზად უფრიალებდა. ერთ-ერთი კაცი კი თოქს გამალებით ექაჩებოდა:

— სარქველი გაიჭედა, აღარ იხსნება და ბურთიდან ჰელიუმის გაზს ვერ ვუშვებ, — გაცხარებით ამბობდა საჰაერო ბურთის პილოტი.

— ქარი საით გაგვაფრენს? — იკითხა ადრევებულმა კაცმა.

— სხვადასხვა სიმაღლეზე ქარი სხვადასხვა მიმართულებით უბერავს და შეიძლება, ზღვისკენ წავიდეს. თუ ასე მოხდა, ველარაფერი გადაგვარჩენს, — თქვა პილოტმა.

— ნუთუ საშველი არაა? — სასონარკვითი ნაშრომისა ქალმა.

— სიმძიმე ბურთს დაბლა დაქაჩავდა და მინახე დავეშვებოდი, — ფუთიანი გირები იწარმოებდა პილოტმა.

— მალე ღრუბლებს შევეჯახებით, — შიშით შეჰყვირა ხუჭუჭთმიანმა გოგონამ.

— ღრუბელი იგივე ნისლია, ამიტომ საშიში არაა. მთავარია, სარქველი გაიხსნას და გაზი გამოვიდეს, სხვანაირად ძირს ვერ დავეშვებით, — უფრო უფროსების გასაგონად თქვა პილოტმა.

პაპი თოქს ახლა ზევიტ აუყვდა და წვეთებს ასძახა:

— წვეთებო, ადამიანებს დავეხმაროთ. ყველანი ბურთს დავახტოთ და დავამძიმოთ, თორემ დაილუპებინა.

წვეთები ღრუბლიდან სწრაფად ხტებოდნენ და ბურთისკენ მიიჩქაროდნენ. საჰაერო ბურთის თავზე მსაპუნა წვიმა წამოვიდა. ბურთზე და თოქებზე ხელის ჩასაჭიდი ადგილი რომ აღარ დარჩა, წვიმის წვეთები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ და ასე იმაგრებდნენ თავს. საჰაერო ბურთმა დაშვება დაიწყო.

— სასწაულია, — თქვა მრავლისმნახველმა პილოტმა, — გაუგებარია, ბურთი რამ დაამძიმა.

— გადავრჩით, ვაშაა! — შეჰყვირა კეპიანმა კაცმა და ცოლსა და შვილებს გადაეხვია.

მოულოდნელად საჰაერო ბურთი მანქანის ცდად მივიდა პატარა ტბისკენ გაქანდა და მუაგულ ტბაში დაეშვა. აქ უკვე ნიავქარმა სისიმ იყოჩადა, მძლავრად დაუბერა და საჰაერო ბურთი ნაპირს მიაყენა.

კალათიდან პილოტი ამოხტა და თოქი ხეს სწრაფად დაახვია.

— ახლა საჰაერო ბურთი ველარაფრინდება, — თქვა პილოტმა.

წვიმის წვეთებმა დალილი ხელები ერთმანეთს გაუშვეს და მინახე დახტნენ.

— ამდენი წყალი საიდან გაჩნდა? — გაუკვირდა კეპიანი კაცს და ბავშვები წამში განუხილდ გაუბებებს გაარიდა. რას იფიქრებდა, რომ სწორედ გაუბედქცეულმა წვიმის წვეთებმა გადაარჩინეს მათი სიცოცხლე.

პილოტი თოქს აჰყვა და სარქვლის შეკეთებას შეუდგა. პაპი ღიმილით შესცქეროდა, თუ როგორ დასდევდნენ მინდორზე ბავშვები პეპლებს, დედ-მამა კი ყვავილებს აგროვებდა.

პილოტი თოქს მინახე ჩამოჰყვა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— საჰაერო ბურთი ასაფრენად მზადაა!

— დარწმუნებული ხარ? — დაეჭვდა ქალი.

— სავსებით! ამინდიც ჩინებულია, — მოკლედ უპასუხა პილოტმა.

მგზავრები კალათაში ჩასხდნენ. პილოტმა ხეს თოქი მოხსნა, კალათაში ახტა და საჰაერო ბურთი ნელ-ნელა ცაში აიჭრა.

დალილი და ბედნიერი პაპი ბალახზე წამოწვა, ხელები თავვეშე ამოიწყო და კმაყოფილი აჰყურებდა მზის სხივებზე მოღვანურ ფერად საჰაერო ბურთს.

წვიმის წვეთი პაპი და თეთრი ღათვის ბალი ბაკო

პაპი ღრუბლიდან ყინულითა და თოვლით დაფარულ მიწის ზედაპირს დასცქეროდა, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. თვალს ვერ მოკრავდი მინას, სიმწვანეს, გზებს და შენობებს, მხოლოდ ღურჯი ოკეანე ეხეთქებოდა თეთრ უდაბნოს. პაპი, მეგობრებთან ერთად, ყინვისგან ღამაზად მოხატულ ფიფქად იქცა. ყოველ ფიფქს ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმა ჰქონდა. ღრუბლებიდან ჩაფარფატიებული ფიფქები სითეთრეში იკარგებოდნენ. ირგვლივ სულიერი არ გაქანებდა, არც არანაირი ხმები ისმოდა.

„არქტიკაში, დედამიწის ყველაზე ჩრდილოეთით, მზეს ძალიან არ აქვს და თუ ვერ ავორთქლდი, ღრუბლებში როგორა და დავბრუნდები?“ — შეფიქრებდა პაპი.

„უცნაოდ თეთრი დათვის ბელი წამოადგა თავს. ძალიან ღამაზი და საყვარელი იყო. ნაღვლიანი თვლები სიკეთით უბრწყინავდა. პაპის ცოცხალი არსების დანახვა გაუხარდა.“

— მე ბაკო მქვია, — გაეცნო ბელი.

— მე — პაპი. მართო რატომ ხარ? — გაიკვირვა პაპიმ.

— მართო იმიტომ ვარ, რომ მონადირეებმა დედა მომიკლეს, ჩემი და-ძმა კი თან წავიყვანეს. ჩვენ ყინულის გამოქვამულში მხიარულად ვცხოვრობდით, — ბელს ცრემლი მოადგა, — მონადირეებს გამოვუქეცი და მას მერე ასე მართოდ დავეხეტე.

პაპის თეთრი დათვის ბელი ძალიან შეეცოდა და გულწრფელად ჰკითხა:

— გინდა, მე ვიქნები შენი მეგობარი?

— მინდა! — გაუხარდა ბელს, — მალე დალაშქრება და კიდევ უფრო აცივდება. აი, ამ თოვლის გორაკში ბუნაგს გამოვთხრი და თბილად დავიძინო.

ბელს წინა თათებით ბუნაგის გამოთხრა არ გასჭირვებია, რადგან ამას პირველად არ აკეთებდა. ბუნაგში მალე დათბა და პაპი ისევ წვეთად იქცა. ბელი გაკვირებული შეაცქერდა.

— ღამაზი ფიფქი ვიყავი? — ჰკითხა პაპიმ.

— ახლაღ ღამაზი ხარ! — მოკლედ მოუჭრა ბაკომ.

ბაკო და პაპი მყუდროდ მოეწყვნენ. წვი-

მის წვეთი ბელს უყვებოდა ტყეებზე, მინდვრებზე, ფერად-ფერად ყვავილებზე, პეპლებზე, ჩიტებზე, კამკამა ნაკადულზე. ბაკო შეეცადა, პაპის ზღაპრული ნათქვამი ცხადად წარმოედგინა, მაგრამ ოცნებებში წასულს ტკბილად ჩაეძინა. პაპიმ ბუნაგის შესასვლელში უცნაურ ნათებას მოჰკრა თვალი. წვიმის წვეთმა გარეთ გაიხედა და გაცივებისგან შეჰყვირა — ცა მწვანედ, ღურჯად, იასამნისფერად, წითლად ციმციმებდა. ფერები ერთმანეთში გადადიოდა და ახალ ფერებს წარმოშობდა. ასეთი რამ არსად ენახა.

— ეს ჩრდილოეთის ცილია, — უთხრა გამოლვიძებული ბელმა, — ამ ფერებს მზის ქარი წარმოშობს. ეს დედად მასწავლა. გაგიმართლა, რადგან ზაფხულში ჩრდილოეთის ნათება იშვიათობაა, უფრო შემოდგომასა და ზამთარში იცის.

— მეგონა, ამ სითეთრეში ასეთ სიღამაზეს ვერ ვნახავდი, — ჩაილაპარაკა პაპიმ.

— აქ, არქტიკაში, ცხოვრება ძნელია. გასართობიც ბევრი არააფერია, — მოწყენით თქვა ბაკომ.

— ქალაქში წავიდეთ, იქ შეგიძლია, ზოპარკში იცხოვრო. ბევრი მეგობარი გეყოლება. შენზე კეთილი ადამიანები იზრუნებენ, — ურჩია პაპიმ.

— როგორ უნდა წავიდე ქალაქში? — დაინტერესდა ბაკო.

— სამხრეთისაკენ გაცუროთ, იქ ბევრი თბილი ქალაქია.

— კარგი, ამაზე ვიფიქრებ, — დაჰპირდა ბაკო.

ინათა თუ არა, ბაკო და პაპი ბუნაგიდან გამოვიდნენ.

— მოდი, დამალობანა ვითამაშოთ, — შესთავაზა პაპიმ.

— ეგეთი თამაში არ გამიგია, — ბაკომ მხრები აიჩქინა.

— ძალიან ადვილია, — გაამხნევა წვიმის წვეთმა.

პაპიმ ბაკოს დამალობანა ასწავლა. დასამალი ადგილები თითქმის არ იყო და ბელი ხან ბუნაგში შეჭვრიდებოდა, ხან კი თოვლის გორაკის უკან იმალებოდა. წვიმის წვეთს კი, აბა, რას იპოვდა.

— აღარ მინდა დამალობანას თამაში. მოდი, თოვლის გორაკზე ვიცურაოთ, — თქვა ბაკომ.

გორაკზე მართლაც ხალისით ისრიალეს და ბევრიც იმხიარულეს.

— კარგი, ქალაქში წავიდეთ. ჯერ აისბერგით გავცურავთ, — თქვა ბაკომ.

— მერე? — დაინტერესდა პაპი.

— აისბერგი რომ დადნება, მერე ხის კასრით გავაგრძელებთ ცურვას, — თავდაჯერებით თქვა ბაკომ.

— აქ კასრს რა უნდა? — გაიკვირვა პაპიმ.

— ადრე აქ არქტიკის გამოსაკვლევად მეცნიერები მოვიდნენ. მათ მიერ მიტოვებული ორი ქობი დღესაც დგას. შიგნით კასრია, რომელიც ორივე მხრიდან დახურულია და წყალში არ იძირება. ესეც დედად მიტხრა.

ქობში მართლაც აღმოჩნდა პატარა ხის კასრი, რომელიც ბაკომ ადვილად ასწია. მერე ოკეანის პირას გავიდნენ. ბაკომ დაკვირვებით მიმოიხედა.

— ხედავ, მყინვარზე რამხელა ნაპრალია გაჩენილი? ეს ყინულის მთა მალე მყინვარს ჩამოტყდება და აისბერგად იქცევა, — თქვა ბაკომ და კასრი ნაპრალზე გადააგდო, — პაპი, ჩამეჭიდე, — ბაკომ მარჯვდ გადაეწყო ნაპრალს.

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ. ყინულის მთა ხმაურით გაიპო, თეთრ უდაბნოს მოწყდა და ატლანტის ოკეანეში შეცურდა. ასე დაიწყო ბაკოსა და პაპის მოგზაურობა.

რაც უფრო სამხრეთისაკენ მიიწვედნენ, ოკეანე სულ უფრო და უფრო თბებოდა და აისბერგის თანდათან დნებოდა, ბოლოს კი მთლად გაქრა. მამაცმა მოგზაურებმა ახლა კასრით განაგრძეს ცურვა. მალე მწვანე სანაპირო გამოჩნდა, თუმცა ახალი განსაცდელი მოეველინათ — უცებ უზარმაზარი ტალღები წამოვიდა.

— კარგად ვცურავ, მაგრამ ამხელა ტალღები არასოდეს მინახავს, — თქვა შეშინებული ბაკომ.

კასრმა ტალღებს ველარ გაუძლო და მუხის ფიცრებად დაიშალა. ბედად მათ ცხვირწინ დელფინი ამოხტა და მეგობრებს იმედინად შესძახა:

— მაგრამ ჩამეჭიდე, ნაპირზე გაგიყვანთ.

ბაკომ და პაპიმ შებოთ ამოიხუნთქეს.

— ეს დელფინია, ის ყველას ეხმარება... — თქვა გახარებულმა ბაკომ.

— ესეც ალბათ დედად გასწავლა, — პაპის გაელიმა.

ბაკომ დელფინს სახელი ჰკითხა.

— ბენტის მეძახიან, — დელფინმა სანაპიროსკენ გაცურა.

— წვიმის წვეთს პაპი ჰქვია, მე კი — ბაკო, — უთხრა ბელმა.

— გვინდა, ბაკომ ზოოპარკში იცხოვროს, სადაც მასზე იზრუნებენ, — თქვა პაპიმ.

ბენტი მალე სანაპიროსთან მიცურდა.

— ამ ქვეყანას საფრანგეთი ჰქვია, ზოოპარკამდე კი ჩემი მეგობარი თოლია კაილო მიგიყვანთ, — დელფინმა ერთხანს ზევით იყურა, — ჰეი, თოლია კაილო, ჩემი მეგობრები ზოოპარკში მიიყვანენ!

— სიამოვნებით! — ჩამოსძახა კაილომ.

პაპი ბაკოზე ამხედრდა.

— წამომყვით! — თქვა თოლიამ.

დიდი პარკი გადაიფრინა, მერე ქუჩა გადაჭრა და მეგობრებს ჩამოსძახა:

— რკინის ქიშკარში შედი.

— მადლობა! — ასძახეს ბაკომ და პაპიმ და ჰქიშკარში შეიხადეს.

თეთრი ბელის სიღამაზით მოხიბლული დარაჯი თბილად შეეგება. მერე ზოოპარკის დირექტორთან მიაცილა. დირექტორი ღიმილით გაესაუბრა და კეთილი სახის მომვლელს უთხრა:

— თეთრი დათვების ვოლიერში წაიყვანე, — ერთხანს დადუმდა და დაამატა, — გუშინ ორი თეთრი დათვის ბელი მოიყვანეს, მონადირეები ტრაბახობდნენ, პირდაპირ არქტიკიდან მოგვყავსო. ძვირად მოგვყიდეს, მაგრამ ძალიან კარგები არიან.

ამის გაგონებაზე ბაკოს მღელვარებისაგან გული აუძვკერდა.

„ნუთუ ჩემ და-ძმაზე ლაპარაკობს დირექტორი?“ — გაიფიქრა ბაკომ.

მეთვალყურე მეგობრები ვოლიერთან მიიყვანა.

— პაპი, ნამდვილად ჩემი და-ძმა არიან! — შეჰყვირა ბაკომ და ბელისკენ გაქანდა.

ბელებმა ძმა იცნეს და სიხარულით გადაეხვივნენ. პაპიმ ერთმანეთის ნახვით ბედნიერებისაგან სახეგაცისკროვნებულ თეთრ ბელებს ხელი დაუქნია:

— კიდევ შევხვდებით!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgzeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4